ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის

# 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2025 წელი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის

# 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2025 წელი

# ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ


ᲛᲝᲙᲚᲔ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ 6

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ 10

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ 11

ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ 14

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ 58

# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის:

- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.
- საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES), თანამშრომლობისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.
- ევროპის საბჭოს, თანამშრომლობისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.
- გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ ტრენინგის ჩატარებისთვის.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციას და მათ წარმომადგენლებს, რომლებმაც 2024 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და წვლილი შეიტანეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მადლობას უხდის საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ-საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თითოეულ თანამშრომელს პროფესიული სტანდარტებისა და საარჩევნო მოხელის ეთიკის ნორმების შესაბამისად შესრულებული სამუშაოსთვის.

# მისია, ხედვა, ღირებულებები

საარჩევნო ადმინისტრაციის მისია – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადება და ჩატარება. აგრეთვე, დემოკრატიული საარჩევნო პროცესების განვითარება და განმტკიცება, სადაც დაცული და გარანტირებულია აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების თავისუფალი და შეუზღუდავი რეალიზაცია.

**საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული ხედვა** – ჩვენ ვატარებთ თავისუფალ, გამჭვირვალე და სამართლიან არჩევნებს, რომელსაც ენდობიან საქართველოს მოქალაქეები.

მისიისა და სტრატეგიული ხედვის წარმატებით განხორციელების დროს საარჩევნო ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

| | |
|---|---|
| **გამჭვირვალობა** | საქმიანობის ღიაობა, საჯაროობა და ინფორმაციის მისაწვდომობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე |
| **პროფესიონალიზმი** | კომპეტენტური და პასუხისმგებლიანი საარჩევნო მოხელეების ძალისხმევით საარჩევნო პროცესის სანდოდ და სამართლიანად წარმართვა |
| **ინკლუზიურობა** | ყველასათვის თანაბრად მისაწვდომი გარემოს შექმნა და საქმიანობაში ნაკლებად ჩართული ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება |
| **ინოვაციურობა** | სიახლეებისა და თანამედროვე მიდგომების დანერგვა საარჩევნო პროცესებში |
| **თანამშრომლობა და ჩართულობა** | პარტნიორული ურთიერთობების განვითარება საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან |
| **დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა** | კანონზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება |

# მოკლე შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2023-2026 წლების სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების კონსოლიდირებულ ანგარიშს.

საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საპასუხოდ, საარჩევნო ადმინისტრაციის 2024 წლის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესის მოდერნიზაციას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, ინკლუზიურობის ხელშეწყობას და ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დანერგილი სერვისების გაუმჯობესებას.

საარჩევნო ადმინისტრაციამ საქმიანობის ყველა ეტაპზე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამის უწყებებთან კოორდინაციითა და ჩართულ მხარეებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე იმოქმედა. ამასთან, გამჭვირვალობისა და საჯაროობისკენ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო თანამშრომლობის ოთხი ახალი ფორმატის შემუშავება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან და მედიის წარმომადგენლებთან, რამაც საარჩევნო ადმინისტრაციას საშუალება მისცა მაქსიმალურად გაეზიარებინა მათი მოსაზრებები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაში.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიით განსაზღვრულია 3 პრიორიტეტი, 6 მიზანი და 13 ამოცანა, რომელთა შესასრულებლად 2024 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყო 71 აქტივობა.

საანგარიშო პერიოდში სრულად განხორციელდა 67 აქტივობა, სამი აქტივობა შეჩერდა, ხოლო ერთი აქტივობის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. მთლიანობაში, აქტივობების შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა 94.4 პროცენტი.

აქტივობების განხორციელებამ ამოცანებთან მიმართებაში მოგვცა შემდეგი შედეგები სტრატეგიული მიზნების მიხედვით:

## სტრატეგიული პრიორიტეტი: საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება

### მიზანი 1. საზოგადოების ინფორმირება და განათლება

2024 წელს საზოგადოებასთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაცია რეგულარულად ახდენდა საზოგადოებისა და ჩართული მხარეების ინფორმირებას საარჩევნო სიახლეების შესახებ. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრები ჩატარდა პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიაორგანიზაციების, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან და ადგილობრივ ექსპერტებთან. ამასთან, საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, საარჩევნო ადმინისტრაცია ინტენსიურად იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს.

2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის სპეციალურად შეიქმნა ახალი ლოგო და საინფორმაციო კამპანია განხორციელდა აღნიშნული ლოგოს თანხლებით. საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის ვებგვერდზე განთავსდა ბანერი „ინფორმაცია საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის“. საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედ-

რები ჩატარდა სახელმწიფო დაწესებულებებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მსხვილ კერძო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ასევე, მედიაორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის, უსინათლო და ყრუ პირებისთვის. ასევე, საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ცესკომ განახორციელა შექმნილი სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ თამაშის „ნახე როგორ უნდა მისცე ხმა ელექტრონულ არჩევნებში“ მოდიფიცირება.

მომზადდა და ცესკოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საინფორმაციო სივრცის კვლევის 4 (ოთხი) ანგარიში. ცესკოს მიერ ოპერატიულად გამოვლინდა საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ გავრცელებული 6000- ზე მეტი დისკრედიტაციული ინფორმაცია.

საზოგადოების ინფორმირებისა და განათლების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: საჯარო სკოლებში პროექტი - „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი”, საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგების და რესურსცენტრების წარმომადგენლებისთვის - სასწავლო-საინფორმაციო კურსი „არჩევნები და საარჩევნო ტექნოლოგიები“, უნივერსიტეტებში - სემესტრული სასწავლო პროგრამა „საარჩევნო სამართალი“, საინფორმაციო პროექტი - „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი”.

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში დასანიშნი პოტენციური წარმომადგენლებისთვის და არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებისთვის. ასევე, კენჭისყრის დღისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების უფლებების შესახებ სასწავლო - საინფორმაციო კურსი ჩატარდა 2024 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებულ პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების, ადგილობრივი მედიაორგანიზაციებისა და არჩევნებისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის. ამასთანავე, ჩატარდა კურსი - “არჩევნების უსაფრთხოება” შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის და “საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობის წახალისება”- საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის პოტენციური ქალი კანდიდატებისთვის. მხარდაჭერის მიმღები პირების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სასწავლო-საინფორმაციო კურსი - მხარდაჭერის მიმღები პირების კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ და ბოლოს, საზოგადოების ინფორმირებისა და განათლების ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“, რომელიც ასევე, ითვალისწინებდა სასწავლო პროგრამის „ცესკოს ახალგაზრდული ბანაკი“ განხორციელებას.

## მიზანი 2. სამართალწარმოების პროცესის განვითარება

2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების ფარგლებში, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განახლდა საარჩევნო დავების სახელმძღვანელო დოკუმენტები. ასევე, განხორციელდა დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშებისა და საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების ფარგლებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრების სამართლებრივი და სტატისტიკური ანალიზი. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ცესკომ, საარჩევნო პროცედურების დაზუსტების ან/და დახვეწის მიზნით, მიიღო 33 დადგენილება.

სამართალწარმოების პროცესის განვითარების მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე – „საარჩევნო დავების გადაწყვეტა (ერთგვაროვანი და ეფექტური განხილვა და გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთება“). ასევე, ტრენინგები ჩატარდა საარჩევნო დავებთან დაკავშირებით არსებული ონლაინ პლატფორმების გამოყენების შესახებ, რამაც ხელი შეუწყო საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება.

## სტრატეგიული პრიორიტეტი: ინსტიტუციური გაძლიერება

### მიზანი 3. მართვის ეფექტიანობის ზრდა

მართვის ხარისხის (ISO) სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2024 წელს ჩატარდა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო აუდიტი. აუდიტის შედეგად დადასტურდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიზნები, ამოცანები, პერფორმანსის მონიტორინგი და ანგარიშგება შეესაბამება ხარისხის მენეჯმენტის მიერ მოთხოვნილ ყველა სტანდარტს. შესაბამისად, გაგრძელდა საერთაშორისო სერტიფიკატის მოქმედების ვადა.

2024 წელს, ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ორგანიზაციული კულტურის შესახებ. ამასთანავე, ცესკოს აპარატის თანამშრომელთა ზოგადი კმაყოფილების დონის განსაზღვრის მიზნით, ჩატარდა შემდეგი კვლევები - „თანამშრომელთა სამუშაოთი კმაყოფილება“ და „ხელმძღვანელთა მართვის ინსტრუმენტების შეფასება“.

მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარების მიზნით, შეიქმნა ცესკოს სხდომებზე კომისიის წევრთა ელექტრონული ავტორიზაციისა და ხმის მიცემის პროგრამა. ასევე, შეიქმნა საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების მომზადების სერვისი, ხოლო მოქალაქეთა ელექტრონული სერვისის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა შემოსულ კორესპონდენციაზე განმცხადებლებისთვის საპასუხო შეტყობინების სერვისის დანერგვა.

### მიზანი 4. საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება

საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, იდენტიფიცირდა სატრენინგო თემატიკა და შემუშავდა შესაბამისი გეგმა.

2024 წელს საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის განხორციელდა საინფორმაციო კურსი „საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები“, ასევე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პროფესიული გადამზადების პროგრამა - „საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები“. სასწავლო კურსის მიმართ მონაწილეთა დამოკიდებულების შესაფასებლად ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გამოკითხვა, თითოეული სატრენინგო სესიის დასრულების შემდეგ მონაწილეებისთვის შეთავაზებული იყო უკუკავშირის კითხვარი. ასევე, ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“.

საარჩევნო ადმინისტრაციის სერტიფიცირებულ მოხელეთა რესურსის გასაზრდელად 2024 წელს ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა და ახალი საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სასერტიფიკატო გამოცდები. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საგამოცდო ტესტები ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

საერთო ჯამში 2024 წელს გაიცა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის 818, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის 7 329 და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის 7 633 სერტიფიკატი.

## სტრატეგიული პრიორიტეტი: ტექნოლოგიური განვითარება

### მიზანი 5. საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან

საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაციის მიზნით, განახლდა საარჩევნო ოპერაციებისა და ლოგისტიკის ბიზნესპროცესები, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაციას საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან. შეფასდა გაწერილი საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარის დასაწყობების, რაოდენობის განსაზღვრის, მომზადებისა და განაწილების ეტაპები. აღნიშნულის ფარგლებში დამტკიცდა ლოგისტიკის ბიზნეს პროცესის PD დოკუმენტი.

ასევე, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის განხორციელდა - საარჩევნო ტექნოლოგიების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტირების პროცესი ISO/IEC 17025 სტანდარტის შესაბამისად აკრედიტირებულმა საარჩევნო ტექნოლოგიების ტესტირების ლაბორატორიამ „Pro V&V" ჩაატარა და მოამზადა შესაბამისობის დასკვნა. აუდიტის შედეგებით დადასტურდა, რომ ელექტრონული ტექნოლოგიები სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

### მიზანი 6. ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიები აღიჭურვა საჭირო ტექნიკით. ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი - 7 508, ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატი - 4 879 და 3 031 პლანშეტური კომპიუტერი. შესაბამისად 2 263 საარჩევნო უბანზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 847 448 ამომრჩეველმა.

ასევე, ელექტრონული სერვისების განვითარების მიზნით, მოდიფიცირდა სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობისთვის რეგისტრაციის ელექტრონული პლატფორმა (EMS), ელექტრონული სერვისების განვითარების ფარგლებში, განახლდა საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონული პროგრამა. აღნიშნულის გათვალისწინებით, არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) მუშაობის წესის ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა 150 ხელმძღვანელ პირს/წევრს. შეიქმნა საარჩევნო სუბიექტებისთვის პარტიული სიის ელექტრონული სახით წარდგენის შესაძლებლობა, რის ფარგლებშიც შეიქმნა პარლამენტის და საკრებულოს არჩევნებისთვის პარტიული სიის მოდულები. ამასთანავე, განხორციელდა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის ტრადიციული წესით ჩატარებული კენჭისყრის საარჩევნო ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანა (სკანირება). პარალელურად, სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელდა სკანირების პროცესის მართვა. ციფრულ ფორმატში გადაყვანილი ბიულეტენები გასაჯაროვდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით.

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ინფრასტრუქტურის გამოყოფასთან დაკავშირებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრები, შესაბამის უწყებებთან. ცესკოსა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მოხდა შესაბამისი ფართების გამოყენება საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის. 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საერთო ჯამში შეიქმნა 3 111 საარჩევნო უბანი. აქედან, საქართველოში გახსნილი იყო 3 044 საარჩევნო უბანი, მათ შორის გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი 13 საარჩევნო უბანი (12 – პენიტენციურ დაწესებულებებში, ერთი– ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში), შესაბამისი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საზღვარგარეთ 42 ქვეყნის 53 ქალაქში შექმნილი იყო 67 საარჩევნო უბანი.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი გახლდათ 1 262 საარჩევნო უბანი, მათ შორის 917 პანდუსით და 348 მარტივად ადაპტირებული.

## შესავალი

2023 წელს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმა, რომლითაც განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები და სამიზნე მაჩვენებლები, რაც ითვალისწინებს 2026 წლისთვის, ეტაპობრივად, არსებითი ხელშესახები შედეგების მიღწევას.

ზემოხსენებული სტრატეგიის მიხედვით შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2024 წლის სამოქმედო გეგმა. საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობის დაგეგმვას, ანგარიშგებასა და მონიტორინგს ახორციელებს დამტკიცებული წესის საფუძველზე.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2023-2026 წლების სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების კონსოლიდირებულ ანგარიშს. აღნიშნული ანგარიში შემუშავდა ცესკოს სტრუქტურული ერთეულების, სწავლების ცენტრის, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი კვარტალური სტატუსანგარიშების საფუძველზე.

ანგარიში მოიცავს 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშს თან ერთვის განხორციელებული აქტივობების აღწერა ცხრილის სახით (დანართი 1).

წლიური ანგარიშის მომზადების მიზანს წარმოადგენს 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებით მიღწეული პროგრესისა და არსებული გამოწვევების გამოვლენა შემდეგი სამი სტრატეგიული პრიორიტეტის მიხედვით:

- საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება;
- ინსტიტუციური გაძლიერება;
- ტექნოლოგიური განვითარება.

წლიური ანგარიში არ მოიცავს სრულ ინფორმაციას 2024 წელს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით თვითმმართველი თემის – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №62.11 და თვითმმართველი თემის – სამტრედიის მუნიციპალიტეტის №54.11 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების შესახებ. არჩევნების ანგარიშის ნახვა შესაძლებელია ცესკოს ვებგვერდზე.[1]

ანგარიშის შედგენის დროს შეფასდა ამოცანებისა და მათი შედეგების ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიაში აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრულია 6 მიზანი და შესაბამისი 13 ამოცანა, რომელთა შედეგების მიღწევის მიზნით 2024 წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი იყო 71 აქტივობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში, გარდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა, განხორციელდა არაერთი სხვა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი აქტივობა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 94.4 პროცენტს და კლასიფიცირდება ოთხი კატეგორიის ფარგლებში, კერძოდ:

- განხორციელდა – 64 აქტივობა;
- განხორციელდა დაგვიანებით – 3 აქტივობა;
- შეჩერებულია – 3 აქტივობა;
- არ დაწყებულა – 1 აქტივობა (აქტივობის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა).

1. https://cesko.ge/static/file

## ზოგადი პროგრესი

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 71 აქტივობიდან განხორციელდა 67, რომელთა წილი მთელი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების საერთო რაოდენობის 94.4 პროცენტს შეადგენს. სამი აქტივობა შეჩერებულია, ხოლო ერთი – არ დაწყებულა (აქტივობის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა). ინფორმაცია აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ წარმოდგენილია დიაგრამაზე (1).

**დიაგრამა 1. აქტივობების შესრულების სტატუსი და რაოდენობა**




განხორციელებული და განხორციელების პროცესში მყოფი აქტივობების შედეგების საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები შესრულდა დადგენილ ვადებში და განსაზღვრული მოცულობით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. აქტივობების განხორციელების დონე და რაოდენობა, მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების შესრულების ჭრილში, წარმოდგენილია დიაგრამაზე (2).

**დიაგრამა 2. აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით ამოცანების ჭრილში**




სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 71 აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო ცესკოს აპა-რატის რვა სტრუქტურული ერთეული, სწავლების ცენტრი და ორი სამუშაო ჯგუფი, კერძოდ:

- საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი;
- საფინანსო დეპარტამენტი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი;
- ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი);
- სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი;
- სწავლების ცენტრი.

ინფორმაცია ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის მიერ აქტივობების შესრუ-ლების სტატუსების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე (3).

**დიაგრამა 3. აქტივობების შესრულების სტატუსები მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის მიხედვით**



## დეტალური პროგრესი თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში

## სტრატეგიული პრიორიტეტი: საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს ორ სტრატეგიულ მიზანს:
- საზოგადოების ინფორმირება და განათლება;
- სამართალწარმოების პროცესის განვითარება.

### მიზანი 1. საზოგადოების ინფორმირება და განათლება

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ამოცანა | ამოცანის შედეგის 5 ინდიკატორი | 33 აქტივობა | აქტივობის შესრულების 82 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:
1.1 საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება;
1.2 ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ;
1.3 ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება.

დაგეგმილი აქტივობებიდან 32 განხორციელდა, ხოლო ერთი აქტივობის განხორციელება შეჩერებულია. აქტივობების შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (4).

**დიაგრამა 4. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით**



**ამოცანის 1.1 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 1.1** საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

1.1.1 თანამშრომლობის ფორმატების შეფასება ჩართული მხარეების (პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები) მიერ

**ამოცანის ინდიკატორთან** მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 23 იანვარს ცესკოს თავმჯდომარემ და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს შეხვედრა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელ პირებთან არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. ღონისძიება „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის" (IFES), „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის" (IRI) ტექნიკური მხარდაჭერით და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით გაიმართა. შეხვედრას 40-მდე პოლიტიკური პარტიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრის ფარგლებში ცესკოს თავმჯდომარემ მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით ცესკოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. ცესკოს ინიციატივით შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო კომპანიების „Smartmatic" და „Pro V&V" წარმომადგენლებმა, რომლებმაც შეხვედრის მონაწილეებს თავად გააცნეს ინფორმაცია 2023 წლის 1 ოქტომბრის შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებზე კომპანიის „Pro V&V" მიერ ჩატარებული აუდიტისა და მისი შედეგების, ასევე, საერთაშორისო ვენდორი კომპანიის „Smartmatic" გამოცდილების, საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების, მათ შორის, ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის აპარატების უპირატესობების შესახებ. შეხვედრის მეორე ნაწილი დისკუსიის ფორმატში წარიმართა, სადაც საარჩევნო ადმინისტრაციისა და საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლებმა მონაწილეების მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო 68 პირი, მათ შორის იყო 34 პოლიტიკური პარტიის 34 და 8 საერთაშორისო ორგანიზაციის 16 წარმომადგენელი.

2024 წლის 19 სექტემბერს ცესკოში გაიმართა შეხვედრა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით პარტიული სიების წარდგენისა და რეგისტრაციის წესთან დაკავშირებით. შეხვედრას დაესწრნენ 6 პოლიტიკური პარტიის 6 წარმომადგენელი, რომლებმაც, ცესკოს შეთავაზების პასუხად, პარტიული სიებისა და თანდართული დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენის გადაწყვეტილება მიიღეს. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.

2024 წლის 20 თებერვალს ცესკოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან არსებული ფორმატის ფარგლებში. ცესკოს თავმჯდომარემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია აქტუალური საარჩევნო საკითხების შესახებ. შეხვედრას დაესწრო 20 საერთაშორისო ორგანიზაციის (მათ შორის საელჩოების) 23 წარმომადგენელი.

2024 წლის 16 ოქტომბერს ცესკოში გაიმართა 2024 წლის არჩევნების შუალედური ანგარიშისა და საოპერაციო-სასაწყობო სივრცის პრეზენტაცია. ცესკოს თავმჯდომარემ სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, მედიის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს გააცნო ანგარიში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩასატარებლად განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ. ასევე, გააცნო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საოპერაციო-სასაწყობო სივრცე. პრეზენტაციას დაესწრო 76 პირი, მათ შორის 17 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

2024 წლის 15 თებერვალს ცესკოს თავმჯდომარემ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნო საარჩევნო ელექტრონული საშუალებების საერთაშორისო აუდიტის შედეგები. სამუშაო ჯგუფის ფორმატში გამართული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა აუდიტის ანგარიშში ასახული მიგნებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩართული მხარეებისთვის გაცნობა.

ღონისძიება გაიმართა „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა“ (IFES) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. შეხვედრას დაესწრო 25 პირი, მათ შორის 14 არასამთავრობო ორგანიზაციის 18 წარმომადგენელი.

2024 წელს, სამუშაო ჯგუფის ფორმატში, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ტექნიკური მხარდაჭერით, ცესკოს თავმჯდომარემ, გამართა შეხვედრა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და გააცნო მათ ინფორმაცია არჩევნებისთვის განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს მიმდინარე საარჩევნო საკითხები, ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მოისმინეს სადამკვირვებლო ორგანიზაციებისგან სხვადასხვა მიმართულებით გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები. ცესკოს თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ინფორმირების კამპანიისა და ტექნოლოგიების საყოველთაო დემონსტრირების შესახებ, რომელიც პასუხობდა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) რეკომენდაციას საარჩევნო ტექნოლოგიების ეროვნული მასშტაბით ტესტირების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 9 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 10-მა წარმომადგენელმა.

2024 წლის 23-24 მარტს ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში ცესკოს თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობასა და ამომრჩევლების ინფორმირების პროცესში მედიის როლის შესახებ. ასევე, შეხვედრის მონაწილეებმა უშუალოდ საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელებისგან მოისმინეს და ადგილზე იხილეს საარჩევნო ელექტრონული აპარატების მუშაობა და ტექნოლოგიების გამოყენებით პროცედურების განხორციელება. მათ, ასევე, მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია ახალი საკანონმდებლო ცვლილებებისა და კიბერ-უსაფრთხოების კუთხით არსებული დამცავი მექანიზმების შესახებ. ამასთანავე, ჟურნალისტები, გაეცნენ საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგიასა და საინფორმაციო კამპანიის დეტალებს. შეხვედრას დაესწრო 30 პირი, მათ შორის 14 მედიასაშუალების 15 წარმომადგენელი.

2024 წლის 25-26 მარტს, ევროპის საბჭოს (CoE) პროექტის **„საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“**, მედიასთან თანამშრომლობის ახალი ფორმატის ფარგლებში, გაიმართა კონფერენცია „მედია და საარჩევნო პროცესები: 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები“. კონფერენციის ფარგლებში, ცესკოს თავმჯდომარემ ისაუბრა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებზე, ასევე, მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია ჩატარებული საპილოტე არჩევნების დროს მიღებული გამოცდილების, მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ. კონფერენციის მონაწილეებმა, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ევროსაბჭოს მოწვეულ ექსპერტებთან იმსჯელეს შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგია;
- საარჩევნო ელექტრონული საშუალებების საერთაშორისო აუდიტის ანგარიში;
- საარჩევნო კომუნიკაციები და საარჩევნო კამპანიების მედია გაშუქება;
- გენერირებული ხელოვნური ინტელექტი და მისი გავლენა არჩევნებზე;
- მედიის როლი და ფუნქცია არჩევნების გაშუქებისას - საერთაშორისო სტანდარტები.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მედიის წარმომადგენლები საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების მუშაობას გაეცნენ და მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ კენჭისყრაში. კონფერენციას დაესწრო 36 პირი, მათ შორის 23 მედიასაშუალების 24 წარმომადგენელი.

2024 წელს ცესკოს ორგანიზებითა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამ-შრომლობით მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებთან გაიმართა სამი სამუშაო შეხვედრა:

- 2024 წლის 16-17 ივლისს, სამუშაო შეხვედრა გაიმართა ონლაინ მედიის წარმომადგენლებთან. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ონლაინ მედიის 23-მა წარმომადგენელმა.
- 2024 წლის 13-14 აგვისტოს სამუშაო შეხვედრა გაიმართა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო რეგიონული მედიის 25-მა წარმომადგენელმა.
- 2024 წლის 18-20 სექტემბერს სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა მედიასაშუალებების (ტელე/რადიო მაუწყებლების, ბეჭდური და ონლაინ მედია) წარმომადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 17 მედიასაშუალების 24-მა წარმომადგენელმა.

შეხვედრების ფარგლებში განხილული იყო შემდეგი მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხები:

- 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების ადმინისტრირებისთვის განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები;
- საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში, ამ მიმართულებით არსე-ბული გამოცდილება;
- ელექტრონული არჩევნების უპირატესობები;
- არჩევნების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტები;
- საარჩევნო ელექტრონული საშუალებების საერთაშორისო აუდიტის შედეგები;
- საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგია და ინფორმირების კამპანია;
- მედიის როლი და უფლებრივი მდგომარეობა კენჭისყრის პროცესში;
- ამომრჩეველთა განათლების საერთაშორისო მიდგომები;
- საარჩევნო ელექტრონული საშუალებების საერთაშორისო აუდიტის შედეგები.

ზემოაღნიშნული შეხვედრების ფარგლებში გაიმართა იმიტირებულ კენჭისყრა და მათ პირადად გამო-ცადეს საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების, ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის ელექტრონული აპარატების მუშაობა.

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ადგილობრივ ექსპერტებთან და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან გაიმართა სამი საინფორმაციო შეხვედრა:

- 2024 წლის 20 ივლისი – თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი;
- 2024 წლის 28 სექტემბერი – რუსთაველის ეროვნული თეატრი;
- 2024 წლის 29 სექტემბერი – კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

შეხვედრის მონაწილეებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს საქართველოს პარლამენტის არჩევნე-ბისთვის მზადების პროცესისა და ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა პრაქტიკაში თავად გამოცადეს ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის აპარატების მუშაობა.

**ამოცანის 1.2 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 1.2** ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

1.2.1 ინფორმირებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა (მათ შორის შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის)
1.2.2 საინფორმაციო ღონისძიებების რაოდენობა (მათ შორის მაღალმთიანი რეგიონების, შშმ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის)

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად ცესკომ გამოიყენა 16 მექანიზმი, კერძოდ: ცესკოს ვებგვერდი, სოციალური ქსელები, ცესკოს აპლიკაცია, ცესკოს ბრიფინგები, სარეკლამო/საინფორმაციო რგოლები, ვიდეოკასტები, საინფორმაციო პოსტერი, საინფორმაციო ფლაერი, ცესკოს კონტაქტ-ჰაბი, შეხვედრები ჩართულ მხარეებთან, ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია, პოპულარული აპლიკაციების და საინფორმაციო სააგენტოების გვერდები.

2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის სპეციალურად შეიქმნა ახალი ლოგო და საინფორმაციო კამპანია განხორციელდა აღნიშნული ლოგოს თანხლებით.

ამასთანავე, სოციალურ ქსელებში, ინსტაგრამსა და ტიკტოკზე შეიქმნა ახალი გვერდები:
- https://www.instagram.com/archevnebi.2024/?igsh=Z25zMG9rdTFxMDlq
- https://www.tiktok.com/@archevnebi2024?lang=en

სხვადასხვა საინფორმაციო რესურსებზე განთავსდა და გავრცელდა 384 სიახლე, მათ შორის 43 განცხადება. ჩატარდა 49 ბრიფინგი. ამასთანავე, ვრცელდებოდა ვიდეომასალა საარჩევნო პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპის შესახებ.

ტექნოლოგიებისა და საარჩევნო სიახლეების შესახებ მედიის ინფორმირების მიზნით, 2024 წლის განმავლობაში, როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან გაიმართა ხუთი სამუშაო შეხვედრა. ცესკოს ვებგვერდზე შეიქმნა საინფორმაციო ბანერი „ელექტრონული არჩევნები 2024“, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ ენახათ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია თუ დოკუმენტი. საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის ვებგვერდზე განთავსდა ბანერი სახელწოდებით – „ინფორმაცია საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის“, სადაც განთავსებული იყო დეტალური ინფორმაცია და შესაბამისი ვიდეორგოლები.

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის ცესკომ მოამზადა და ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებში განათავსა 25 საინფორმაციო ვიდეორგოლი გასამართი არჩევნების, ხმის მიცემის პროცედურების, საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების, ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების, ელექტრონული ტექნოლოგიების უპირატესობებისა და სხვა მნიშვნელოვანი საარჩევნო საკითხების შესახებ. მათ შორის, 21 ვიდეორგოლი ითარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, 11 - ინგლისურ ენაზე. ვიდეორგოლები უზრუნველყოფილი იყო ქართული ჟესტური ენის თარგმანით.

ეთნიკური უმცირესობებისთვის ნათარგმნი ვიდეორგოლები განთავსდა ცესკოს ვებ-გვერდზე, YouTube პლატფორმაზე, სოციალურ ქსელებში, საზოგადოებრივი მაუწყებლის შესაბამის პლატფორმებზე და გავრცელდა შემდეგ რეგიონულ ტელევიზიებში:

- „რადიო-ტელევიზია ფარვანა“ - სომხურ ენაზე;
- „ტელერადიო კომპანია ატვ-12“ - სომხურ ენაზე;
- „ტელეკომპანია მარნეული ტვ“- აზერბაიჯანულ ენაზე;
- „შპს ტოკ ტვ“ - სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე.

ასევე, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე გახმოვანებული აუდიო რგოლები გავრცელდა რადიო „ნორის“ საშუალებით როგორც სომხურ, ისე აზერბაიჯანულ ენებზე.

ელექტრონულ ტექნოლოგიებთან და საარჩევნო სიახლეებთან დაკავშირებით ვიდეორგოლები, განთავსდა საქართველოს რკინიგზაში, ბილეთების სალაროებთან და მატარებლებში არსებულ მონიტორებზე, ასევე კინოთეატრებში, იუსტიციის სახლის ფილიალებში.

ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მომზადდა და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ, ამომრჩევლის ბარათთან ერთად გავრცელდა, სამი სახის საინფორმაციო ფლაერი – ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა ამომრჩევლებს, რომლებიც პირველად მონაწილეობენ არჩევნებში; ხმის მიცემის პროცედურების, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების შესახებ.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ტექნიკური მხარდაჭერით მომზადდა და საარჩევნო უბნებზე განთავსდა ექვსი სახის საინფორმაციო პოსტერი - საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი; ხმის მიცემის ამსახველი პოსტერი იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდა; პოსტერი იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ჩატარდა; ფოტოვიდეოგადაღების წესი საარჩევნო უბანზე; ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის; ინფორმაცია დამკვირვებლებისთვის. აღნიშნული პოსტერები ითარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

როგორც ფლაერებზე, ისე პოსტერებზე განთავსებული QR კოდის საშუალებით ინფორმაციის მიღება შეეძლოთ, როგორც ყრუ, ისე უსინათლო პირებს. მომზადდა და ჩართულ მხარეებს გადაეცა საარჩევნო კალენდარი.

ცესკოს თავმჯდომარემ, ხელმძღვანელმა პირებმა და პრეს-სპიკერმა მონაწილეობა მიიღეს 51 სატელევიზიო და რადიოგადაცემაში. სხვადასხვა რეგიონული მედიასაშუალების გადაცემებში აქტიურად მონაწილეობდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები.

2024 წლის 17 სექტემბერს, ცესკოსთან თანამშრომლობით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო გადაცემათა ციკლი „ყველა შეკითხვა ცესკოს“. კვირაში ორჯერ გადაცემის სტუმარი იყო ცესკოს თავმჯდომარე. წინასაარჩევნო პერიოდში ეთერში გავიდა ცხრა გადაცემა.

ცესკოს თავმჯდომარის ვრცელი ინტერვიუები გამოქვეყნდა ოთხ გაზეთსა და 11 ონლაინ გამოცემაში. ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის ოფიციალურ გვერდებზე სოციალურ ქსელებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

ინტერნეტ სივრცეში, საინფორმაციო სააგენტოების ვებ-გვერდებზე განთავსდა საინფორმაციო ბანერები. სხვადასხვა პოპულარულ აპლიკაციაში (GLOVO, BORBALO, MYAUTO) განთავსდა ცესკოს ბანერი, რომლითაც შესაძლებელი იყო ცესკოს აპლიკაციაზე გადასვლა.

ამომრჩეველთა ინფორმირებისათვის გამოყენებული მექანიზმების შეფასების მიზნით, 2024 წელს ცესკომ განახორციელა გამოკითხვა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ელექტრონული ტექნოლოგიების შესახებ ჩატარებული ინფორმირების კამპანიის შეფასება. გამოკითხვა ჩატარდა 73 ოლქის ფარგლებში, საარჩევნო ადმი-

ნისტრაციის შიდა რესურსის გამოყენებით. მიღებული შედეგებით გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1005-მა რესპონდენტმა.

აღნიშნული საკითხების შესწავლა დაიწყო იმ საინფორმაციო არხების იდენტიფიცირებით, რომლითაც რესპონდენტებმა მიიღეს ინფორმაცია 2024 წლის 26 ოქტომბერის არჩევნებზე ელექტრონულ ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე. გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირდა წყაროების გამოყენების სიხშირე, რომლის საშუალებითაც ამომრჩეველმა მიიღო ინფორმაცია 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გამართვის, არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების და ხმის მიცემის შესახებ. ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (5).

**დიაგრამა 5. ინფორმაცია 2024 წლის 26 ოქტომბერს გამართული არჩევნების ინფორმირების წყაროების შესახებ.**




ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით, საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმირების კამპანიის ფარგლებში, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები საჯარო სივრცეებში, ხალხმრავალ ადგილებში (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ყველა რეგიონში) – მეტროსადგურებში, იუსტიციის სახლებში, მომსახურების სააგენტოს ფილიალებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საჯარო და კერძო უწყებებში, მედიასაშუალებებში, ხალხმრავალ დღესასწაულებზე, მუნიციპალურ დაწესებულებებში, საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, უნივერსიტეტებში, მსხვილ კორპორაციებში, თეატრებში, ბაზრებსა და ბაზრობებზე. შეხვედრების ფორმატში გაიმართა საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დემონსტრირება და იმიტირებული კენჭისყრა საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენებით, სადაც დაინტერესებულმა მოქალაქეებმა პრაქტიკაში გამოცადეს ელექტრონული აპარატების მუშაობა და მიიღეს ინფორმაცია საარჩევნო სიახლეების, ბიულეტენის შევსების წესის, ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის აპარატების მუშაობის შესახებ. საარჩევნო ადმინისტრაციის წარ-

მომადგენლებმა გაავრცელეს საინფორმაციო ბროშურები. საერთო ჯამში გაიმართა 5 000-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან და ინფორმაცია მიეწოდა 600 000-ზე მეტ მოქალაქეს. შესაბამისი პრეს-რელიზები და ფოტო-ვიდეო მასალა განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში.

საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად 2024 წელს საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა:

- 487 სახელმწიფო დაწესებულებაში, რომელშიც სულ მონაწილეობდა 13 716 პირი;
- 10 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შეხვედრებში სულ მონაწილეობა მიიღო 531-მა პირმა;
- 221 კერძო ორგანიზაციაში, სადაც მონაწილეობდა 13 921 პირი.

მედიაორგანიზაციის წამომადგენლებისთვის საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ჩატარდა საინფორმაციო სახის შეხვედრები. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია 2024 წლის არჩევნებისთვის მზადების პროცესისა და ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ პრაქტიკაში გამოეცადათ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა. მედიასთან გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 85-მა მედიაორგანიზაციამ (მათ შორის რეგიონული მედია).

საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ხმის მიცემის პროცედურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა ახალი მაშტაბური პროექტი **„ელექტრონული არჩევნების საყოველთაო დემონსტრირება“.** პროექტი 2024 წლის 6-28 ივლისის პერიოდში, ყოველ შაბათ-კვირას 11:00-დან 18:00 საათამდე, ქვეყნის მასშტაბით 64 მუნიციპალიტეტში, თბილისსა და რეგიონებში მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში მდებარე, წინასწარ განსაზღვრულ 89 ლოკაციაზე (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში) განხორციელდა და მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ მსურველს, სპეციალურ პლატფორმაზე რეგისტრაციის შედეგად, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა მსურველთა რეგისტრაცია. პროექტის ფარგლებში მოქალაქეებისთვის გაიმართა იმიტირებული კენჭისყრა, სადაც დაინტერესებულმა პირებმა გამოცადეს ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა. საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებით იმიტირებულ კენჭისყრაში მონაწილეობის მიზნით, საქართველოს მასშტაბით დარეგისტრირდა 65 321 ამომრჩეველი, მონაწილეობა მიიღო 43 864-მა (67.15%) ამომრჩეველმა.

პროექტის მიმდინარეობისას ჩატარდა გამოკითხვა, მონაწილეებს დაუსვეს ერთი შეკითხვა –„გაგიადვილდათ ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრაში მონაწილეობა?“ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 27 684-მა ამომრჩეველმა, აქედან 27 360-მა (98%) განაცხადა, რომ ტექნოლოგიების გამოყენებით მათ გაუადვილდათ კენჭისყრაში მონაწილეობა. მონაცემები წარმოდგენილია დიაგრამაზე (6).

**დიაგრამა 6. გამოკითხვის – „გაგიადვილდათ ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრაში მონაწილეობა?" შედეგები.**

**98.76 % – გაუადვილდა კენჭისყრაში მონაწილეობა**




2024 წლის 11 სექტემბერს საარჩევნო ადმინისტრაციამ ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განახორციელა მასშტაბური პროექტი – იმიტირებული კენჭისყრა. საარჩევნო უბნების ჩამონათვალი, სადაც იმართებოდა იმიტირებული კენჭისყრის პროცესი წინასწარ იყო გამოქვეყნებული ცესკოს ვებგვერდზე და მასში მონაწილეობა ნებისმიერ ამომრჩეველს შეეძლო. საარჩევნო მოხელეებმა დაინტერესებულ პირებს განუმარტეს რეგისტრაციის პროცედურები, მოქალაქეები პირადად გაეცნენ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობას. იმიტირებული კენჭისყრა ჩატარდა 598 საარჩევნო უბანზე და მასში მონაწილეობა მიიღო 122 864-მა ამომრჩეველმა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის იმიტირებული კენჭისყრა გაიმართა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 11 საარჩევნო ოლქის (საგარეჯოს გარდა) 63 საარჩევნო უბანზე. მათთვის გასაგებ ენებზე, ითარგმნა საარჩევნო ბიულეტენი. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში (1).

**ცხრილი 1. ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მიხედვით**

| საარჩევნო ოლქი | საარჩევნო უბნების რაოდენობა | ენა |
|---|---|---|
| ლაგოდეხი | 4 | ქართულ-აზერბაიჯანული |
| თელავი | 1 | ქართულ-აზერბაიჯანული |
| გარდაბანი | 7 | ქართულ-აზერბაიჯანული |
| მარნეული | 7 | 6 უბანი ქართულ-აზერბაიჯანული<br>1 უბანი ქართულ-სომხური |
| ბოლნისი | 17 | 16 უბანი ქართულ-აზერბაიჯანული<br>1 უბანი ქართულ-სომხური |
| დმანისი | 11 | ქართულ-აზერბაიჯანული |
| წალკა | 2 | 1 უბანი ქართულ-აზერბაიჯანული<br>1 უბანი ქართულ-სომხური |
| თეთრიწყარო | 1 | ქართულ-სომხური |
| ახალციხე | 5 | ქართულ-სომხური |
| ახალქალაქი | 6 | ქართულ-სომხური |
| ნინოწმინდა | 7 | ქართულ-სომხური |

აღსანიშნავია, რომ იმიტირებული კენჭისყრის პროცესმა ძირითადად ხარვეზების გარეშე ჩაიარა, ზოგიერთ საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ტექნიკური მცირე ხარვეზი, რომელსაც კენჭისყრის მიმდინარეობაზე გავლენა არ მოუხდენია.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ, საქართველოს უსინათლოთა კავშირთან და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ბათუმში, ქუთაისში, ახალციხეში, გორსა და თბილისში გამართა ხუთი შეხვედრა უსინათლო ამომრჩევლებთან. აღსანიშნავია, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი შეხვედრების ციკლი წელს პირველად გაიმართა, სადაც უსინათლო პირებმა მიიღეს ინფორმაცია 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის მზადების პროცესის, ტექნოლოგიური სიახლეებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის, კენჭისყრის დღემდე პერიოდში და კენჭისყრის პროცესში მათთვის შექმნილი სერვისების შესახებ.

უსინათლო პირებისთვის გაიმართა იმიტირებული კენჭისყრა საარჩევნო ელექტრონული აპარატებისა და უსინათლო და მცირედმხედველი პირებისთვის შექმნილი სერვისების გამოყენებით, სადაც მათ თავად გამოცადეს ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა.

საერთო ჯამში შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 191-მა უსინათლო პირმა, მათ შორის:

- 25 სექტემბერს, ქუთაისში – შეხვედრას დაესწრო 40 პირი;
- 28 სექტემბერი, ბათუმში – შეხვედრას დაესწრო 40 პირი;
- 5 ოქტომბერი, ახალციხეში - შეხვედრას დაესწრო 33 პირი;
- 6 ოქტომბერი, გორში - შეხვედრას დაესწრო 39 პირი;
- 17 ოქტომბერი, თბილისი - შეხვედრას დაესწრო 39 პირი.

*„დადებითად შეფასდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა საინფორმაციო მასალის ყველა ხელმისაწვდომი ფორმატით უზრუნველყოფა და ასევე საარჩევნო უბნებზე დამხმარე აღჭურვილობის განთავსება. ამომრჩეველთა საინფორმაციო მასალები უზრუნველყოფილი იყო ჟესტურ ენაზე შესრულებული თარგმანით და მოიცავდა ვიდეორგოლებს სმენადაქვეითებული მოქალაქეებისთვის".*
*2024 წლის 26 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), ევროპარლამენტისა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (NATO PA).*

საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, გამართა საინფორმაციო შეხვედრების ციკლი საქართველოს ყრუთა კავშირთან და ყრუ ამომრჩევლებთან. შეხვედრების მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის მზადების პროცესის, ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობის შესახებ. ყრუ პირებმა მიიღეს მონაწილეობა იმიტირებულ კენჭისყრაში და პრაქტიკაში გამოცადეს ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა.

ამასთანავე, შეხვედრების ფარგლებში გაიმართა ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების დემონსტრირება და იმიტირებული კენჭისყრა. შეხვედრების მონაწილეებმა პრაქტიკაში გამოცადეს ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა. ასევე, შეხვედრების დროს გავრცელდა არჩევნებში მონაწილეობის გზამკვლევი მარტივად წასაკითხ ფორმატში, QR კოდით, რომლის გამოყენებით ინფორმაცია ყრუ პირებისთვის იყო მისაწვდომი ქართულ ჟესტურ ენაზე.

შეხვედრები გაიმართა თბილისსა და ხუთ რეგიონში და საერთო ჯამში დაესწრო 226 პირი, ყრუ პირი და საქართველოს ყრუთა კავშირის წარმომადგენელი:

- 1 ივლისს, მარნეულში – შეხვედრას დაესწრო 28 პირი;
- 1 ივლისს, რუსთავში – შეხვედრას დაესწრო 38 პირი;
- 3 ივლისს, გორში – შეხვედრას დაესწრო 21 პირი, მათ შორის ყრუთა კავშირის ქარელის, ხაშურისა და კასპის ორგანიზაციების ხელმძღვანელები;
- 4 ივლისს, თბილისში – შეხვედრას დაესწრო 64 პირი;
- 9 ივლისს, ქუთაისში – შეხვედრას დაესწრო 35 პირი;
- 10 ივლისს, ბათუმში – შეხვედრას დაესწრო 40 პირი.

საანგარიშო პერიოდში, ცესკომ განახორციელა საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით შექმნილი სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ თამაშის „ნახე როგორ უნდა მისცე ხმა ელექტრონულ არჩევნებში“ მოდიფიცირება. ცესკოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე, მომზადდა ტექნიკური დავალება და განხორციელდა შესაბამისი პროგრამული ცვლილებები. 2024 წელს, აღნიშნული აპლიკაციით ისარგებლა 24 895-მა უნიკალურმა მომხმარებელმა.

ამომრჩეველთა და საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარის ინფორმირების მიზნით, ცესკომ შეიმუშავა აპლიკაცია, რომლის საშუალებით შესაძლებელი იყო ყველა სიახლისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება ერთ აპლიკაციაში. მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან აპლიკაციის საშუალებით შესაძლებელი იყო ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმება, ხმის მიცემის პროცედურები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ, საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის პროცედურები.

ცესკოს კონტაქტ-ჰაბი (032 2 510051) უზრუნველყოფდა ამომრჩევლებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებას. კონტაქტ-ჰაბში შემოვიდა 29 699 ზარი, ონლაინ ჩათში - 8 880 შეტყობინება, გაიგზავნა 1 948 მოკლე ტექსტური შეტყობინება და განხორციელდა 1 147 ზარი. შემოსული კითხვები ძირითადად ეხებოდა ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმებასა და კენჭისყრის დღის პროცედურების განმარტებას.

ცესკოს მიერ ოპერატიულად ვლინდებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ გავრცელებული დისკრედიტაციული ინფორმაცია:

- დამუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ მედიაში გავრცელებული 6066 ინფორმაცია;
- გამოვლინდა უწყების წინააღმდეგ გავრცელებული იმიჯის შემლახავი 320 ინფორმაცია;
- გამოვლინდა 1023 მანიპულაციური ინფორმაცია;
- გამოვლინდა 937 დეზინფორმაცია;
- მომზადდა და ცესკოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საინფორმაციო სივრცის კვლევის 4 (ოთხი) ანგარიში.

განცხადებები ძირითადად შეეხებოდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებულ არჩევნებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას, ცესკოს თავმჯდომარესა და თანამშრომლებს. აღნიშნულის საპასუხოდ, ჩართულ მხარეებსა და ამომრჩევლებს მუდმივად მიეწოდებოდათ გადამოწმებული და სწორი ინფორმაცია.

2024 წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო კონფერენციის ჩატარება თემაზე „არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი მონაწილეობა - საარჩევნო ადმინისტრაციის მიღწევები და გამოწვევები“. აღნიშნული აქტივობის შესრულებისთვის განხორციელდა კონფერენციის მოსამზადებელი საორგანიზაციო სამუშაოები და განისაზღვრა თემები პანელური დისკუსიისთვის. თუმცა, დონორი ორგანიზაციის, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES), თხოვნით კონფერენციის ჩატარება გადაიდო. შესაბამისად აღნიშნული აქტივობის განხორციელება შეჩერებულია.

**ამოცანის 1.3 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 1.3** ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

1.3.1 საინფორმაციო/სასწავლო პროგრამებში მონაწილეთა უმეტესობის დადებითი შეფასება
1.3.2 საინფორმაციო/სასწავლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა

2024 წლის 12-29 თებერვლის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან პარტნიორობით განახორციელეს მასშტაბური **საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“**. პროექტი განხორციელდა 64 მუნიციპალიტეტში განლაგებულ 353 საჯარო სკოლაში.

პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობას. საარჩევნო რეფორმის შესაბამისად განახლებული პროგრამის ფარგლებში XI-XII კლასის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- არჩევნების მოდერნიზაცია და ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა;
- კენჭისყრის პროცესის საარჩევნო ტექნოლოგიებით (აპარატებით) ჩატარების სიახლეები;
- ამომრჩევლის როლი და მათთვის დანერგილი საარჩევნო სერვისები;
- საარჩევნო უფლების რეალიზება, ფარულობა და დაცულობა კენჭისყრის პროცესში;
- ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა და საარჩევნო აპარატების გამოყენებით ხმის მიცემის პროცესში შშმ ამომრჩევლების დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა პრაქტიკული სწავლებაც გაიარეს და მათი მონაწილეობით იმიტირებული არჩევნები ჩატარდა. პროექტი განახორციელა სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 101-მა ტრენერმა.

საინფორმაციო-სასწავლო კურსი 353 საჯარო სკოლის 7 412-მა მოსწავლემ გაიარა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, გარდაბანი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა) განლაგებული 54 საჯარო სკოლის 1 085-მა მოსწავლემ.

2024 წლის 26 თებერვლიდან 7 მარტის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან პარტნიორობით, განახორციელეს მასშტაბური საინფორმაციო პროექტი **„დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“** საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის. სიახლის სახით წარმოდგენილი პროექტი ემსახურება ახალგაზრდა თაობის სამოქალაქო საარჩევნო ცნობიერების ამაღლების კომპლექსური ამოცანის შესრულებას.

პროექტის ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამა ითვალისწინებდა შემდგომში არჩევნების მოდულზე საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის ხელშეწყობას და მოსწავლეებისთვის განახლებული ინფორმაციის გაზიარებას. ამ მიზნებისთვის პედაგოგებს გადაეცათ სპეციალურად მომზადებული დამატებითი საინფორმაციო რესურსი, რომელიც მოიცავდა განსახილველ საარჩევნო თემატიკას, თემის განვრცობისთვის განკუთვნილ საკითხავ მასალას, პრაქტიკულ სავარჯიშოებს და სარეკომენდაციო მითითებებს ჩატარების მეთოდოლოგიის შესახებ. ამასთან, შეხვედრების ფარგლებში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ამომრჩევლის როლის მნიშვნელობა და პოლიტიკური კულტურის ასპექტები;
- დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტები;
- არჩევნების მოდერნიზაციის ტენდენციები და ხმის მიცემის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება;
- ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზება, ფარულობა და დაცულობა კენჭისყრის პროცესში;
- ინკლუზიური საარჩევნო გარემო;
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული საარჩევნო სერვისები.

პედაგოგები ასევე პრაქტიკაში გაეცნენ ელექტრონული აპარატებით კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას და მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ არჩევნებში.

სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა პოზიტიურად შეაფასეს პროექტი, რომელიც ფოკუსირებული იყო ახალგაზრდებზე, ვისაც ახლო მომავალში პირველად ექნებოდათ შეხება არჩევნებთან. უკუგების ფორმატში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გადაცემული სასწავლო მასალა, გამოყენებული როლური თამაშები/სიმულაციები და გაზიარებული სასწავლო მეთოდოლოგია მორგებული იყო მოსწავლეების ასაკთან, ინტერესებთან და ხელს შეუწყობდა საარჩევნო სიახლეების გაცნობასა და ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის გათავისებაში.

საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა 22 მუნიციპალიტეტში (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 7 მუნიციპალიტეტში) მოქმედ საგანმანათლებლო რესურსცენტრებში (თბილისი, მცხეთა, დუშეთი, საგარეჯო, თელავი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, გორი, ხაშური, ახალციხე, ახალქალაქი, ქუთაისი, წყალტუბო, ზესტაფონი, ამბროლაური, ოზურგეთი, ჩოხატაური, ხობი, ბათუმი, ქობულეთი, ზუგდიდი).

საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა 533-მა პირმა მიიღო, მათ შორის 473 საჯარო სკოლის 478-მა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა და 23 საგანმანათლებლო რესურსცენტრის 55-მა წარმომადგენელმა.

სწავლების ცენტრმა, საანგარიშო პერიოდში, პარტნიორ უნივერსიტეტებში განახორციელა საავტორო პროგრამა **“საარჩევნო სამართალი”**. აღნიშნული პროგრამა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო ბადეში გაზაფხული/შემოდგომის სემესტრში ჩატარდა. სასწავლო პროექტმა მოიცვა იურიდიული, სოციალურ მეცნიერებათა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის III-IV კურსის სტუდენტები, რომლებიც პროფილური მიმართულებების გათვალისწინებით შემუშავებული სილაბუსის მიხედვით გაეცნენ არჩევნებთან დაკავშირებულ შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციებს და საერთაშორისო საარჩევნო პრაქტიკას, მიიღეს ინფორმაცია არჩევნების მოდერნიზების მიზნით შემოტანილ ელექტრონულ ტექნოლოგიურ სიახლეებზე და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებულ საარჩევნო სერვისებზე.

სასწავლო პროცესს უძღვებოდა სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული 6 ლექტორი. პროგრამა განხორციელდა 10 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის რეგიონებში არსებულ 4 უნივერსიტეტში:

- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი (ბათუმის წარმომადგენლობა);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

- სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტებში სემესტრულ სასწავლო პროგრამაში „საარჩევნო სამართალი“ მონაწილეობა მიიღო 945-მა სტუდენტმა.

2024 წლის 20-24 მაისისა და 22 ივნისის პერიოდში, საარჩევნო პროცესში დანერგილი სიახლეების პოპულარიზაციისა და ახალგაზრდების აქტიურ, ინფორმირებულ ამომრჩევლებად ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში განახორციელა სასწავლო-საინფორმაციო პროექტი **„ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“** უნივერსიტეტების და საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის ეროვნული ასოციაციის სტუდენტებისთვის.

შეხვედრების ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ საერთაშორისო ტენდენციებს არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, განიხილეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული სერვისები და ელექტრონული აპარატებით კენჭისყრის ჩატარების სიახლეები. სწავლების ცენტრმა ელექტრონული აპარატების გამოყენებით, ახალგაზრდების ჩართულობით ჩატარდა იმიტირებული კენჭისყრა. შეხვედრებში მონაწილეობა 218-მა სტუდენტმა მიიღო.

საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის ეროვნული ასოციაციის ინიციატივით თბილისში, ასევე, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თბილისსა და რეგიონებში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობა; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2024 წლის 5 სექტემბერს საარჩევნო ადმინისტრაციამ გამართა დისტანციური სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა **პოლიტიკური პარტიების პოტენციური წარმომადგენლებისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების პოტენციური დამკვირვებლებისთვის.** საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა, ელექტრონული ტექნოლოგიები და საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გამოცდილება, საპილოტე რეჟიმში ჩატარებული არჩევნები და ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის შედეგები. შეხვედრების ფარგლებში, ასევე გაიმართა იმიტირებული კენჭისყრა საარჩევნო ტექნოლოგიების, მათ შორის ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის ელექტრონული აპარატების გამოყენებით. შეხვედრებში მონაწილეობა საარჩევნო ადმინისტრაციამ იმ 30 პარტიას შესთავაზა, რომლებსაც 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის მიენიჭათ რიგითი ნომრები. რაც შეეხება დამკვირვებელ ორგანიზაციებს, ამ შემთხვევაში ცესკომ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა იმ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შესთავაზა, რომლებმაც 2021 წლის არჩევნებისთვის „ეთიკის კოდექსს“ მოაწერეს ხელი. 30 პარტიიდან სასწავლო საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობის სურვილი ცხრამ, ხოლო 21 სადამკვირვებლო ორგანიზაციიდან – ექვსმა გამოთქვა. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას განსაზღვრული ჰქონდა საინფორმაციო-სასწავლო შეხვედრებზე 15 400 წარმომადგენლის დასწრება, მათ შორის პარტიების 12 200, ხოლო სადამკვირვებლო ორგანიზაციების – 3 200 წარმომადგენლის. შეხვედრაზე დასწრების სურვილი გამოთქვა პოლიტიკური პარტიის 1 592-მა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების 461-მა წარმომადგენელმა, თუმცა საბოლოო ჯამში ამ შესაძლებლობით პოლიტიკური პარტიების მხოლოდ 597-მა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების 277-მა წარმომადგენელმა ისარგებლა.

2024 წლის 17 სექტემბერს, ღია საკომუნიკაციო პლატფორმის ფორმატში, არჩევნების მთლიანობის უზრუნველსაყოფად მოქმედი სტრატეგიის ფარგლებში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიმართულებით ჩართულ მხარეებთან საინფორმაციო-სასწავლო პროექტი განახორციელა. დისტანციურ ფორმატში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. შეხვედრა სწავლების ცენტრის მიერ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის შემუშავებული პროფილური სასწავლო კურსის მიხედვით ჩატარდა. საარჩევნო სიახლეებზე ჩართული მხარეების ინფორმირების ამოცანის გათვალისწინებით, სწავლების ცენტრმა მონაწილეებთან შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილა: ელექტრონული აპარატების გამოყენებით არჩევნების ჩატარების საერთაშორისო სტანდარტები; ტექნოლოგიური სიახლეები და კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობის პრაქტიკული ასპექტები; ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის გარანტირებულობა; არჩევანის ფარულობის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა; ინკლუზიური საარჩევნო გარემო და შესაბამისი მექანიზმები; კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა; 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის დანერგილი სერვისები.

შეხვედრაში მონაწილეობა 123-მა პირმა მიიღო, მათ შორის, 11 პოლიტიკური პარტიის (გირჩი; ევროპელი დემოკრატები; ევროპელი სოციალისტები; ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის; ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობა; კი ევროპას – სტრატეგია აღმაშენებელი; მოქალაქეები; სამართლიანობისთვის; საქართველოს პატრიოტთა ალიანსი; ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო; ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!) 86-მა წარმომადგენელმა და 8 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის (ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია; დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი; კავშირი საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო; მასმედიისა და უფლებების დაცვის ცენტრი; მესხეთის სამოქალაქო საზოგადოება; სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; ყოფილი პოლიტპატიმრები-ადამიანის უფლებებისათვის) 37-მა წარმომადგენელმა.

შეხვედრას დააკვირდნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ეუთოს/ოდირის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები.

2024 წლის 18-20 სექტემბერს ცესკოსა და სწავლების ცენტრის ორგანიზებითა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა **ადგილობრივი მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებთან.** შეხვედრის მიზანი იყოს მედიასაშუალებების (ტელე/რადიო მაუწყებლების, ბეჭდური და ონლაინ მედია) წარმომადგენლების/ ჟურნალისტების ინფორმირება 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტების, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობისა და ელექტრონული არჩევნების უპირატესობების შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა ცესკოს, სწავლების ცენტრისა და IFES-ის წარმომადგენლებისგან მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო ელექტრონული საშუალებების საერთაშორისო აუდიტის შედეგები, საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგია და ინფორმირების კამპანია, არჩევნების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტები, მედიის როლი და უფლებრივი მდგომარეობა კენჭისყრის პროცესში და ამომრჩეველთა განათლების საერთაშორისო მიდგომები. გაიმართა დისკუსია, რომლის ფარგლებში ჟურნალისტებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე. მედიის წარმომადგენლებისთვის გაიმართა იმიტირებულ კენჭისყრა და მათ პირადად გამოცადეს საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების, ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის ელექტრონული აპარატების მუშაობა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 17 მედიასაშუალების 24-მა წარმომადგენელმა.

2024 წლის 15 ოქტომბერს სწავლების ცენტრმა, დისტანციურ ფორმატში, გამართა შეხვედრა სპეციალური პენიტენციური სამსახურის **პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებთან.** საინფორმაციო პროექტი საარჩევნო ადმინისტრაციას და პენიტენციურ სამსახურს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის ასპექტებს მოიცავდა და პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ამომრჩევლების 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობას ემსახურებოდა. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროფილური პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: პენიტენციურ დაწესებულებაში აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირები და უფლების რეალიზების გარანტიები; საარჩევნო უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების მიზნით სააგიტაციო მასალისა და ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი საინფორმაციო რესურსის განთავსების წესი; პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი საარჩევნო უბნის მოწყობა და უსაფრთხოების სტანდარტები; ხმის მიცემის პროცედურა პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ საარჩევნო უბანზე/ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით; ამომრჩევლის ხმის მიცემის ფარულობის, ნების თავისუფალი გამოვლენის, პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიები; კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები და მათი უფლებრივი მდგომარეობა; პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის მიმდინარეობის ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 14 პენიტენციური დაწესებულების 27-მა წარმომადგენელმა.

2024 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით, ცესკოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა საარჩევნო პერიოდში მხარეთა შორის თანამშრომლობის ფორმები და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო. ამასთან, მემორანდუმი ითვალისწინებდა ცესკოს წარმომადგენლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მონაწილეობით ერთობლივი ტრენინგების ორგანიზებას.

2024 წლის 1-18 ოქტომბრის პერიოდში, ინიცირებული თანამშრომლობის ფარგლებში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, **პოლიციელებისთვის** ჩაატარეს სპეციალიზებული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა. კურსი ჰიბრიდული მეთოდით ჩატარდა. ინფორმირების პროგრამაში პოლიციელების მაქსიმალური რაოდენობით ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, სატრენინგო სესიები გაიმართა, როგორც ადგილზე, შსს აკადემიის ტერიტორიაზე, ისე დისტანციური პლატფორმის გამოყენებით. შეხვედრის ფორმატში სწავლების ცენტრის და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან განიხილეს შემდეგი საკითხები: საარჩევნო ადმინისტრაციასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ეფექტიანი კომუნიკაცია უსაფრთხო და მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად; კენჭისყრის დღემდე პერიოდში და კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების მიზნით რისკების იდენტიფიცირება, პრევენცია და რეაგირების მექანიზმები. საინფორმაციო სასწავლო კურსი პოლიციის 1 276-მა თანამშრომელმა გაიარა.

2024 წლის 4 და 7 ოქტომბერს, სწავლების ცენტრმა, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან პარტნიორობით, **არჩევნებზე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების ქალ წარმომადგენლებთან** საინფორმაციო ღონისძიებები ჩაატარა. სტრატეგიული ამოცანის შესაბამისად, სწავლების ცენტრის ტრენერებმა, თემატურად შემუშავებული საინფორმაციო სასწავლო პროგრამის ფარგლებში, პოლიტიკურ პარტიების ქალ წარმომადგენლებთან შემდეგი ძირითადი საკითხები განიხილეს: საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობა; წარმატებული ქალების მაგალითები საარჩევნო/პოლიტიკურ ცხოვრებაში; გენდერული სტერეოტიპები, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა, კიბერ-შევიწროება და მათი დაძლევისთვის საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული ინსტრუმენტები. ამასთან, საარჩევნო ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირების მიზნით, შეხვედრაზე განხილულ იქნა საარჩევნო რეფორმით გათვალისწინებული ტექნოლოგიური სიახლეები. მეტი თვალსაჩინოებისთვის მონაწილეები უშუალოდ ჩაერთნენ ელექტრონული აპარატების გამოყენებით ხმის მიცემის პროცესის სიმულაციაში.

საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. ბათუმში პირისპირ ფორმატში და ქ. თბილისში დისტანციური პლატფორმის გამოყენებით. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა და საჯარო პოლიტიკაში აქტიურად ჩართულმა ქალებმა - ჯამში 40 მონაწილე.

მხარდაჭერის მიმღები პირების არჩევნებში მონაწილეობის საკითხის ფარგლებში 2024 წელს პირველად, ცესკომ მოამზადა არჩევნებში მონაწილეობის გზამკვლევი მარტივად წასაკითხ ფორმატში ქართულ ენაზე (ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით და ტრადიციული წესით გასამართი კენჭისყრისთვის). გზამკვლევზე დატანილი QR კოდის მეშვეობით ინფორმაცია მისაწვდომი იყო ყრუ პირებისთვის ჟესტურ ენაზე, ხოლო უსინათლო პირებისთვის – აუდიო ფორმატში. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) დახმარებით გზამკვლევი ითარგმნა აზერბაიჯანულ, სომხურ, ინგლისურ ენებზე და გავრცელდა გამართული შეხვედრების დროს. გარდა ამისა, გზამკვლევში ასახული ინფორმაცია სასარგებლო იყო ნებისმიერი პირისთვის, ვისაც სურდა ინფორმაციის მარტივად წასაკითხ ფორმატში მიღება, მათ შორის ხანდაზმული ამომრჩევლებისთვის.

2024 წლის 3 ივლისს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თანამშრომლობითა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, სწავლების ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო-სასწავლო კურსი **არჩევნებში მხარდაჭერის მიმღები პირების** მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სწავლების ცენტრმა შექმნა სასწავლო მოდული მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის მარტივად წასაკითხ ფორმატში შემუშავებული არჩევნებში მონაწილეობის გზამკვლევის მიხედვით. შეხვედრას დაესწრნენ თბილისში მოქმედი მხარდაჭერის მიმღები პირების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საინფორმაციო-სასწავლო კურსის მონაწილეებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის დანერგილი ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, ამასთან პრაქტიკაში თავად გამოცადეს ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა. სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის მეშვეობით საინფორმაციო კურსის მონაწილეებმა შემდგომში თავად გადაამზადეს 144 ბენეფიციარი (მხარდაჭერის მიმღები პირები), გააცნეს მათ ხმის მიცემის პროცესში ამომრჩევლებისთვის გათვალისწინებული სიახლეები და საარჩევნო სერვისები.

პროექტში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში მოქმედი მხარდაჭერის მიმღები პირების საკითხებზე მომუშავე 8 ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციის 12-მა წარმომადგენელმა:

- შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“
- „ბარბარე 21“;
- „ხელი-ხელს“;
- შპს „დათე“;
- „ჩემი ოჯახი“;
- „სათნოების გზა“;
- ააიპ „ბასილიადა“;
- ასოციაცია „ანიკა“.

2024 წლის 8 ივლისიდან 8 აგვისტოს პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა პროექტი **„საარჩევნო განვითარების სკოლა“**, რომელიც ახალი კონცეპციის შესაბამისად, ასევე, ითვალისწინებდა სასწავლო პროგრამის **„ცესკოს ახალგაზრდული ბანაკი“** განხორციელებას, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 64 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 12 მუნიციპალიტეტში (საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, წინოწმინდა). ახალი კონცეფციით, პროექტის მიზანს წარმოადგენდა საარჩევნო საკითხებთან, განსაკუთრებით კი, ელექტრონულ ტექნოლოგიებთან

დაკავშირებით მონაწილეების ცნობიერების ამაღლება, საარჩევნო ადმინისტრაციის პოტენციური საკადრო რესურსის ფორმირება, ასევე პოტენციური საარჩევნო ადმინისტრატორების გადამზადება. პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდათ 18-დან 45-წლამდე საქართველოს მოქალაქეებს. ოთხდღიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ პროფესიულ დონეზე შეესწავლათ ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების მუშაობის სპეციფიკა. პროექტის ფარგლებში სწავლება განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის 175-მა ტრენერმა. პროექტში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 4 424, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 590.

ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისთვის პროექტის **„საარჩევნო მედიასკოლა“** განხორციელების მიზნით, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. შემუშავდა პროექტის კონცეფცია. განისაზღვრა სასწავლო კურსის საკითხები და პროექტის მონაწილეთა შესარჩევი კრიტერიუმები. მომზადდა სააპლიკაციო ფორმა. თუმცა, საჭიროებების გათვალისწინებით, პროექტის განხორციელება დაგეგმილია 2025 წელს.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების მიმართ მიზნობრივი ჯგუფების დაბალი ინტერესით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

## მიზანი 2. სამართალწარმოების პროცესის განვითარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 3 ინდიკატორი | 7 აქტივობა | საქმიანობის შესრულების 12 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

2.1 საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება;

2.2 სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება.

დაგეგმილი აქტივობიდან ყველა განხორციელდა. აქტივობების შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (7).

**დიაგრამა 7. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით**



**ამოცანის 2.1 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 2.1** საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

2.1.1 საარჩევნო დავების განხილვასთან დაკავშირებით OSCE/ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა

**ამოცანის ინდიკატორთან** მიმართებით, აღსანიშნავია, რომ 2024 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ადმინისტრირება გაუწია საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის არჩევნებს, რომელსაც დააკვირდა ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისია. არჩევნების შესახებ ანგარიში წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესების მიზნით ცესკოს თავმჯდომარემ და ხელმძღვანელმა პირებმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან თანამშრომლობით გამართეს სამუშაო შეხვედრები საქართველოს უზენაესი, სააპელაციო, საქალაქო და რაიონული სასამართლოების ადმინისტრაციული საქმეების განმხილველ მოსამართლეებთან. შეხვედრის მონაწილეებს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია კენჭისყრის პროცესში საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვის, ელექტრონული არჩევნების სამართლებრივი მოწესრიგების, საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით ცესკოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, ელექტრონული საშუალებების შესაბამისობის აუდიტის შედეგებისა და საარჩევნო დავებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესახებ.

სამუშაო შეხვედრები ასევე გაიმართა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს გაუზიარეს ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეების, საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებლების უფლება-მოვალეობების, ბიულეტენის შევსების წესის, ბათილი ბიულეტენების, საჩივრის წარდგენის წესისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის აგვისტოს თვეში, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრები – **„საარჩევნო დავების გადაწყვეტა (ერთგვაროვანი და ეფექტიანი განხილვა და გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთება)"**. აღნიშნული ღონისძიება, თავის მხრივ, პასუხობს ეუთო/ოდირის იმ მნიშვნელოვან რეკომენდაციებს, რომელიც წინა საერთო არჩევნების შემდგომ გამოქვეყნდა.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

- საკანონმდებლო ცვლილებები – საარჩევნო დავების წარმოება და ერთგვაროვანი განხილვა;
- საარჩევნო დავის ეფექტიანი გადაწყვეტა – საერთაშორისო ვალდებულებები, ეუთოს სტანდარტები და რეკომენდაციები და შედარებითი პრაქტიკა;
- საარჩევნო დავებზე ეროვნული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა - გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტები.

ტრენინგი ჩაუტარდა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 146 ხელმძღვანელ პირს.

2024 წლის სექტემბრის თვეში საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის (თავმჯდომარე, მდივანი) ჩატარდა ტრენინგები საარჩევნო დავებთან დაკავშირებით არსებული ონლაინ პლატფორმების გამოყენების შესახებ, საჩივრების რეესტრის და საჩივრის ელექტრონული ფორმით შეტანისა და მინდობილ პირთა ელექტრონული რეესტრის წარმოების წესთან დაკავშირებით. ტრენინგი ჩაუტარდა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 146 ხელმძღვანელ პირს.

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე მთლიანობაში კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებში ჯამურად წარმოდგენილი იყო 1 201 საჩივარი. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში ჩატარებული საერთო არჩევნების ჭრილში შეინიშნება საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრების რაოდენობის კლების ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრების უმეტესობა შეფასდა როგორც არსებითად განხილული, ეუთო/ოდირის მიერ განხორციელებული სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში ვხვდებით საარჩევნო დავებთან დაკავშირებულ ერთ რეკომენდაციას, რომელიც ხაზს უსვამს საარჩევნო კომისიების მიერ დავების კოლეგიალურად, საჯარო სხდომებზე განხილვისა და სათანადოდ გამოძიების საჭიროებას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიამ დადებითად შეაფასა ცესკოს ონლაინ საჩივრების ბაზა, რაც ხელს უწყობს საჩივრებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას:

„ცესკო ინარჩუნებს ონლაინ მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავს საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მიერ განხილულ საჩივრებს და ეს ბაზა, ზოგადად, სრულყოფილი იყო“.

საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესების მიზნით განახლდა და გამოქვეყნდა ორი დოკუმენტი:

- სახელმძღვანელო საარჩევნო დავების შესახებ;
- სახელმძღვანელო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საანგარიშო პერიოდის დროს გამოქვეყნებული დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი. ანალიზის დოკუმენტი წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელ პირებს. ასევე, განხორციელდა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების დროს ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრების სამართლებრივი და სტატისტიკური ანალიზი, რის შედეგადაც შეიქმნა საჩივრების სამართლებრივი ანალიზის დოკუმენტი. საჩივრების შესახებ სტატისტიკა დამუშავდა და გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე. დეტალური ინფორმაცია საჩივრების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში (2).

**ცხრილი 2. ინფორმაცია საჩივრების შესახებ**

| | |
|---|---|
| სულ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა | 1 201 |
| საჩივრები, რომელიც ეხებოდა- საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობას ან გადათვლას | 537 |
| საჩივრები, რომელიც ეხებოდა- დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნას | 515 |
| საჩირვები, რომელშიც დაფიქსირებული იყო მოთხოვნა შესაბამისი რეაგირების თვალსაზრისით ან შესაბამისი ქმედების განხორციელების თაობაზე | 102 |
| საჩივარი მოთხოვნის გარეშე | 47 |

საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრებიდან:

- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ან დაკმაყოფილდა 168;
- არ დაკმაყოფილდა 923;
- განუხილველად დარჩა 107 საჩივარი;
- საჩივარი გაითხოვეს სამ შემთხვევაში.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეკომენდაციების არაერთგვაროვანი გათვალისწინებით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

**ამოცანის 2.2 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 2.2** სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**

2.2.1 საარჩევნო პროცედურების დაზუსტებისთვის ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებების რაოდენობა

2.2.2 ცესკოს მიერ საკანონმდებლო ორგანოში წინადადებების წარდგენა

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ საარჩევნო პროცედურების დაზუსტების მიზნით, ცესკომ 2024 წელს მიიღო 33 დადგენილება. მიღებული დადგენილებები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრას;
- კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრას;
- საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შესასრულებელი ზოგიერთი ფუნქციის ახლებურად განხორციელებას;
- თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მერობის კანდიდატის წარდგენისა და რეგისტრაციის პროცედურების აღმწერ ინსტრუქციაში ზოგიერთი პროცედურის ახლებურად განსაზღვრას;
- მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მერობის კანდიდატის წარდგენისა და რეგისტრაციის პროცედურების აღმწერ ინსტრუქციაში ზოგიერთი პროცედურის ახლებურად დარეგულირებას;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შუალედური არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენისა და რეგისტრაციის პროცედურების აღმწერ ინსტრუქციაში ზოგიერთი პროცედურის ახლებურად განსაზღვრას;
- ფიზიკური მდგომარეობის გამო ზოგიერთი ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პროცედურის განსაზღვრას;
- ფიზიკური მდგომარეობის გამო საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი პარლამენტის ზოგიერთი წევრობის კანდიდატის მიერ საარჩევნო რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრას;
- საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცებას;
- საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცებას;
- კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრას;

- საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცებას;
- საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნების ერთდროულად გამართვის გამო ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრას;
- პარტიების მიერ კომისიის წევრთა, საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმომადგენელთა, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატთა და ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა დანიშვნის/წარდგენისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციის შესახებ ელექტრონული საშუალებებით განცხადებების წარდგენის, რეგისტრაციის წესისა და პირობების განსაზღვრას;
- საარჩევნო უბნის შექმნის დამატებითი ვადისა და ამ საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ღონისძიებების განსაზღვრას;
- 2024 წლის 26 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიის ფორმირების დამატებითი წესის განსაზღვრას;
- 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების სპეციალურ ჯგუფებად შესაძლო გარდაქმნას;
- ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნის შექმნის დამატებითი ვადისა და ამ საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ღონისძიებების განსაზღვრას;
- საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 14 დეკემბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების განსაზღვრას;
- საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 14 დეკემბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და პროცედურის განსაზღვრას.

2024 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვანი აღქმის შესახებ ჩატარდა ტრენინგები. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეების, საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებლების უფლება-მოვალეობებისა და საარჩევნო დავების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე მიიღეს ვრცელი ინფორმაცია საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით არსებულ სიახლეებზე, მათ შორის ბიულეტენის შევსების წესის, ბათილი ბიულეტენების, საჩივრის წარდგენის წესისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდა საარჩევნო სუბიექტების 14 წარმომადგენელი და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების 10 დამკვირვებელი.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ 2024 წელს საარჩევნო ადმინისტრაციას საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება არ წარუდგენია. შესაბამისად, არ დამდგარა ამოცანით გათვალისწინებული ცესკოს მიერ წარდგენილი წინადადებების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული რისკ ფაქტორი.

## სტრატეგიული პრიორიტეტი: ინსტიტუციური გაძლიერება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:

- მართვის ეფექტიანობის ზრდა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება.

### მიზანი 3. მართვის ეფექტიანობის ზრდა

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 3 ინდიკატორი | 10 აქტივობა | აქტივობის შესრულების 15 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:
3.1 მართვის ხარისხის გაუმჯობესება;
3.2 მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება.

დაგეგმილი აქტივობებიდან ცხრა განხორციელდა და ერთი შეჩერდა. აქტივობების შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (8).

**დიაგრამა 8. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით**




**ამოცანის 3.1 ინდიკატორთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგი**

**ამოცანა 3.1** მართვის ხარისხის გაუმჯობესება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

3.1.1 თანამშრომლების მიერ მართვის ინსტრუმენტების შეფასება

2024 წელს მართვის ხარისხის (ISO) სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მაისი თვეში განხორციელდა შიდა აუდიტი, ხოლო ივნისის თვეში საერთაშორისო აუდიტორის მიერ დისტანციურად განხორციელდა საკონტროლო აუდიტი. შიდა და გარე აუდიტი წარმატებით განხორციელდა და ცესკომ შეინარჩუნა მის მიერ მოპოვებული საერთაშორისო სერტიფიკატი. აუდიტის შედეგად

დადასტურდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიზნები, ამოცანები, პერფორმანსის მონიტორინგი და ანგარიშგება შეესაბამება ხარისხის მენეჯმენტის მიერ მოთხოვნილ ყველა სტანდარტს. შიდა აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ:

*„საარჩევნო პროცესში მუდმივად ინერგება სიახლეები და დაინტერესებულ მხარეებს მუდმივად მიეწოდებათ ხარისხზე ორიენტირებული, გამჭვირვალობისადმი მიმართული მომსახურება. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია მუდმივად ზრუნავს გაუმჯობესებაზე და ახორციელებს მთელ რიგ ინოვაციურ პროექტებს“.*

მართვის ხარისხის გაუმჯობესებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შიდა და გარე აუდიტის მიერ მართვის ხარისხთან მიმართებით რეკომენდაცია არ დაწერილა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომელთა სამუშაო კმაყოფილების განსაზღვრის მიზნით, 2024 წელს ჩატარდა ცესკოს აპარატის თანამშრომელთა გამოკითხვა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 128 თანამშრომელმა. კვლევის ანგარიში წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ 2024 წელს თანამშრომელთა მიერ მართვის ინსტრუმენტების შეფასების მიზნით, ჩატარდა ცესკოს აპარატის თანამშრომელთა გამოკითხვა. გამოკითხულმა თანამშრომლებმა შეაფასეს მათი უშუალო ხელმძღვანელის მიერ გამოყენებული მართვის ინსტრუმენტები და მეთოდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით თანამშრომელთა უმრავლესობამ აღნიშნული საკითხები დადებითად შეაფასა.

საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი აქტივობა, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით თანამშრომელთა შეფასების სისტემის მოდიფიცირებას, აღნიშნულ პერიოდში მეტწილად განხორციელდა, თუმცა შეჩერდა. ამოცანით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელება იგეგმება მომავალ საანგარიშო პერიოდში.

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების მმართველობითი უნარების გაძლიერების, ასევე, კომისიის წევრების საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესის გაუმჯობესებისთვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით, ჩატარდა ოთხი სამუშაო შეხვედრა, რომლებსაც დაესწრო საოლქო საარჩევნო კომისიების 164 ხელმძღვანელი პირი. აღნიშნული სამუშაო შეხვედრების თემატიკა მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- საქმიანობების სწორად დაგეგმვა და ორგანიზება;
- საქმიანობების განხორციელების პროცესში კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდა;
- მოტივაციის არსი და მნიშვნელობა;
- უკუკავშირის არსი და მნიშვნელობა.

საარჩევნო ადმინისტრაციაში ახლადდანიშნული თანამშრომლებისთვის ჩატარდა საორიენტაციო სამუშაო შეხვედრები. შეხვედრას დაესწრო ცესკოს აპარატის და საოლქო საარჩევნო კომისიების 115 თანამშრომელი. ამასთანავე, მართვის ხარისხის გაუმჯობესების ფარგლებში ცესკოს აპარატის, ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიების თანამშრომელთა პირადი საქმეების სისტემატიზაციის მიზნით, სრულად განახლდა თანამშრომელთა სამსახურებრივი და კარიერული მოღვაწეობის შესახებ არსებული პირადი დოკუმენტაცია. ასევე, განახლდა ცესკოს აპარატის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები.

საანგარიშო პერიოდში, სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების შესახებ მომზადდა და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა განახლებული სახელმძღვანელო დოკუმენტი. სწავლების მონიტორინგის განხორციელების წლიური გეგმის შესაბამისად, სწავლების მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო მასალები და განახორციელა შემდეგი 2 სასწავლო პროგრამის მონიტორინგი:

- სასწავლო პროგრამა „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენერთა გადამზადება“;
- სასწავლო პროგრამა „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა გადამზადება“ .

ზემოაღნიშნული სასწავლო პროგრამების სწავლების მონიტორინგის ანგარიშები წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს და სწავლების განმახორციელებელ სუბიექტს.

შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, 2024 წელს საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებული და სხვა პირებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, განხორციელდა ცესკოს ადმინისტრაციული შენობისა და 38 საოლქო საარჩევნო კომისიის შენობა-ნაგებობების ინსპექტირება და შედგა შესაბამისი ინსპექტირების ოქმები. ინსპექტირების პროცესში იდენტიფიცირებული საფრთხეების ანალიზი, შეფასებისა და პრევენციის ღონისძიებები აისახა რისკების შეფასების დოკუმენტებში.

2024 წლის დეკემბრის თვეში, საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, ცესკოს აპარატის და საოლქო საარჩევნო კომისიების 154 წარმომადგენელმა, მონაწილეობა მიიღო სწავლებებში „პირველადი დახმარებისა“ და „სახანძრო უსაფრთხოების“ შესახებ. შეხვედრები მიზნად ისახავდა პირველადი დახმარების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, პირველადი დახმარების პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას, სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის ღონისძიებების აუცილებელი ინსტრუქციებისა და პროცედურების შესწავლას. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს როგორც თეორიული ინფორმაცია, ასევე, გაიარეს პრაქტიკული მომზადება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 10 აპრილს ცესკოში განხორციელდა ევაკუაციის სიმულაცია ევაკუაციის პრაქტიკული გავარჯიშებისთვის შესაბამისი სახელმძღვანელო ინსტრუქციის შესაბამისად.

2024 წლის ნოემბრის თვეში, ტვირთის უსაფრთხოდ გადატანის საკითხებთან დაკავშირებით, ცესკოს აპარატის 32 თანამშრომელს, მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი. აღნიშნული ინსტრუქტაჟის ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია ტვირთის გადატანისას შესაძლო რისკების, საფრთხეებისა და უსაფრთხოების ნორმების შესახებ. ასევე, ინფორმაციას ტვირთის სწორად შენახვისა და სასაწყობო სივრცეში განთავსებასთან დაკავშირებით.

2024 წლის მარტის თვეში, ცესკოს აპარატის საფინანსო დეპარტამენტის 16 თანამშრომელს, მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი - „დასუფთავების პრინციპები და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა“. შეხვედრის ფარგლებში თანამშრომლები დეტალურად გაეცნენ დასუფთავების სამუშაოების ჩატარების წესებსა და საფრთხეებს, სხვადასხვა სახის ზედაპირების დასუფთავების სპეციფიკას, ასევე იმ წესებსა და ნორმებს, რომელიც უზრუნველყოფს სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნას სამუშაო სივრცეში.

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, მომზადდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩასატარებელი კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების წესი. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით.

საარჩევნო ადმინისტრაციის მართვის ეფექტიანობის ამაღლებისა და ადამიანური რესურსების განვითარებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად, 2024 წელს განხორციელდა 30 საერთაშორისო ვიზიტი, რომელშიც საარჩევნო ადმინისტრაციის 47-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორისაა 19 სადამკვირვებლო მისია, 3 საერთაშორისო კონფერენცია, 4 ღონისძიება, 1 სასწავლო ვიზიტი და 3 სამუშაო შეხვედრა.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში არასაკმარისი კვალიფიციური ადამიანური რესურსით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

**ამოცანის 3.2 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 3.2** მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**

3.2.1 მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების რაოდენობა
3.2.2 პროგრამების შეფასება მომხმარებელთა მიერ

2024 წელს მომზადდა ცესკოს სხდომებზე კომისიის წევრთა ელექტრონული ავტორიზაციისა და ხმის მიცემის პროგრამის კონცეფცია, გაიმართა სამუშაო შეხვედრები საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან, სადაც განხილულ იქნა კონცეფციით გაწერილი ელექტრონული პროგრამის ტექნიკური და სამართლებრივი საკითხები, რის შედეგადაც მომზადდა პროგრამის ტექნიკური დავალება.

განხორციელდა ცესკოს სხდომებზე კომისიის წევრთა ელექტრონული ავტორიზაციისა და ხმის მიცემის პროგრამის კონცეფციის საფუძველზე გაწერილი ტექნიკური დავალებების გადახედვა, ტესტირების/პილოტირების დროს გამოვლენილი ხარვეზების აღწერა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი დოკუმენტის/გასათვალისწინებელი მოთხოვნების გაწერა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის. კორექტირებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, შეიქმნა ელექტრონული პროგრამის ადმინისტრატორის, სხდომის თავმჯდომარისა და კომისიის წევრის ინტერფეისები. გაიწერა ცესკოს გადაწყვეტილებებისთვის საჭირო კვორუმები, მომზადდა პროგრამაში დასაგენერირებელი სხდომის/კენჭისყრის შედეგების ამსახველი ფაილები.

ცესკოს სხდომებზე ელექტრონული ხმის მიცემის პროგრამის სამართლებრივი ლეგიტიმაციისთვის ცვლილება განხორციელდა რეგლამენტში „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცესკოს 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ცესკოს 2024 წლის 18 მარტის №2/2024 დადგენილებით, ნაცვლად საქმისწარმოების წესისა. რეგლამენტში დეტალურად განისაზღვრა ელექტრონული სისტემის გამოყენებით ცესკოს სხდომის მომზადებისა და ჩატარების წესი. ვინაიდან ცესკოს აპარატის საქმისწარმოების წესი სრულ შესაბამისობაშია ცესკოს რეგლამენტთან, საქმისწარმოების წესში ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. აღნიშნული პროექტი წარმატებით განხორცილდა და ცესკოს სხდომებზე ელექტრონული ხმის მიცემის პროგრამის დანერგვის შედეგად ცესკოს წევრების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ელექტრონული ხის მიცემის პროგრამის გამოყენებით.

მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარების მიზნით, შემუშავდა და მომზადდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების მომზადების, რეგისტრაციისა და კვალიფიციური ციფრული ხელმოწერით დადასტურების სახელმძღვანელო ინსტრუქცია. ინსტრუქცია გადაეცა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს. საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნის განკარგულების მომზადებისა და რეგისტრაციის პროცესის უზრუნველსაყოფად, მომზადდა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების ელექტრონული ბლანკი და განკარგულების შაბლონები, რომლებიც ინტეგრირდა და განთავსდა საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument). ელექტრონულ პროგრამაშივე შეიქმნა საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების ტიპი და მდივნებს გაუაქტიურდათ შესაბამისი დაშვებები შესაბამის სამართლებრივ აქტებზე. ამასთან, საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნებმა, განკარგულებებზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესასრულებლად, განაახლეს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატები.

საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგები eDocument-ის პროგრამაში განკარგულების მომზადებისა და რეგისტრაციის შესახებ. დეტალური ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ მოცემულია ცხრილში (3).

**ცხრილი 3.**

| ტრენინგის ეტაპები | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|
| I ეტაპი | საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი - 30<br>საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - 22<br>საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი - 3 |
| II ეტაპი | საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი - 40 |

ზემოხსენებული აქტივობების საფუძველზე, 73 საოლქო საარცევნო კომისიის მდივნის განკარგულებების მომზადება ხორციელდება ელექტრონულად, საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, ცესკოში შემოსულ კორესპონდენციაზე განმცხადებლისთვის საპასუხო შეტყობინების სერვისის შექმნის მიზნით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შემოსულ კორესპონდენციაზე საპასუხო SMS შეტყობინების გაგზავნის სერვისის შექმნისთვის შესაბამისი პროგრამისათვის გასათვალისწინებელი ტექნიკური მოთხოვნებისა და ინსტრუქციის/კონცეფციის შემუშავება;
- 3 საინფორმაციო შეხვედრა;
- ელექტრონული კანცელარიის - publicinfo.cec.gov.ge ინტერფეისში დაემატა შესაბამისი მოდულები, როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად შემოსულ განცხადებებზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის მიზნით;
- საპასუხო შეტყობინების გაგზავნის სერვისის ტესტირება/პილოტირების საფუძველზე განხორციელდა განმცხადებლებისათვის ელექტრონული პროგრამის გამოყენებით შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

შესაბამისად, პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ, სერვისის სრულყოფილი ფუნქციონირებიდან SMS შეტყობინება გაეგზავნა 54 მომხმარებელს.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში არასაკმარისი ფინანსური რესურსით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

## მიზანი 4. საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 4 ინდიკატორი | 11 აქტივობა | საქმიანობის შესრულების 38 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

4.1 ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება;

4.2 საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა.

დაგეგმილი აქტივობებიდან ათი განხორციელდა, ხოლო ერთი არ დაწყებულა. აქტივობების შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (9).

**დიაგრამა 9. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით**




**ამოცანის 4.1 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 4.1** ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

4.1.1 კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობა
4.1.2 საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების რაოდენობა, რომელსაც დასჭირდა შესწორების ოქმები
4.1.3 საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგის ეფექტიანობა შეფასებულია

ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, 2024 წელს ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა განვითარების/ტრენინგების 2024 წლის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული ხუთი ტრენინგიდან ჩატარდა სამი ტრენინგი. დეტალური ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ მოცემულია ცხრილში (4).

**ცხრილი 4:** სასწავლო კურსები და მონაწილეთა რაოდენობა

| სასწავლო კურსის დასახელება | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|
| საბუღალტრო პროგრამა FMG | 5 |
| შრომის უსაფრთხოების კურსი | 1 |
| Microsoft Office Excel | 5 |

ცესკოს აპარატის ახალდანიშნული თანამშრომლებისთვის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტებული საბაზისო პროგრამა **„პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი"** 2024 წელს არ განხორციელდა. აქტივობის განხორციელება დამოკიდებული იყო პარტნიორი სტრუქტურის მხრიდან საჭიროებაზე და მოთხოვნაზე.

2024 წლის სექტემბრის თვეში, საარჩევნო ადმინისტრატორების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესში საოლქო საარჩევნო კომისიების ყველა წევრის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა, ცესკოსთან თანამშრომლობით, განახორციელა საინფორმაციო კურსი

**„საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები“** 73 საოლქო საარჩევნო კომისიისთვის.

სასწავლო-საინფორმაციო კურსი პასუხობდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში ასახულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებით ყურადღება გამახვილდა კომისიების წევრების საარჩევნო სიახლეებთან ადაპტირებაზე. შეხვედრა ჰიბრიდული მეთოდოლოგიით წარიმართა. დისტანციური შეხვედრის ფარგლებში სწავლების ცენტრის ტრენერებმა მონაწილეებთან განიხილეს შემდეგი საკითხები:

- არჩევნების ჩატარების საერთაშორისო სტანდარტები; კანონმდებლობის ერთგვაროვნად გამოყენება და ზედამხედველობის მექანიზმის მნიშვნელობა ქვემდგომი საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაზე;
- კენჭისყრის შენობების მოწყობა, აპარატებით/ინვენტარით აღჭურვის უზრუნველყოფა; კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებთან კომუნიკაციის/კოორდინაციის ასპექტები;
- კენჭისყრის პროცესის წარმართვა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით; ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის გარანტირებულობა; არჩევანის ფარულობის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა; ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მხარდაჭერა;
- კენჭისყრის პროცესზე შეუფერხებელი დაკვირვების პირობების უზრუნველყოფა;
- საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის წინასწარი შედეგებისა და შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა; საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესი (მათ შორის, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების გადამოწმებისა და ხელახლა დათვლის საფუძვლები და წესი);
- საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირების წესი.

დისტანციური მოდულის დასრულებისთანავე, სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 73-მა ტრენერმა, საოლქო საარჩევნო კომისიებში გამართა აპარატების მუშაობის დემონსტრირება, კომისიების წევრთა უშუალო ჩართულობით. მონაწილეები პრაქტიკაში გაეცნენ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის, ხმის დათვლის სპეციალური აპარატის და წინასწარი შედეგების გადაცემისთვის განკუთვნილი პლანშეტის ფუნქციონალს.

საარჩევნო ადმინისტრატორების პროფესიული ცოდნისა და უნარების გაძლიერების მიზნით, სწავლების ცენტრმა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიმუშავა პროფილური სასწავლო პროგრამა **“საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები“.** საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით 19 აგვისტოდან 7 სექტემბრის პერიოდში გადამზადდა ტრენერთა კორპუსი, რომლებმაც, შემდგომ, 14 სექტემბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ტრენინგები ჩაუტარეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს. პროგრამის ფარგლებში სულ გადამზადდა 219 ტრენერი.

საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის პროცედურული სპეციფიკების გათვალისწინებით, სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული პროფილური სასწავლო პროგრამების მიხედვით, 195-მა გადამზადებულმა ტრენერმა ჯამურად უზრუნველყო 9 530 სატრენინგო სესიის ჩატარება, მათ შორის:

- საუბნო საარჩევნო კომისიის 2 263-მა წევრმა ტრენინგები გაიარა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის წარმართვის პროცედურებთან დაკავშირებით (ხუთი ეტაპის ფარგლებში გაიმართა 7 205 სატრენინგო სესია);
- საუბნო საარჩევნო კომისიის 768-მა წევრმა დეტალური ინსტრუქტაჟი მიიღო ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის განხორციელების რეგულაციებზე (ოთხი ეტაპის ფარგლებში გაიმართა 2 325 სატრენინგო სესია).
- პენიტენციურ დაწესებულებებსა და „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი 13 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები გადამზადდნენ შესაბამის პროცედურულ საკითხებზე. (ერთი ეტაპის ფარგლებში გაიმართა 13 სესია).

სატრენინგო პროგრამის ფარგლებში საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები და წევრები დეტალურად გაეცნენ ამომრჩევლებისთვის კვალიფიციური სერვისის მისაწოდებლად შესაბამისი ფუნქციების შესრულების ტექნიკას, მათ შორის, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მხარდაჭერის ჭრილში. საარჩევნო კომისიის საქმიანობის განხილვისას ყურადღება გამახვილდა საარჩევნო ადმინისტრატორების მნიშვნელოვან როლსა და პასუხისმგებლობაზე, რაც უკავშირდება თითოეული ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფას, არჩევანის ფარულობის და ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვას.

საარჩევნო რეფორმის გათვალისწინებით, ინტენსიური სწავლება დაეთმო კენჭისყრის პროცესში ინტეგრირებული ელექტრონული აპარატების ფუნქციონალისა და მართვის საკითხებს. სიახლეებზე ელექტორატის ინფორმირების მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კომისიების წევრებმა მიიღეს ინსტრუქტაჟი რეგისტრატორის ფუნქციის შესრულებისას ამომრჩევლებთან განსახორციელებელი კომუნიკაციის თაობაზე და ხმის მიცემის პროცედურებზე თანმიმდევრულად მისაცემი განმარტებების შესახებ.

სასწავლო შედეგზე ორიენტირებით, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა, საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შეჯამების ჩათვლით, ყველა პროცედურულ საკითხზე სპეციალიზებული ცოდნა მიიღეს ეტაპობრივად, თემატურად შედგენილი პროგრამების ფარგლებში. ტრენინგები პრაქტიკული სწავლების მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით განხორციელდა: მოიცავდა როლურ თამაშებს, ელექტრონულ აპარატებთან მუშაობის მოდელირებასა და კენჭისყრის პროცესის ეპიზოდურ ინსცენირებებს. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩატარებულ ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა იხილეთ ცხრილში (5).

**ცხრილი 5.**

| **ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა – საუბნო საარჩევნო კომისიები, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაიმართა** | | |
|---|---|---|
| **სატრენინგო ეტაპი** | **სამიზნე ჯგუფი** | **სატრენინგო ეტაპზე დასწრების მონაცემები** |
| **I ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 6 789<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 5 846<br>დასწრების კოეფიციენტი – 86% |
| **II ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე) და კომისიის სხვა წევრები | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 36 208<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 22 713<br>დასწრების კოეფიციენტი – 63% |
| **დამატებითი ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები და კომისიის სხვა წევრები, ვინც არ დაესწრნენ ტრენინგების I ან/და II ეტაპს, ან შეიცვალნენ ტრენინგის მიმდინარეობისას | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 13 958<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 5 189<br>დასწრების კოეფიციენტი – 37% |
| **III ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე), კომისიის სხვა წევრები და სპეცჯგუფის წევრები | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 37 453<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 25 308<br>დასწრების კოეფიციენტი – 68% |
| **IV ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 6 789<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 6 162<br>დასწრების კოეფიციენტი – 91% |
| **V ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 6 789<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 5 981<br>დასწრების კოეფიციენტი – 88% |
| **ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა – საუბნო საარჩევნო კომისიები, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე გაიმართა** | | |
| **სატრენინგო ეტაპი** | **სამიზნე ჯგუფი** | **სატრენინგო ეტაპზე დასწრების მონაცემები** |

| | | |
|---|---|---|
| **I ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 2 304<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 1 856<br>დასწრების კოეფიციენტი – 81% |
| **II ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (კომისიის ხელმძღვანელი პირების გარდა) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 10 752<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 5 469<br>დასწრების კოეფიციენტი – 51% |
| **დამატებითი ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები და კომისიის სხვა წევრები, ვინც არ დაესწრნენ ტრენინგების I ან/და II ეტაპს, ან შეიცვალნენ ტრენინგის მიმდინარეობისას | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 5 740<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 1 828<br>დასწრების კოეფიციენტი – 32% |
| **III ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე) და კომისიის სხვა წევრები | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 12 288<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 7 111<br>დასწრების კოეფიციენტი – 58% |
| **IV ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 2 304<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 2 002<br>დასწრების კოეფიციენტი – 87% |
| **ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა – გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები (კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე გაიმართა)** | | |
| **სატრენინგო ეტაპი** | **სამიზნე ჯგუფი** | **სატრენინგო ეტაპზე დასწრების მონაცემები** |
| **I ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) და კომისიის სხვა წევრები | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 221<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 136<br>დასწრების კოეფიციენტი – 62% |
| **ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა – საუბნო საარჩევნო კომისიები, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაიმართა** | | |
| **სატრენინგო ეტაპი** | **სამიზნე ჯგუფი** | **სატრენინგო ეტაპზე დასწრების მონაცემები** |
| **I ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 6 789<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 5 846<br>დასწრების კოეფიციენტი – 86% |
| **II ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე) და კომისიის სხვა წევრები | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 36 208<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 22 713<br>დასწრების კოეფიციენტი – 63% |
| **დამატებითი ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები და კომისიის სხვა წევრები, ვინც არ დაესწრნენ ტრენინგების I ან/და II ეტაპს, ან შეიცვალნენ ტრენინგის მიმდინარეობისას | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 13 958<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 5 189<br>დასწრების კოეფიციენტი – 37% |
| **III ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე), კომისიის სხვა წევრები და სპეცჯგუფის წევრები | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 37 453<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 25 308<br>დასწრების კოეფიციენტი – 68% |
| **IV ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 6 789<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 6 162<br>დასწრების კოეფიციენტი – 91% |
| **V ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 6 789<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 5 981<br>დასწრების კოეფიციენტი – 88% |
| **ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა – საუბნო საარჩევნო კომისიები, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე გაიმართა** | | |
| **სატრენინგო ეტაპი** | **სამიზნე ჯგუფი** | **სატრენინგო ეტაპზე დასწრების მონაცემები** |
| **I ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 2 304<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 1 856<br>დასწრების კოეფიციენტი – 81% |

| | | |
|---|---|---|
| **II ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (კომისიის ხელმძღვანელი პირების გარდა) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 10 752<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 5 469<br>დასწრების კოეფიციენტი – 51% |
| **დამატებითი ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები და კომისიის სხვა წევრები, ვინც არ დაესწრნენ ტრენინგების I ან/და II ეტაპს, ან შეიცვალნენ ტრენინგის მიმდინარეობისას | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 5 740<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 1 828<br>დასწრების კოეფიციენტი – 32% |
| **III ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე) და კომისიის სხვა წევრები | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 12 288<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 7 111<br>დასწრების კოეფიციენტი – 58% |
| **IV ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 2 304<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 2 002<br>დასწრების კოეფიციენტი – 87% |
| **ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა – გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები (კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე გაიმართა)** | | |
| **სატრენინგო ეტაპი** | **სამიზნე ჯგუფი** | **სატრენინგო ეტაპზე დასწრების მონაცემები** |
| **I ეტაპი** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი) და კომისიის სხვა წევრები | დასასწრებ პირთა რაოდენობა – 221<br>დამსწრე პირთა რაოდენობა – 136<br>დასწრების კოეფიციენტი – 62% |

ტრენინგებს დაესწრნენ შემდეგი საერთაშორისო/ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR); საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI);
- ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI);
- საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო;
- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
- საქართველო-დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება.

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის განხორციელებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სასწავლო კურსის მიმართ მონაწილეთა დამოკიდებულების შესაფასებლად ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გამოკითხვა, თითოეული სატრენინგო სესიის დასრულების შემდეგ მონაწილეებისთვის შეთავაზებული იყო უკუკავშირის კითხვარი, კითხვარის შედეგები წარმოდგენილია დიაგრამაზე (10,11,12).

**დიაგრამა 10. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგების მონაწილეთა ზოგადი კმაყოფილე-ბის კვლევის შედეგები, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაიმართა**




**დიაგრამა 11. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგების მონაწილეთა ზოგადი კმაყოფი-ლების კვლევის შედეგები, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე გაიმართა**



**დიაგრამა 12. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგების მონაწილეთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები (გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები), სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე გაიმართა**




2024 წელს 8 მაისიდან 8 ივნისის პერიოდში ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) პარტნიორობით, ქვეყნის მასშტაბით 64 მუნიციპალიტეტში განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროექტი **„საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“.** პროექტი მიზნად ისახავდა საარჩევნო ტექნოლოგიურ სიახლეებზე საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური საკადრო რესურსის გადამზადებას. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებმა სწავლება პროფილურად შერჩეული კურსის მიხედვით გაიარეს: კურსი საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის და საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური ხელმძღვანელი პირებისთვის.

პროფილური მიმართულებების შესაბამისად, საინფორმაციო-სასწავლო პროექტი სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 170-მა ტრენერმა განახორციელა. სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვანი აქცენტები საარჩევნო პროცესში ინტეგრირებულ ტექნოლოგიურ სიახლეებზე გაკეთდა, ასევე, მონაწილეებმა მიიღეს სპეციალიზებული ცოდნა შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების მოდერნიზების ტენდენციები;
- ხმის მიცემის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება;
- ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზება; ფარულობა და დაცულობა კენჭისყრის პროცესში;
- ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა და საარჩევნო აპარატების გამოყენებით კენჭისყრის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლების დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა.

ინფორმაცია მონაწილეთა შესახებ ასახულია ცხრილში (6).

**ცხრილი 6. საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის**

| პროექტში მონაწილე პირთა რაოდენობა | გაცემული სერტიფიკატების რაოდენობა | საუბნო საარჩევნო კომისიის პოტენციური წევრების სერტიფიკატების რაოდენობა | საუბნო საარჩევნო კომისიის პოტენციური ხელმძღვანელი პირების სერტიფიკატების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 16 514 | 16 392 | 10 593 | 5 799 |

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგებზე დასწრების დაბალი მაჩვენებლით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შეცვლას ჰქონდა ადგილი, თუმცა, ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში ამ ცვლილებებით რისკ ფაქტორი არ დამდგარა. აღნიშნულის გადაზღვევა მოხდა დამატებითი ეტაპის ტრენინგების ჩატარებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო კომისიების იმ წევრებმა, რომლებიც შეიცვალნენ ძირითადი სატრენინგო ფაზის მიმდინარეობისას.

**ამოცანის 4.2 ინდიკატორთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგი**

**ამოცანა 4.2** საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

4.2.1 სერტიფიცირებულ პირთა კუმულატიური რაოდენობა კატეგორიების მიხედვით (1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირება; 2. საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირება; 3. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სერტიფიცირება.)

2024 წელს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო რეფორმისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეებით დაკომპლექტების სტრატეგიული ამოცანის შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების სასერტიფიკაციო გამოცდების ციკლი ჩაატარა.

სერტიფიცირების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენა, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

საგამოცდო პროცესი ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის დადგენას. გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში მოქალაქეებს ენიჭება სერტიფიკატი, რომლის ფლობა კანონმდებლობის მიხედვით სავალდებულოა ცესკოში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიაში შესაბამის პოზიციებზე ასარჩევად/დასანიშნად.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მარტისა და ივლისის თვეში სწავლების ცენტრმა განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდისთვის მოსამზადებელი ხუთ დღიანი სასწავლო კურსი, რომლის უფასოდ გავლის შესაძლებლობა ჰქონდა გამოცდაზე დარეგისტრირებულ ყველა მოქალაქეს. სასწავლო კურსი ეფუძნებოდა საარჩევნო კანონმდებლობას, საქართველოს

კონსტიტუციას, საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული საკითხების შინაარსობრივ განხილვას და პრაქტიკულ დავალებებს. კურსი ჩატარდა დისტანციურ ფორმატში, სწავლების ცენტრის ტრენერების მიერ. დეტალური ინფორმაცია სასწავლო კურსის მონაწილეთა შესახებ მოცემულია ცხრილში (7).

**ცხრილი 7.**

| **სასწავლო კურსის ჩატარების პერიოდი** | **მონაწილეთა რაოდენობა** |
|---|---|
| 15–21 მარტი | 50 |
| 15-19 ივლისი | 41 |

2024 წელს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, სერტიფიცირების გამოცდები განახორციელა 34 მუნიციპალიტეტში მოქმედ 37 საგამოცდო ცენტრში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რვა მუნიციპალიტეტში: თბილისში (ოთხი საგამოცდო ცენტრი), გურჯაანში, სიღნაღში, თელავში, რუსთავში, გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისში, თეთრიწყაროში, მცხეთაში, დუშეთში, გორში, ბორჯომში, ახალციხეში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, ამბროლაურში, ცაგერში, მესტიაში, საჩხერეში, ზესტაფონში, ბაღდათში, ტყიბულში, წყალტუბოში, ქუთაისში, ოზურგეთში, სენაკში, ხობში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ქობულეთში, დაბა შუახევსა და ხულოში.

პროექტის ეფექტიანად განხორციელების მიზნებისთვის, მოეწყო საგამოცდო ცენტრები, გაიმართა ქსელური ინფრასტრუქტურა, პროგრამულად და სისტემურად გაიმართა კომპიუტერული ტექნიკა, ჩატარდა საგამოცდო პროცესის ტესტირება.

აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრებისთვის განკუთვნილი საგამოცდო ტესტები ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე). თარგმნილი ორენოვანი ტესტები (ქართული-სომხური, ქართულ-აზერბაიჯანული) უცვლელი ფორმით იქნა გამოყენებული სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისას.

დეტალური ინფორმაცია სერტიფიცირების სტატისტიკის შესახებ მოცემულია ცხრილში (8) და ცხრილში (9).

**ცხრილი 8. ინფორმაცია სასერტიფიკაციო გამოცდების შესახებ**

| სერტიფი-კატის ტიპი | გამოცდის ჩატარების პერიოდი | საგამოცდო ცენტრების რაოდენობა | გამოცდაზე რეგისტრი-რებული პირების რაოდენობა | მონაწილეთა რაოდენობა | გაცემული სერტიფიკატის რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| **საარჩევნო ადმინის-ტრაციის მოხელის სერტიფიკატი** | 22-27 მარტი | **12**<br>თბილისი (2), თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ტყიბული, ქუთაისი, ზესტაფონი, ოზურგეთი, სენაკი, ბათუმი. | **970** | **591** | **475** |
| | 12-14 აგვისტო | | **796** | **523** | **343** |
| **საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის სერტიფიკატი** | 11-22 აპრილი<br>17-22 ივლისი | **33**<br>თბილისი (4), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მცხეთა, დუშეთი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი, სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი, მესტია, ოზურგეთი, ბათუმი, ქობულეთი, დაბა შუახევი, ხულო. | **8451** | **6155** | **5717** |
| **საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სერტიფიკატი** | 10-27 მაისი | **33**<br>თბილისი (4), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მცხეთა, დუშეთი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი, სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი, მესტია, ოზურგეთი, ბათუმი, ქობულეთი, დაბა შუახევი, ხულო. | **7 429** | **5 475** | **5 410** |

**ცხრილი 9. ინფორმაცია სასერტიფიკაციო გამოცდების შესახებ (ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში)**

| სერტიფიკატის ტიპი | გამოცდის ჩატარების პერიოდი | საგამოცდო ცენტრების რაოდენობა | გამოცდაზე რეგისტრირებული პირების რაოდენობა | მონაწილეთა რაოდენობა | გაცემული სერტიფიკატის რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| **საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის სერტიფიკატი** | 29 იანვარი 5 თებერვალი | **8** თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა. | **1 689** | **1 266** | **1 245** |
| | 12-13 ივნისი | **8** თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა. | **504** | **370** | **367** |
| **საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სერტიფიკატი** | 19 თებერვალი - 1 მარტი | **8** თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა. | **2 490** | **1 929** | **1 904** |
| | 28 ივნისი - 3 ივლისი | **8** თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა. | **436** | **321** | **319** |

საერთო ჯამში 2024 წელს გაიცა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის 818, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის 7 329 და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის 7 633 სერტიფიკატი.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში სერტიფიცირების მიმართ მოქალაქეების დაბალი ინტერესით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

## სტრატეგიული პრიორიტეტი: ტექნოლოგიური განვითარება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:

- საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან;
- ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში.

### მიზანი 5. საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ამოცანა | ამოცანის შედეგის 1 ინდიკატორი | 2 აქტივობა | საქმიანობის შესრულების 2 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ერთი ამოცანის შესრულება:

5.1 საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია.

დაგეგმილი ორი აქტივობიდან ყველა განხორციელდა. აქტივობების შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (13).

**დიაგრამა (13). ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით**



**ამოცანის 5.1 ინდიკატორთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 5.1** საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

5.1.1 ჩატარებული არჩევნების შეფასება

გასული არჩევნების პრაქტიკის გათვალისწინებით, მიმდინარე წელს განახლდა ლოგისტიკის ბიზნეს-პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტი. გაწერილი საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარის დასაწყობების, რაოდენობის განსაზღვრის, მომზადებისა და განაწილების ეტაპები შეფასდა. აღნიშნულის ფარგლებში დამტკიცდა ლოგისტიკის ბიზნეს პროცესის PD დოკუმენტი.

დოკუმენტი მოიცავდა ლოგისტიკის ბიზნესპროცესის ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი, ინფრასტრუქტურული, ადამიანური თუ ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის საქმიანობებს, რომელიც განხორციელდა როგორც ცენტრალურ, ასევე - 73 საარჩევნო ოლქის დონეზე. ასევე, შეიქმნა ინვენტარისა და ტექნიკის უსაფრთხო შენახვის, ტრანსპორტირებისა და განაწილების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ დაცულობას. ამასთანავე, განახლდა საარჩევნო ინვენტარისა და მასალების ზუსტი, მოქნილი და სრულყოფილი გადაცემის/მიღებისა და აღრიცხვის ფორმები.

2024 წლის არჩევნების დასრულების შემდეგ განხორციელდა საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და საწყობის მენეჯერების გამოკითხვა, რომლის მიზანს არსებული პრაქტიკის გაანალიზება და გაუმჯობესების მიზნით სიახლეების გამოკვეთა წარმოადგენდა. გამოკითხვის შედეგებისა და 2024 წლის არჩევნების პრაქტიკის გათვალისწინებით, მიმდინარე წელს განახლდა ლოგისტიკის ბიზნეს-პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტი. გაწერილია საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარის დასაწყობების, რაოდენობის განსაზღვრის, მომზადებისა და განაწილების ეტაპები.

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ისევე, როგორც 2023 წლის შუალედურ/რიგგარეშე, არჩევნებზე, ცესკომ უზრუნველყო საარჩევნო ტექნოლოგიების შესაბამისობის აუდიტის ჩატარება. აუდიტირების პროცესი ISO/IEC 17025 სტანდარტის შესაბამისად აკრედიტებულმა საარჩევნო ტექნოლოგიების ტესტირების ლაბორატორიამ „Pro V&V“ ჩაატარა და მოამზადა შესაბამისობის დასკვნა. შესაბამისობის აუდიტი ჩატარდა სამ ეტაპად:

- პირველი ეტაპი - პროგრამული უზრუნველყოფის განახლების ანალიზი და მათი შესაბამისობის დადგენას საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან;
- მეორე ეტაპი - არჩევნებისთვის აპარატურის მომზადების პროცესზე დაკვირვებას და კონფიგურაციისთვის საჭირო ფაილების სიზუსტის დადგენა;
- მესამე ეტაპი - კენჭისყრის დღეზე დაკვირვება.

ჩატარებული აუდიტის სამივე ეტაპის შესახებ მომზადებული დასკვნა საჯაროა და განთავსებულია ცესკოს ვებგვერდზე.

საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის „Pro V&V“ მიერ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ელექტრონული აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კანონმდებლობასთან და ტექნიკურ სპეციფიკაციებთან იყო შესაბამისობაში. ელექტრონული აპარატები მუშაობდა გამართულად და უსაფრთხოდ.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში არჩევნებთან ახლო ვადაში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

## მიზანი 6. ტექნოლოგების გამოყენება საარჩევნო პროცესში

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ამოცანა | ამოცანის შედეგის 5 ინდიკატორი | 8 აქტივობა | საქმიანობის შესრულების 16 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

6.1 კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით;
6.2 ელექტრონული სერვისების განვითარება;
6.3 ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა.

დაგეგმილი აქტივობებიდან ექვსი განხორციელდა, ხოლო ორი განხორციელდა დაგვიანებით. აქტივობების შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე (14).

**დიაგრამა 14. ინფორმაცია აქტივობის შესრულების შესახებ სტატუსის მიხედვით**




**ამოცანის 6.1 ინდიკატორთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 6.1** კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

6.1.1 საარჩევნო უბნების რაოდენობა, სადაც გამოყენებული იყო ტექნოლოგიები

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებით აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კომპანიასთან „Smartmatic" გაფორმებული კონსოლიდირებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2023 - 2024 წლების განმავლობაში მოწოდებული იქნა 4 865 ცალი ხმის მთვლელი აპარატი და 7 526 ცალი ვერიფიკაციის აპარატი სახარჯი მასალებით, რითიც დასრულდა ელექტრონული მოწყობილობების შესყიდვა/მოწოდების საქმიანობა.

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიები აღიჭურვა შემდეგი საჭირო ტექნიკით. მონაცემები მოცემულია ცხრილში (10).

**ცხრილი 10: ელექტრონული ტექნიკის სახეობა და რაოდენობა**

| ელექტრონული ტექნიკის სახეობა | რაოდენობა |
|---|---|
| ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი | 7 508 |
| ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატი | 4 879 |
| პლანშეტური კომპიუტერი | 3 031 |

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებზე, 2 263 საარჩევნო უბანზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 847 448 ამომრჩეველმა.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის მოთხოვნებთან პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისობით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

**ამოცანის 6.2 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 6.2** ელექტრონული სერვისების განვითარება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**

6.2.1 სერვისების რაოდენობა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით
6.2.2 მიზნობრივი ჯგუფების მიერ სერვისების შეფასება

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებულ სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობისთვის რეგისტრაციის ელექტრონულ პლატფორმაში განხორციელდა ცვლილებები. მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ konkursi.cec.gov.ge ვებ-გვერდის საშუალებით საკონკურსო განაცხადი შემოეტანათ როგორც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, ასევე, ხელმძღვანელი პირის კონკრეტულ ვაკანტურ პოზიციაზე. ამასთანავე, ცვლილება შევიდა არჩევნების მართვის სისტემის კონკურსანტების ვებ-გვერდის მართვის მოდულში.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში ცესკოს მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა კონკურსში სულ რეგისტრაცია გაიარა 19 131-მა მოქალაქემ, კერძოდ:

- საოლქო საარჩევნო კომისიის ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებულ კონკურსზე დარეგისტრირდა 32 კონკურსანტი;
- საარჩევნო ადმინისტრატორის კურსზე საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური ხელმძღვანელი პირებისთვის დარეგისტრირდა 8 296 კონკურსანტი;
- საარჩევნო ადმინისტრატორის კურსზე საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის დარეგისტრირდა 10 803 კონკურსანტი.

არჩევნების მართვის სისტემის (EMS) კონკურსის ვებ-გვერდის საშუალებით 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის გამოცხადებულ კომისიის წევრების კონკურსში სულ დარეგისტრირდა: 24 425 კონკურსანტი.

ელექტრონული სერვისების განვითარების ფარგლებში, განახლდა საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონული პროგრამა. აღნიშნულის გათვალისწინებით არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) მუშაობის წესის ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა საოლქო საარჩევნო კომისიების ახლადარჩეულ 9 მდივანს.

აღნიშნული პროგრამის მართვის ინსტრუქცია (როგორც სისტემის შიდა მოხმარებისთვის, ასევე, გარე მოხმარებისთვის) მომზადდა და დამტკიცდა არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) არსებული შემდეგი მოდულებისთვის:

- “სუბიექტები”;
- “სუბიექტის წარმომადგენლები”;
- “ადგილობრივი ორგანიზაციები”;
- “ადგილობრივი ორგანიზაციების დამკვირვებლები”.

ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიის 150 ხელმძღვანელ პირს/წევრს ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) არსებული შემდეგი მოდულების შესახებ:

- “კომისიის წევრები”;
- “საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები”;
- “საერთაშორისო დამკვირვებლები”;
- “მედიაორგანიზაციები”;
- “მედია წარმომადგენლები”;
- “პარტიული სია”.

საარჩევნო სუბიექტებისთვის პარტიული სიის ელექტრონული სახით წარდგენის შესაძლებლობის მიზნით არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) შეიქმნა პარლამენტის და საკრებულოს არჩევნებისთვის პარტიული სიის მოდულები. პარლამენტის პარტიული სიისთვის მომზადდა და დამტკიცდა პროგრამის მართვის ინსტრუქცია, როგორც სისტემის შიდა მოხმარებისთვის, ასევე, გარე მოხმარებისთვის. ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან, არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) პარტიული სიის ელექტრონული სახით წარდგენის გაცნობის თაობაზე. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო 6 საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარტიული სია ელექტრონულად წარადგინა 4-მა საარჩევნო სუბიექტმა.

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის ტრადიციული წესით ჩატარებული კენჭისყრისთვის საარჩევნო ბიულეტენები ციფრულ ფორმატში გადაყვანის მიზნით, განხორციელდა გაციფრულებისთვის საჭირო ტექნიკის გამართვა, ამასთანავე, განხორციელდა Google Drive -ის ღრუბლოვანი სივრცის შეძენა.

2024 წლის 26 ოქტომბერს, კენჭისყრის დასრულების შემდეგ, განხორციელდა საარჩევნო ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანა (სკანირება).ციფრულ ფორმატში გადაყვანილი ბიულეტენები აიტვირთა Google Drive -ის ღრუბლოვან სივრცეში. შემოწმდა ატვირთული ინფორმაციის ხარისხი და გასაჯაროვდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონულ სერვერებზე კიბერშეტევით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა.

**ამოცანის 6.3 ინდიკატორებთან მიმართებაში აქტივობების განხორციელებით მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები**

**ამოცანა 6.3** ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**

6.3.1 ელექტრონული მოწყობილობებით (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) აღჭურვილი საარჩევნო უბნების რაოდენობა

6.3.2 ეტლით მოსარგებლე პირებისთვის მისაწვდომი საარჩევნო უბნების წილი საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობაში

ამოცანის **პირველ ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ცესკოსა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მოხდა შესაბამისი ფართების გამოყოფა საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენდა, მხარეებს შორის თანამშრომლობა და არსებული რესურსის ფარგლებში, საარჩევნო პროცესებში ნოვაციებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების

დანერგვის ხელშეწყობა, ასევე, ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლება.

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის  საერთო ჯამში შეიქმნა 3 111 საარჩევნო უბანი. აქედან, საქართველოში გახსნილი იყო 3 044 უბანი, მათ შორის გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი 13 უბანი, (12 – პენიტენციურ დაწესებულებებში, ერთი – ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში), ხოლო შესაბამისი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საზღვარგარეთ 42 ქვეყნის 53 ქალაქში შექმნილი იყო 67 საარჩევნო უბანი.

ცესკოს გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და დათვლის აპარატების გამოყენებით კენჭისყრა საქართველოში გახსნილ 2 263 საარჩევნო უბანზე ჩატარდა. სხვა სახელმწიფო-ში გახსნილ საარჩევნო უბნებზე კენჭისყრა ტრადიციული წესით ჩატარდა. რაც შეეხება 768 საარჩევნო უბანს, სადაც კენჭისყრა ჩატარდა ტრადიციული, დღემდე არსებული წესით.

ამოცანის **მეორე ინდიკატორთან** მიმართებაში აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო 1 262 საარჩევნო უბანი, მათ შორის 917 პანდუსით და 348 მარტივად ადაპტირებული (სამი უბანი არის, როგორც პანდუსით, ისე, მარტივად ადაპტირებული). მათ, ასევე, შესაძლებლობა ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე. ამ შესაძლებლობით ისარგებლა 25-მა ამომრჩეველმა, რაც მეტია, ვიდრე 2020 წლიდან დღემდე ჩატარებულ არჩევნებზე. ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „საარჩევნო რუკა“ განთავსდა სრული ინფორმაცია საარჩევნო უბნების, მათ შორის ადაპტირებული უბნების შესახებ, დასურათებულ ფორმატში.

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩასატარებლად, აუცილებელი გახდა ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებდა ყველა იმ სტანდარტსა და პირობას, რაც ელექტრონული საარჩევნო აპარატების შენახვა/ექსპლუატაციისთვის იყო საჭირო. ცესკოს ახალი სასაწყობო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზანს წარმოადგენდა არჩევნების ელექტრონული საშუალებებით ჩატარებასთან დაკავ-შირებული ლოგისტიკის ბიზნეს-პროცესების ცენტრალიზებულად განხორციელების შესაძლებლობის შექმნა. აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებული ლოგისტიკის ბიზნეს-პროცესების შეუფერხებლად და ცენტრალიზებულად განსახორციელებლად, ცესკოს ადმინისტრაციული შენობის მომიჯნავედ, თანამედროვე სტანდარტებითა და „კარგი პრაქტიკის“ გათვალისწინებით, მოეწყო საოპერაციო (სასაწყობე) სივრცე. შენობა ინფრასტრუქტურულად სრულად გაიმართა, დამონტაჟდა სატვირთო ლიფტები, ელექტრონული აპარატურის გასამართად საჭირო ქსელი და სამრეწველო მაგიდები, მოეწყო დაცვის სისტემები. შემუშავებული მოთხოვნების შესაბამისად, მოეწყო სასაწყობო ფართები, აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით, განხორციელდა შიდა ეზოს სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამასთანავე, შენობაში გამოიყო საოფისე, სასაწყობე, საოპერაციო/საინსტალაციო და სხვა დამხმარე სივრცეები. ინფრასტრუქტურა სრულად მორგებულია ბიზნესპროცესზე, რაც ელექტრონული მოწყობილობებისა და საარჩევნო ინვენტარის მომზადებას, შეფუთვას და საარჩევნო კომისიებში, ცენტრალიზებული წესით დისტრიბუციას მოიცავდა.

2024 წლის 16 ოქტომბერს ცესკოში გაიმართა საოპერაციო (სასაწყობე) სივრცის პრეზენტაცია საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის, რომლის ფარგლებშიც მოწვეულ სტუმრებს მიეწოდათ ინფორმაცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საოპერაციო-სასაწყობე სივრცისა და მასში მიმდინარე ბიზნესპროცესების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალმა სასაწყობე სივრცემ და ინფრასტრუქტურამ უზრუნველყო არჩევნების, ელექტრონული საშუალებებით, გამართულად  ჩატარება და მასთან დაკავშირებული ლოგისტიკის ბიზნეს პროცესების ცენტრალიზებულად განხორციელება.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში საარჩევნო უბნების ელექტრო-ნული მოწყობილობებით აღჭურვისთვის საჭირო შენობა-ნაგებობების სიმცირით გამოწვეული რისკ ფაქტორი არ დამდგარა, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება ადაპტირებული შენობა-ნაგებობების სიმცირე.

# გამოწვევები და რეკომენდაციები

საარჩევნო ადმინისტრაციის 2024 წლის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესის მოდერნიზაციას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, ინკლუზიურობის ხელშეწყობას და ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დანერგილი სერვისების გაუმჯობესებას, რაც წარმატებით განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ. თუმცა, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2024 წლის სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობებიდან სამი აქტივობის განხორციელება აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილი ცესკოსგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეჩერდა, ხოლო ერთი აქტივობის განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. მიუხედავად, იმისა, რომ მთლიანობაში, აქტივობების შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა 94.4 პროცენტი, კვლავ გამოწვევად რჩება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებთან მიმართებით ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომელიც სრულად განხორციელდება. შესაბამისად, აქტივობების დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ის ხელშემშლელი ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს აქტივობების სრულფასოვნად განხორციელებაზე.

# ცესკოს სტრუქტურული ერთეულები და სწავლების ცენტრი

- **იურიდიული დეპარტამენტი**
  გიორგი სანტურიანი, დეპარტამენტის უფროსი
- **სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი**
  ქეთევან დანგაძე, დეპარტამენტის უფროსი
- **საფინანსო დეპარტამენტი**
  ოთარ ბუსკივაძე, დეპარტამენტის უფროსი
- **საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი**[2]
  რუსუდან ლელაშვილი, დეპარტამენტის უფროსი
- **სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი**[3]
  სოფიო სიჭინავა, დეპარტამენტის უფროსი
- **ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი**
  თამარ ცერცვაძე, დეპარტამენტის უფროსი
- **საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი**
  ეკა ცაბაშვილი, დეპარტამენტის უფროსი
- **ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი)**
  ლალი კიკნაძე, აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი
- **პრეს-სპიკერი**
  ნათია იოსელიანი
- **ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი**
  ლევან კახურაშვილი

**სსიპ-საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი**
ნათია ზაალიშვილი, სწავლების ცენტრის დირექტორი

2. საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს შეეცვალა სახელწოდება „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ცესკოს 2024 წლის 17 დეკემბრის №57/2024 დადგენილების საფუძველზე.

3. სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი გაუქმნდა „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ცესკოს 2024 წლის 17 დეკემბრის №57/2024 დადგენილების საფუძველზე.

*დანართი 1*
*2024 წლის კონსოლიდირებული სტატუსანგარიში*

| სტრატეგიული პრიორიტეტი | საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება |
|---|---|
| მიზანი 1 | საზოგადოების ინფორმირება და განათლება |
| ამოცანა 1.1 | საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება |

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | მოკლე აღწერა | ფერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1.1.1 | პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილე პარტიების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2024<br>I-IV კვარტალი | განხორციელდა | 100% | 2024 წლის 23 იანვარს არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელ პირებთან. შეხვედრაზე ცესკოს თავმჯდომარემ ისაუბრა არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ.<br><br>საერთაშორისო ვენდორი კომპანიების „სმარტმატიკისა" და „Pro V&V"-ის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:<br>• 2023 წლის 1 ოქტომბრის შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებზე „Pro V&V"-ის მიერ ჩატარებული აუდიტი და მისი შედეგები;<br>• „სმარტმატიკის" გამოცდილება;<br>• საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების, მათ შორის ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის აპარატების უპირატესობები.<br><br>შეხვედრას დაესწრო 68 პირი, მათ შორის 34 პოლიტიკური პარტიის 34 და 8 საერთაშორისო ორგანიზაციის 16 წარმომადგენელი, მათ შორის იყო 20 (29%) ქალი და 48 (71%) კაცი).<br>ღონისძიება გაიმართა „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის" (IFES), „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა" (IRI) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.<br><br>2024 წლის 19 სექტემბერს ცესკოში გაიმართა მეორე შეხვედრა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით პარტიული სიების წარდგენისა და რეგისტრაციის წესთან დაკავშირებით.<br>შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 6 პოლიტიკური პარტიის 6-მა წარმომადგენელმა, მათ შორის იყო 3 (50%) ქალი და 3 (50%) კაცი. | |
| 1.1.1.2 | საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2024<br>I-IV კვარტალი | განხორციელდა | 100% | 2024 წლის 20 თებერვალს ცესკოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან. ცესკოს თავმჯდომარემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია აქტუალური საარჩევნო საკითხების შესახებ.<br>შეხვედრას დაესწრო 20 საერთაშორისო ორგანიზაციის (მათ შორის საელჩოების) 23 წარმომადგენელი, მათ შორის იყო 12 (52%) ქალი და 11 (48%) კაცი.<br><br>2024 წლის 16 ოქტომბერს საარჩევნო ადმინისტრაციაში გაიმართა საოპერაციო-სასაწყობო სივრცის და 2024 წლის არჩევნების შუალედური ანგარიშის პრეზენტაცია. ცესკოს თავმჯდომარემ სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, მედიის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს გააცნო 2024 წლის არჩევნების შუალედური ანგარიში და დაათვალიერებინა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საოპერაციო-სასაწყობო სივრცე.<br>პრეზენტაციას დაესწრო 76 პირი (39 (51%) ქალი, 37 (49%) კაცი) მათ შორის 17 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი. | |
| 1.1.1.3 | ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/ განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2024<br>I-IV კვარტალი | განხორციელდა | 100% | 2024 წლის 15 თებერვალს ცესკოს თავმჯდომარემ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნო საარჩევნო ელექტრონული საშუალებების საერთაშორისო აუდიტის შედეგები. სამუშაო ჯგუფის ფორმატში გამართული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა აუდიტის ანგარიშში ასახული მიგნებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების გაცნობა ჩართული მხარეებისთვის. ღონისძიება გაიმართა „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა" (IFES) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. შეხვედრას დაესწრო 25 პირი, მათ შორის 14 არასამთავრობო ორგანიზაციის 18 წარმომადგენელი. შეხვედრის მონაწილეებს შორის იყო 11 (44%) ქალი და 14 (56%) კაცი.<br><br>საანგარიშო პერიოდში, ცესკოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ცესკოს თავმჯდომარემ ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნო ინფორმაცია 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 9 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 10-მა წარმომადგენელმა, მათ შორის იყო 6 (60%) ქალი და 4 (40%) კაცი. | |
| 1.1.1.4 | მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებთან საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2024<br>I-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 23-24 მარტს ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობა და ამომრჩევლების ინფორმირების პროცესში მედიის როლი. შეხვედრას დაესწრო 30 პირი, მათ შორის 14 მედიასაშუალების 15 წარმომადგენელი. შეხვედრის მონაწილეებს შორის იყო 12 (40%) ქალი და 18 (60%) კაცი.<br><br>2024 წლის 25-26 მარტს, მედიასთან თანამშრომლობის ფორმატის ფარგლებში, მედიის წარმომადგენლებისთვის გაიმართა კონფერენცია - „მედია და საარჩევნო პროცესები: 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები". მონაწილეებმა, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ევროსაბჭოს მოწვეულ ექსპერტებთან ერთად იმსჯელეს შემდეგ საკითხებზე:<br>• საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგია;<br>• საარჩევნო ელექტრონული საშუალებების საერთაშორისო აუდიტის ანგარიში;<br>• საარჩევნო კომუნიკაციები და საარჩევნო კამპანიების მედია გაშუქება;<br>• გენერირებული ხელოვნური ინტელექტი და მისი გავლენა არჩევნებზე;<br>• მედიის როლი და ფუნქცია არჩევნების გაშუქებისას-საერთაშორისო სტანდარტები.<br><br>შეხვედრა ჩატარდა ცესკოს ორგანიზებით, ევროპის საბჭოს (CoE) პროექტის „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში" მხარდაჭერით. კონფერენციას დაესწრო 36 პირი, მათ შორის 23 მედიასაშუალების 24 წარმომადგენელი. მონაწილეებს შორის იყო 28 (78 %) ქალი და 8 (22%) კაცი.<br><br>2024 წელს, ცესკოს ორგანიზებითა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებთან ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასა და სხვა მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებზე:<br>• 2024 წლის 16-17 ივლისს გაიმართა გასვლითი სამუშაო შეხვედრა ონლაინმედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრას დაესწრო 23 ონლაინმედიის 23 წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის 19 (83%) ქალი და 4 (17%) კაცი.<br>• 2024 წლის 13-14 აგვისტოს გაიმართა გასვლითი სამუშაო შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრას დაესწრო 24 რეგიონული მედიის 25 წარმომადგენელი, მათ შორის იყო 17 (68%) ქალი და 8 (32%) კაცი.<br>• 2024 წლის 18-20 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა მედიის წარმომადგენლებისთვის. შეხვედრას დაესწრო 17 მედიასაშუალების 24 წარმომადგენელი, მათ შორის იყო 15 (62.5%) ქალი და 9 (37.5%) კაცი. | |
| 1.1.1.5 | ადგილობრივ ექსპერტებთან და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2024<br>I-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის განმავლობაში გაიმართა 3 საინფორმაციო შეხვედრა თეატრალური სფეროს წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის მზადების პროცესისა და ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა პრაქტიკაში თავად გამოცადეს ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის აპარატების მუშაობა.<br>შეხვედრები გაიმართა:<br>• 2024 წლის 20 ივლისს – თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში;<br>• 2024 წლის 28 სექტემბერს – რუსთაველის ეროვნულ თეატრში;<br>• 2024 წლის 29 სექტემბერს – კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. | |

| ამოცანა 1.2 | | ინფორმაციის გავრცელება საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | | ფერი |
| **1.2.1.1** | საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის განხორციელება | • გავრცელების არხების რაოდენობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში<br>• გავრცელებული მასალების რაოდენობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირებისთვის | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2024<br>II-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წელს, საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის ფარგლებში, მომზადდა და გაავრცელა 384 სიახლე, მათ შორის 43 განცხადება; ჩატარდა 49 ბრიფინგი; მომზადდა და ცესკოს სოციალური ქსელების საშუალებით ეტაპობრივად გავრცელდა 30 ვიდეოკასტი; ორგანიზება გაეწია ცესკოს ხელმძღვანელი პირების მონაწილეობას 51 სატელევიზიო და რადიოგადაცემაში, ასევე, აღნიშნული საინფორმაციო მასალა გავრცელდა ცესკოს ვებგვერდის, ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის სოციალური ქსელების საშუალებით; 2024 წლის არჩევნებისთვის შეიქმნა ახალი ლოგო და კამპანია მიმდინარეობდა აღნიშნული ლოგოს თანხლებით; შეიქმნა ახალი გვერდები სოციალურ ქსელებში, ინსტაგრამსა და ტიკტოკზე; ეთნიკური უმცირესობებისთვის ნათარგმნი ვიდეორგოლები გავრცელდა შემდეგ რეგიონულ ტელევიზიებში: სომხურ ენაზე - „ფარვანა“ და „ატვ 12“; აზერბაიჯანულ ენაზე - „მარნეული ტვ“ და „ტოკ ტვ“; ასევე, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე გახმოვანებული აუდიო რგოლები გავრცელდა რადიო „ნორის“ საშუალებით, როგორც სომხურ, ისე აზერბაიჯანულ ენებზე.<br><br>2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის სატელევიზიო/რადიო ეთერის საშუალებით გამოქვეყნდა და ინტენსიურად გავრცელდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადებული, სურდოთარგმანით უზრუნველყოფილი 25 საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეორგოლი. ვიდეორგოლები განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებში, იუსტიციის სახლის ფილიალებში, საქართველოს რკინიგზის მატარებლებისა და ბილეთების სალაროების მონიტორებზე, მედიასა და კინოთეატრებში. ასევე, საარჩევნო უბნებზე გასაკრავად მომზადდა 6 სახის პოსტერი, რომელიც ასევე ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე შესაბამისი საარჩევნო უბნებისთვის. ყველა საინფორმაციო ფლაერი და პოსტერი ადაპტირებული იყო ყრუ და უსინათლო პირებისთვის.<br><br>ქვეყნის მასშტაბით, ხალხმრავალ ადგილებში, ინტენსიურად გაიმართა ელექტრონული აპარატების დემონსტრაცია, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეებს ჰქონდათ შესაძლებლობა პირადად, პრაქტიკაში გამოეცადათ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატის მუშაობა. აპარატების დემონსტრირება გაიმართა მედიასაშუალებებშიც. საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა მედიაჰოლდინგ „იმედი“-ში, „პალიტრანიუსსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელში.<br><br>საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 14 დეკემბრის არჩევნებთან დაკავშირებით, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მომზადდა და სოციალურ ქსელებსა და სატელევიზიო ეთერში გავრცელდა საინფორმაციო ვიდეორგოლი.<br><br>საანგარიშო პერიოდში, ცესკოსა და საქართველოს პირველი არხის თანამშრომლობით განხორციელდა გადაცემათა ციკლი - „ყველა შეკითხვა ცესკოს“, რომლის ფარგლებშიც საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებულ შეკითხვებს, კვირაში ორჯერ, პასუხობდა ცესკოს თავმჯდომარე.<br><br>აღნიშნული ღონისძიებები გაშუქდა ცენტრალურ და რეგიონულ მედიაში. შესაბამისი პრესრელიზები და ფოტო-ვიდეო მასალა განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში. | |
| **1.2.1.2** | საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლების ინფორმირება | • გავრცელების არხების რაოდენობა<br>• გავრცელებული მასალების რაოდენობა | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საარჩევნო ადმინისტრაციამ მოახდინა საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩეველთა ინფორმირება 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შესახებ. ცესკოს ვებგვერდზე შეიქმნა ბანერი სახელწოდებით „ინფორმაცია საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის“, სადაც განთავსდა შემდეგი ინფორმაცია:<br>• 1 საინფორმაციო ვიდეორგოლი;<br>• 5 საინფორმაციო განცხადება/პრესრელიზი;<br>• გაშუქდა 3 ბრიფინგი.<br>აღნიშნული ინფორმაცია ასევე, გავრცელდა ცესკოს სოციალურ ქსელების, Youtube პლატფორმისა და მედიის საშუალებით. | |
| **1.2.1.3** | სახელმწიფო დაწესებულებებში საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 10 სახელმწიფო დაწესებულებაში შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, საარჩევნო სიახლეებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების შესახებ 487 სახელმწიფო დაწესებულებაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, რომელშიც საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 13 716-მა პირმა. | |
| **1.2.1.4** | საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 10 საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, საარჩევნო სიახლეებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა 10 საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საერთო ჯამში, შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 531-მა პირმა. | |
| **1.2.1.5** | მსხვილ კერძო ორგანიზაციებში საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 30 კერძო ორგანიზაციაში შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, საარჩევნო სიახლეებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების შესახებ, 221 კერძო ორგანიზაციაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო13 921 პირმა. | |
| **1.2.1.6** | მედიაორგანიზაციის წამომადგენლებისთვის საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ შეხვედრების ჩატარება | • არანაკლებ 15 მედიაორგანიზაციაში შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საინფორმაციო სახის შეხვედრები, რომლის ფარგლებში შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია 2024 წლის არჩევნებისთვის მზადების პროცესისა და ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ. ამასთანავე, შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ პრაქტიკაში გამოეცადათ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი<br><br>აპარატების მუშაობა. მედიასთან გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო **85-მა მედიაორგანიაციამ** (მათ შორის რეგიონული მედია). | |
| **1.2.1.7** | საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არანაკლებ 80 შეხვედრა ჩატარებულია, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არანაკლებ 12 შეხვედრა, ასევე მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა დაგვიანებით | 100 % | საანგარიშო პერიოდში, დაიგეგმა საარჩევნო სიახლეების გაცნობა ყველა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებისათვის, შეიქმნა სპეციალური პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა მსურველთა რეგისტრაცია. განისაზღვრა შესაბამისი ლოკაციები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. პროექტი განხორციელდა თბილისსა და რეგიონებში არსებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში მდებარე წინასწარ განსაზღვრულ 89 ლოკაციაზე. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობამ შეადგინა 178.<br><br>საქართველოს მასშტაბით გაიმართა 37 საინფორმაციო შეხვედრა, 5000 სასწავლო საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც საარჩევნო პროცესების/ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა 600 000-ზე მეტ საქართველოს მოქალაქეს. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა შემდეგ საჯარო სივრცეებსა და ხალხმრავალ ადგილებში (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ყველა რეგიონში):<br>• თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები;<br>• იუსტიციის სახლის ფილიალები;<br>• მომსახურების სააგენტოს ფილიალები;<br>• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;<br>• საჯარო და კერძო უწყებები;<br>• მუნიციპალური დაწესებულებები;<br>• საგანმანათლებლო რესურსცენტრები;<br>• მსხვილი კორპორაციები;<br>• ხალხმრავალი დღესასწაულები;<br>• კინოთეატრები;<br>• ბაზრები/ბაზრობები. | |
| **1.2.1.8** | უსინათლო პირებთან საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • უსინათლოთა კავშირის არანაკლებ 4 ფილიალში შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, ცესკოს, N59 ქუთაისის, N79 ბათუმის, N32 გორის და N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიებისა და საქართველოს უსინათლოთა კავშირის ორგანიზებით, უსინათლო პირებთან გაიმართა ხუთი შეხვედრა საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ. შეხვედრების ფარგლებში, მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის მზადების პროცესის, ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობის შესახებ. უსინათლო პირებმა თავად მიიღეს მონაწილეობა იმიტირებულ კენჭისყრაში და პრაქტიკაში გამოსცადეს ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა.<br>საერთო ჯამში, შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 191-მა უსინათლო პირმა, მათ შორის:<br>• 25 სექტემბერს, ქუთაისში – შეხვედრას დაესწრო 40 პირი;<br>• 28 სექტემბერი, ბათუმში – შეხვედრას დაესწრო 40 პირი;<br>• 5 ოქტომბერი, ახალციხეში - შეხვედრას დაესწრო 33 პირი;<br>• 6 ოქტომბერი, გორში - შეხვედრას დაესწრო 39 პირი;<br>• 17 ოქტომბერი თბილისი - შეხვედრას დაესწრო 39 პირი.<br><br>შეხვედრები გაიმართა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.2.1.9** | ყრუ პირებთან საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • ყრუთა კავშირის არანაკლებ 4 ფილიალში შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, საარჩევნო ადმინისტრაციამ საქართველოს ყრუთა კავშირის ორგანიზებით, უზრუნველყო ყრუ პირებისთვის საარჩევნო სიახლეებისა და ტექნოლოგიების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრების ციკლის ჩატარება. შეხვედრების მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის მზადების პროცესის, ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობის შესახებ. ამასთანავე, ყრუ პირებმა მიიღეს მონაწილეობა იმიტირებულ კენჭისყრაში და პრაქტიკაში გამოსცადეს ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა. შეხვედრების მიმდინარეობისას გავრცელდა მარტივად წასაკითხ ფორმატში მომზადებული „არჩევნებში მონაწილეობის გზამკვლევი“ QR კოდით, რომლის გამოყენებითაც ინფორმაცია მისაწვდომი იყო ყრუ პირებისთვის ჟესტურ ენაზე, ხოლო უსინათლო პირებისთვის – აუდიო ფორმატში.<br><br>შეხვედრები გაიმართა თბილისსა და შემდეგ ხუთ რეგიონში და მას დაესწრო 226 ყრუ პირი და საქართველოს ყრუთა კავშირის წარმომადგენელი, მათ შორის:<br>• 1 ივლისს, მარნეულში – შეხვედრას დაესწრო 28 პირი;<br>• 1 ივლისს, რუსთავში – შეხვედრას დაესწრო 38 პირი;<br>• 3 ივლისს, გორში – შეხვედრას დაესწრო 21 პირი, მათ შორის ყრუთა კავშირის ქარელის, ხაშურის და კასპის ორგანიზაციების ხელმძღვანელები;<br>• 4 ივლისს, თბილისში – შეხვედრას დაესწრო 64 პირი;<br>• 9 ივლისს, ქუთაისში – შეხვედრას დაესწრო 35 პირი;<br>• 10 ივლისს, ბათუმში – შეხვედრას დაესწრო 40 პირი.<br><br>შეხვედრები გაიმართა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით. | |
| **1.2.1.10** | სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ თამაშის მოდიფიცირება | • პროგრამაში ცვლილებები განხორციელებულია<br>• პროგრამის მომხმარებელთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>I-II<br>კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წელს, სასწავლო-საინფორმაციო ინტერნეტ თამაშის მოდიფიცირებისთვის, ცესკოს სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე, მომზადდა ტექნიკური დავალება და განხორციელდა შესაბამისი პროგრამული ცვლილებები.<br><br>საანგარიშო პერიოდში აპლიკაციით ისარგებლა 24 895-მა უნიკალურმა მომხმარებელმა. | |
| **1.2.1.11** | დეზინფორმაციაზე და ყალბ სიახლეებზე რეაგირება | მონიტორინგის ანგარიში ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2024<br>I-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წელს, დამუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ მედიაში გავრცელებული 6066 ინფორმაცია; გამოვლინდა უწყების წინააღმდეგ გავრცელებული იმიჯის შემლახავი 320 ინფორმაცია, 1023 მანიპულაციური ინფორმაცია და 937 დეზინფორმაცია.  ასევე, მომზადდა და ცესკოს ვებ-გვედზე გამოქვეყნდა საინფორმაციო სივრცის კვლევის 4 (ოთხი) ანგარიში. | |
| **1.2.1.12** | კონფერენციის ჩატარება თემაზე „არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი მონაწილეობა - საარჩევნო ადმინისტრაციის მიღწევები და გამოწვევები“ | კონფერენციაში მოწვეული და მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობის თანაფარდობა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი | 2024<br>II კვარტალი | შეჩერებულია | 40% | საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კონფერენციის მოსამზადებელი სამუშაოები:<br>• მომზადდა კონფერენციის დღის წესრიგის პროექტი;<br>• კონფერენციაზე მოსაწვევი/მონაწილე პირებისა და ორგანიზაციების სია;<br>• განისაზღვრა თემები პანელური დისკუსიისთვის.<br><br>დონორი ორგანიზაციის, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES), თხოვნით, კონფერენციის ჩატარება გადაიდო. | |
| **ამოცანა 1.3** | | **ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების სწავლება** | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | | **ფერი** |
| **1.3.1.1** | საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის "არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი" განხორციელება | • მუნიციპალიტეტების რაოდენობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მიხედვით<br>• არანაკლებ 340 საჯარო სკოლაში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არანაკლებ 30 სკოლაში, პროგრამა განხორციელებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>I კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 12-29 თებერვლის პერიოდში, სწავლების ცენტრმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან პარტნიორობით საჯარო სკოლებში განახორციელა საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“. პროექტი განხორციელდა ახალგაზრდებში საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით.<br><br>საარჩევნო რეფორმის შესაბამისად განახლებული პროგრამის ფარგლებში XI-XII კლასის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ ძირითად საკითხებზე:<br>• არჩევნების მოდერნიზაცია და ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა;<br>• კენჭისყრის პროცესის საარჩევნო ტექნოლოგიებით (აპარატებით) ჩატარების სიახლეები;<br>• ამომრჩევლის როლი და მათთვის დანერგილი საარჩევნო სერვისები;<br>• საარჩევნო უფლების რეალიზება, ფარულობა და დაცულობა კენჭისყრის პროცესში;<br>• ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა და საარჩევნო აპარატების გამოყენებით ხმის მიცემის პროცესში შშმ ამომრჩევლების დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა.<br><br>მოსწავლეებმა გაიარეს პრაქტიკული სწავლებაც და მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ არჩევნებში.<br><br>პროექტი განახორციელა სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 101-მა ტრენერმა, მათ შორის იყო 63 (62%) ქალი და 38 (38 %) კაცი. პროექტი სულ განხორციელდა 64 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული 13 მუნიციპალიტეტში (თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, გარდაბანი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა).<br><br>საერთო ჯამში, კურსი გაიარა 353 საჯარო სკოლის 7412-მა მოსწავლემ, მათ შორის იყო 3 031 (41%) ქალი და 4 381 (59%) კაცი. კურსის მონაწილეებს შორის იყო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში განლაგებული 54 საჯარო სკოლის 1 085 მოსწავლე, მათ შორის 658 (61%) ქალი და 427 (39%) კაცი. | |
| **1.3.1.2** | საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგების და რესურსცენტრების წარმომადგენლებისთვის სასწავლო-საინფორმაციო კურსის განხორციელება არჩევნებისა და საარჩევნო ტექნოლოგიების სიახლეების შესახებ | • მუნიციპალიტეტების რაოდენობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მიხედვით<br>• სამოქალაქო განათლების არანაკლებ 73 პედაგოგისთვის და რესურსცენტრის არანაკლებ 50 წარმომადგენლისთვის კურსი ჩატარებულია<br>• სტატისტიკური მონაცემები მონაწილეთა შესახებ გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>I კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 26 თებერვლიდან 7 მარტის პერიოდში, სწავლების ცენტრმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან პარტნიორობითა და საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგების ჩართულობით განახორციელა საინფორმაციო პროექტი „დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“.<br>პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდა თაობის სამოქალაქო საარჩევნო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, ასევე, სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის „დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“ შესახებ სამოქალაქო განათლების პედაგოგების ინფორმირება,  შემდგომში არჩევნების მოდულზე საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის ხელშეწყობისა და მოსწავლეებისთვის განახლებული ინფორმაციის გაზიარებისთვის.<br>პროექტის ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის მომზადდა დამატებითი საინფორმაციო რესურსი, რომელიც მოიცავდა განსახილველ საარჩევნო თემატიკას, თემის განვრცობისთვის განკუთვნილ საკითხავ მასალას, პრაქტიკული სავარჯიშოებსა და სარეკომენდაციო მითითებებს ჩატარების მეთოდოლოგიის შესახებ. ამასთან, შეხვედრების მონაწილეებთან განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:<br>• ამომრჩევლის როლის მნიშვნელობა და პოლიტიკური კულტურის ასპექტები;<br>• დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტები;<br>• არჩევნების მოდერნიზაციის ტენდენციები და ხმის მიცემის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება;<br>• ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზება, ფარულობა და დაცულობა კენჭისყრის პროცესში;<br>• ინკლუზიური საარჩევნო გარემო;<br>• საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული საარჩევნო სერვისები.<br><br>ასევე, პედაგოგები პრაქტიკაში გაეცნენ ელექტრონული აპარატებით კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას და მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ არჩევნებში.<br><br>საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა 22 მუნიციპალიტეტში (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 7 მუნიციპალიტეტში) მოქმედ საგანმანათლებლო რესურსცენტრებში (თბილისი, მცხეთა, დუშეთი, საგარეჯო, თელავი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, გორი, ხაშური, ახალციხე, ახალქალაქი, ქუთაისი, წყალტუბო, ზესტაფონი, ამბროლაური, ოზურგეთი, ჩოხატაური, ხობი, ბათუმი, ქობულეთი, ზუგდიდი).<br>საინფორმაციო შეხვედრებში სულ მონაწილეობა მიიღო 533-მა პირმა, მათ შორის იყო 455 (85%) ქალი და 78 (15%) კაცი. მონაწილეებს შორის იყო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში განლაგებული 473 საჯარო სკოლის 478  სამოქალაქო განათლების პედაგოგი და 23 საგანმანათლებლო რესურსცენტრის 55 წარმომადგენელი. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.3.1.3 | უნივერსიტეტებში სემესტრული სასწავლო პროგრამის „საარჩევნო სამართალი“ განხორციელება | • არანაკლებ 6 უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამა განხორციელებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>I-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | სწავლების ცენტრმა, საანგარიშო პერიოდში, პარტნიორ უნივერსიტეტებში განახორციელა საავტორო პროგრამა "საარჩევნო სამართალი". აღნიშნული პროგრამა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 2024 წლის სასწავლო ბადეში გაზაფხული/შემოდგომის სემესტრში ჩატარდა. სასწავლო პროექტმა მოიცვა იურიდიული, სოციალურ მეცნიერებათა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის III-IV კურსის სტუდენტები, რომლებიც პროფილური მიმართულებების გათვალისწინებით შემუშავებული სილაბუსის მიხედვით გაეცნენ არჩევნებთან დაკავშირებულ შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციებს და საერთაშორისო საარჩევნო პრაქტიკას, მიიღეს ინფორმაცია არჩევნების მოდერნიზების მიზნით შემოტანილ ელექტრონულ ტექნოლოგიურ სიახლეებზე და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებულ საარჩევნო სერვისებზე.<br>პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებში საარჩევნო კულტურის განმტკიცება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე დარგობრივი სპეციალისტების მომზადება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მიერ აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავება საარჩევნო სამართლის დარგში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. პროგრამა განხორციელდა 10 უნივერსიტეტში, მათ შორის რეგიონებში არსებულ 4 უნივერსიტეტში:<br>• სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>• სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>• შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;<br>• შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;<br>• გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ბათუმის წარმომადგენლობა);<br>• კავკასიის უნივერსიტეტი;<br>• სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>• სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>• სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).<br><br>სასწავლო პროცესს გაუძღვა სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებული 6 ლექტორი, მათ შორის 3 (50%) ქალი და 3 (50%) კაცი.<br><br>სასწავლო კურსზე უნივერსიტეტებში სემესტრულ სასწავლო პროგრამაში „საარჩევნო სამართალი“ მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა - 945 , მათ შორის 564 (60%) ქალი და 381 (40%) კაცი. | |
| 1.3.1.4 | უნივერსიტეტებში სასწავლო-საინფორმაციო პროექტის "ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი" განხორციელება | • არანაკლებ 6 უნივერსიტეტში სასწავლო-საინფორმაციო პროექტი განხორციელებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 20-24 მაისისა და 22 ივნისის პერიოდში, საარჩევნო პროცესში დანერგილი სიახლეების პოპულარიზაციისა და ახალგაზრდების აქტიურ, ინფორმირებულ ამომრჩევლებად ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში განახორციელა სასწავლო-საინფორმაციო პროექტი "ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი" უნივერსიტეტის და საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის ეროვნული ასოციაციის სტუდენტებისთვის.<br>შეხვედრების ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ საერთაშორისო ტენდენციებს არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, განიხილეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული სერვისები და ელექტრონული აპარატებით კენჭისყრის ჩატარების სიახლეები. სწავლების ცენტრმა ელექტრონული აპარატების გამოყენებით, ახალგაზრდების ჩართულობით იმიტირებული კენჭისყრა ჩაატარა.<br>შეხვედრებში მონაწილეობა 218-მა სტუდენტმა მიიღო. საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის ეროვნული ასოციაციის ინიციატივით თბილისში, ხოლო, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თბილისსა და რეგიონებში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობა; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. | |
| 1.3.1.5 | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში დასანიშნი პოტენციური წარმომადგენლებისთვის ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br>• ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>• მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში დასანიშნი პოტენციური წარმომადგენლებისთვის ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა.<br>• გადამზადებული ტრენერების რაოდენობა - 81;<br>• ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა - 39;<br>• მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა - 9 უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტი/პარტია;<br>• მონაწილეთა რაოდენობა - 597 პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელი (398 ქალი, 199 კაცი). | |
| 1.3.1.6 | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებისთვის საარჩევნო ტექნოლოგიების სიახლეებზე სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br>• ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებისთვის საარჩევნო ტექნოლოგიების სიახლეებზე სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა.<br>• გადამზადებული ტრენერების რაოდენობა - 40;<br>• ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა - 28;<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა - 6 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია;<br>• მონაწილეთა რაოდენობა - 277 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი (182 ქალი, 95 კაცი). | |
| 1.3.1.7 | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის კენჭისყრის დღისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების უფლებების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო კურსის ჩატარება | • ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>• მონაწილე პოლიტიკური პარტიების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 17 სექტემბერს სწავლების ცენტრმა დისტანციურ ფორმატში ჩაატარა სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. საინფორმაციო შეხვედრის მიზანი იყო ჩართული მხარეების ინფორმირება კენჭისყრის დღის პროცედურული სიახლეებისა და საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენების საკითხებზე. შეხვედრა სწავლების ცენტრის მიერ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის შემუშავებული პროფილური სასწავლო კურსის მიხედვით ჩატარდა. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ელექტრონული აპარატების გამოყენებით არჩევნების ჩატარების საერთაშორისო სტანდარტები, კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობის პრაქტიკული ასპექტები, ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის გარანტირებულობა, არჩევანის ფარულობის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა. მათ ასევე მიიღეს ინფორმაცია 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის დანერგილი სერვისების შესახებ.<br>დისტანციურ შეხვედრას დაესწრნენ და დააკვირდნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 11 პოლიტიკური პარტიის 86-მა წარმომადგენელმა. მათ შორის იყო 57 (66%) ქალი და 29 (34%) კაცი.<br>მონაწილე პოლიტიკური პარტიები:<br>• გირჩი;<br>• ევროპელი დემოკრატები;<br>• ევროპელი სოციალისტები;<br>• ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის;<br>• ერთიანობა –ნაციონალური მოძრაობა;<br>• კი ევროპას – სტრატეგია აღმაშენებელი<br>. მოქალაქეები;<br>• სამართლიანობისთვის;<br>• საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;<br>. ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო;<br>• ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის! | |
| 1.3.1.8 | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის კენჭისყრის დღისა და დამკვირვებლების უფლებების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო კურსის ჩატარება | • ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>• მონაწილე დამკვირვებელი ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 17 სექტემბერს სწავლების ცენტრმა დისტანციურ ფორმატში ჩაატარა სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. საინფორმაციო შეხვედრის მიზანი იყო ჩართული მხარეების ინფორმირება კენჭისყრის დღის პროცედურული სიახლეებისა და საარჩევნო ელექტრონული აპარატების გამოყენების საკითხებზე.<br><br>შეხვედრა სწავლების ცენტრის მიერ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის შემუშავებული პროფილური სასწავლო კურსის მიხედვით ჩატარდა. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ელექტრონული აპარატების გამოყენებით არჩევნების ჩატარების საერთაშორისო სტანდარტები, კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობის პრაქტიკული ასპექტები, ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის გარანტირებულობა, არჩევანის ფარულობის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა, ინკლუზიური საარჩევნო გარემო და შესაბამისი მექანიზმები. მიიღეს ინფორმაცია 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის დანერგილი სერვისების შესახებ.<br><br>დისტანციურ შეხვედრას დაესწრნენ და დააკვირდნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ეუთოს/ოდირის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები.<br><br>შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 8 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 37-მა წარმომადგენელმა, მათ შორის იყო 26 (70%) ქალი და 11 (30%) კაცი. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები:<br>• ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია;<br>• დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი;<br>• კავშირი საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო;<br>• მასმედიისა და უფლებების დაცვის ცენტრი;<br>• მესხეთის სამოქალაქო საზოგადოება<br>• სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;<br>• საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია<br>• ყოფილი პოლიტპატიმრები-ადამიანის უფლებებისათვის. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.3.1.9** | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის კენჭისყრის დღისა და აკრედიტებული ჟურნალისტების უფლებების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო კურსის ჩატარება | • ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>• მონაწილე მედიაორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 18-20 სექტემბერს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო კურსი მედიის წარმომადგენლებისთვის. კურსის მიზანი იყო მედია საშუალებების (ტელე/რადიო მაუწყებლების, ბეჭდური და ონლაინ მედია) წარმომადგენელთა ინფორმირება 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტების, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობებისა და ელექტრონული არჩევნების უპირატესობების შესახებ.<br><br>კურსის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო ელექტრონული საშუალებების საერთაშორისო აუდიტის შედეგები, საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგია და ინფორმირების კამპანია 2024 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის, არჩევნების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტები, მედიის როლი და უფლებრივი მდგომარეობა კენჭისყრის პროცესში და ამომრჩეველთა განათლების საერთაშორისო მიდგომები. ღონისძიების ფარგლებში გამართული დისკუსიის ფორმატში ჟურნალისტებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს მათთვის საინტერესო კითხვებზე. მედიის წარმომადგენლები საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების, კერძოდ, ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის ელექტრონული აპარატების მუშაობასაც გაეცნენ და მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ კენჭისყრაშიც.<br><br>საინფორმაციო-სასწავლო კურსში მონაწილეობა მიიღო 17 მედიასაშულებების 24-მა წარმომადგენელმა, მათ შორის იყო 15 (62%) ქალი და 9 (38%) კაცი. | |
| **1.3.1.10** | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის კენჭისყრის დღისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა უფლებების შესახებ სასწავლო-საინფორმაციო კურსის ჩატარება | • ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>• მონაწილე სასჯელაღსრულების დაწესებულებების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 15 ოქტომბერს სწავლების ცენტრმა, დისტანციურ ფორმატში, გამართა შეხვედრა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებთან. საინფორმაციო პროექტი საარჩევნო ადმინისტრაციას და პენიტენციურ სამსახურს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის ასპექტებს მოიცავდა და პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ამომრჩევლების 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობას ემსახურებოდა.<br>• ჩატარდა 1 შეხვედრა (დისტანციურ ფორმატში);<br>• შეხვედრას დაესწრო სპეციალური პენიტენციური სამსახურის 14 პენიტენციური დაწესებულება;<br>• შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 14 პენიტენციური დაწესებულების 27-მა წარმომადგენელმა, მათ შორის - 2 (7%) ქალი, 25 (93%) კაცი. | |
| **1.3.1.11** | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის სასწავლო-საინფორმაციო კურსის "არჩევნების უსაფრთხოება" ჩატარება | • ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით, ცესკოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც ერთ-ერთ მიმართულებად განისაზღვრა პოლიციელების გადამზადება.<br>ინიცირებული თანამშრომლობის ფარგლებში, 24 სექტემბერს, სწავლების ცენტრის დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორმა ვახტანგ გაბრიჭიძემ გამართეს სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისთვის საინფორმაციო-სასწავლო პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პრაქტიკული ასპექტები. გადამზადების პროგრამაში პოლიციელების მაქსიმალური რაოდენობით ჩართულობის მიზნით, კურსის ჩატარება ჰიბრიდული მეთოდით განისაზღვრა. სატრენინგო სესიები გაიმართა როგორც პირისპირ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ტერიტორიაზე, ისე დისტანციურად.<br>2024 წლის 1-18 ოქტომბრის პერიოდში, ცესკომ (იურიდიული დეპარტამენტი) და სწავლების ცენტრმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, პოლიციელებისთვის სპეციალიზებული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა განახორციელა, რომლის ფარგლებში განიხილეს: საარჩევნო ადმინისტრაციას და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ეფექტიანი კომუნიკაცია უსაფრთხო და მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად; კენჭისყრის დღემდე პერიოდში და კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების მიზნით რისკების იდენტიფიცირება, პრევენცია და რეაგირების მექანიზმები.<br>• ჩატარდა 13 შეხვედრა;<br>• პროექტში მონაწილეობა მიიღო პოლიციის 1276-მა თანამშრომელმა. | |
| **1.3.1.12** | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის პოტენციური ქალი კანდიდატებისთვის სასწავლო-საინფორმაციო კურსის "საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობის წახალისება" ჩატარება | • არანაკლებ ერთი შეხვედრა ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა | სწავლების ცენტრი | 2024<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 4 და 7 ოქტომბერს, სწავლების ცენტრმა, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან პარტნიორობით, არჩევნებზე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების ქალ წარმომადგენლებთან საინფორმაციო ღონისძიებები ჩაატარა.<br>სტრატეგიული ამოცანის შესაბამისად, სწავლების ცენტრის ტრენერებმა, თემატურად შემუშავებული საინფორმაციო სასწავლო პროგრამის ფარგლებში, პოლიტიკურ პარტიების ქალ წარმომადგენლებთან შემდეგი ძირითადი საკითხები განიხილეს: საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობა; წარმატებული ქალების მაგალითები საარჩევნო/პოლიტიკურ ცხოვრებაში; გენდერული სტერეოტიპები, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა, კიბერ-შევიწროება და მათი დაძლევისთვის საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული ინსტრუმენტები. ამასთან, საარჩევნო ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებით, შეხვედრაზე განხილულ იქნა საარჩევნო რეფორმით გათვალისწინებული ტექნოლოგიური სიახლეები. მეტი თვალსაჩინოებისთვის მონაწილეები უშუალოდ ჩაერთნენ ელექტრონული აპარატების გამოყენებით ხმის მიცემის პროცესის სიმულაციაში.<br>საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ქ. ბათუმში პირისპირ ფორმატში და ქ. თბილისში დისტანციური პლატფორმის გამოყენებით. ღონისძიებებში მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა და საჯარო პოლიტიკაში აქტიურად ჩართულმა ქალებმა მიიღეს.<br>• ჩატარდა 2 შეხვედრა (პირისპირ და დისტანციურ ფორმატში);<br>• შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 40 - მა ქალმა. | |
| **1.3.1.13** | მხარდაჭერის მიმღები პირების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის მხარდაჭერის მიმღები პირების კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ სასწავლო-საინფორმაციო კურსის ჩატარება | • ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა<br>• მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 3 ივლისს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თანამშრომლობითა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, სწავლების ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო-სასწავლო კურსი არჩევნებში მხარდაჭერის მიმღები პირების მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სწავლების ცენტრმა შექმნა სასწავლო მოდული მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის მარტივად წასაკითხ ფორმატში შემუშავებული არჩევნებში მონაწილეობის გზამკვლევის მიხედვით. შეხვედრას დაესწრნენ თბილისში მოქმედი მხარდაჭერის მიმღები პირების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.<br>საინფორმაციო-სასწავლო კურსის მონაწილეებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის დანერგილი ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, ამასთან, პრაქტიკაში თავად გამოცადეს ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობა. სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის მეშვეობით საინფორმაციო კურსის მონაწილეებმა შემდგომში თავად გადაამზადეს 144 ბენეფიციარი (მხარდაჭერის მიმღები პირები), გააცნეს მათ ხმის მიცემის პროცესში ამომრჩევლებისთვის გათვალისწინებული სიახლეები და საარჩევნო სერვისები.<br>პროექტში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში მოქმედი მხარდაჭერის მიმღები პირების საკითხებზე მომუშავე 8 ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციის (შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“• „ბარბარე 21“; „ხელი-ხელს“; შპს „დათე“; „ჩემი ოჯახი“; „სათნოების გზა“; ააიპ „ბასილიადა“; ასოციაცია „ანიკა“) 12-მა (10 (83%) ქალი, 2 (17%) კაცი) წარმომადგენელმა. | |
| **1.3.1.14** | სასწავლო პროგრამის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ განხორციელება | • არანაკლებ 64 მუნიციპალიტეტში კონკურსი გამოცხადებულია<br>• ჩატარებული სასწავლო კურსების რაოდენობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სამუშაო ჯგუფი | 2024<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 8 ივლისიდან 8 აგვისტოს პერიოდში, ქვეყნის მაშტაბით განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის პროექტი „ცესკოს საარჩევნო სკოლა“. პროექტის მიზანი იყო საარჩევნო საკითხებთან, განსაკუთრებით კი, ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით მონაწილეების ცნობიერების ამაღლება და ამასთანავე, საარჩევნო ადმინისტრაციის პოტენციური საკადრო რესურსის ფორმირება. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ 18-დან 45-წლამდე საქართველოს მოქალაქეებს. ოთხდღიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ საარჩევნო თემებთან დაკავშირებით პროფესიულ დონეზე შეესწავლათ ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების მუშაობის სპეციფიკა. სწავლება განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის 175-მა ტრენერმა, მათ შორის 106 (61%) ქალი და 69 (39%) კაცი. ტრენერთა ტრენინგი (ToT) ჩატარდა 24 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით პერიოდში.<br>პროექტი განხორციელდა 64 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 12 მუნიციპალიტეტში (საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, წინოწმინდა).<br><br>• მონაწილეთა რაოდენობა- 4424 პირი (3092 ქალი, 1332 კაცი), ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 590, მათ შორის 344 (58%) ქალი და 246 (42%) კაცი. | |
| **1.3.1.15** | სასწავლო პროგრამის „ცესკოს ახალგაზრდული ბანაკის“ განხორციელება | • ანგარიში პროექტის განხორციელების შესახებ ცესკოს თავმჯდომარისთვის წარდგენილია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სამუშაო ჯგუფი | 2024<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ახალი კონცეფციით, საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი გაერთიანდა/განხორციელდა სასწავლო პროგრამის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ ფარგლებში. | |
| **1.3.1.16** | ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისთვის არჩევნების მედიასკოლის პროექტის შექმნა | • პროექტის კონცეფცია შექმნილია<br>• საპილოტე რეჟიმში ჩატარებული სასწავლო კურსების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | 2024<br>II-III კვარტალი | შეჩერებულია | 60% | საანგარიშო პერიოდში, ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის პროექტის „საარჩევნო მედიასკოლა“ განხორციელების მიზნით, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. შემუშავდა პროექტის კონცეფცია. განისაზღვრა სასწავლო კურსის საკითხები და პროექტის მონაწილეთა შესარჩევი კრიტერიუმები. მომზადდა სააპლიკაციო ფორმა. პროექტის განხორციელება დაგეგმილია 2025 წელს. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მიზანი 2** | | **სამართალწარმოების პროცესის განვითარება** | | | | | | |
| **ამოცანა 2.1** | | **საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესის გაუმჯობესება** | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | | **ფერი** |
| **2.1.1.1** | ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით საარჩევნო დავების სახელმძღვანელოს განახლება | განახლებული სახელმძღვანელო ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია | იურიდიული დეპარტამენტი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წელს განახლდა სახელმძღვანელოები საარჩევნო დავებისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ, რომლებიც გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე:<br>• სახელმძღვანელო საარჩევნო დავების შესახებ;<br>• სახელმძღვანელო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ. | |
| **2.1.1.2** | დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზის განხორციელება | ანალიზის დოკუმენტი შექმნილია | იურიდიული დეპარტამენტი | 2024<br>IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წელს განხორციელდა სანგარიშო პერიოდის დროს გამოქვეყნებული დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი. ანალიზის დოკუმენტი წარედგინა/გაეგზავნა ცესკოს ხელმძღვანელ პირებს. | |
| **2.1.1.3** | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების დროს ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრების სამართლებრივი და სტატისტიკური ანალიზის განხორციელება | • სტატისტიკა დამუშავებული და ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია<br>• საჩივრების სამართლებრივი ანალიზის დოკუმენტი შექმნილია | იურიდიული დეპარტამენტი | 2024<br>IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების ფარგლებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრების სამართლებრივი და სტატისტიკური ანალიზი.<br>• სტატისტიკა დამუშავებული და ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია;<br>• საჩივრების სამართლებრივი ანალიზის დოკუმენტი შექმნილია. | |
| **2.1.1.4** | საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის საკანონმდებლო საკითხებისა და საარჩევნო დავების შესახებ ტრენინგების ჩატარება | • სსკ-ების არანაკლებ 145 ხელმძღვანელი პირისთვის ტრენინგი ჩატარებულია<br>• სტატისტიკური მონაცემები მონაწილეთა შესახებ გენდერულ ჭრილში | იურიდიული დეპარტამენტი | 2024<br>III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე – „საარჩევნო დავების გადაწყვეტა (ერთგვაროვანი და ეფექტური განხილვა და გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთება)". ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ საკანონმდებლო ცვლილებებს, საარჩევნო დავების წარმოებას, მათ ერთგვაროვან განხილვას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.<br><br>ტრენინგი ჩაუტარდა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 146 ხელმძღვანელ პირს, მათ შორის იყო 54 (36%) ქალი და 92 (64%) კაცი. | |
| **2.1.1.5** | საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის საარჩევნო დავებთან დაკავშირებით არსებულ ონლაინ პლატფორმების გამოყენების შესახებ ტრენინგების ჩატარება | • სსკ-ების არანაკლებ 145 ხელმძღვანელი პირისთვის ტრენინგი ჩატარებულია<br>• სტატისტიკური მონაცემები მონაწილეთა შესახებ გენდერულ ჭრილში | იურიდიული დეპარტამენტი | 2024<br>II-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებს (თავმჯდომარე, მდივანი) ჩაუტარდათ ტრენინგი საჩივრების რეესტრის და საჩივრის ელექტრონული ფორმით შეტანისა და მინდობილ პირთა ელექტრონული რეესტრის წარმოების წესთან დაკავშირებით.<br><br>ტრენინგი ჩაუტარდა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 146 ხელმძღვანელ პირს, მათ შორის იყო 54 (36%) ქალი და 92 (64%) კაცი. | |
| **ამოცანა 2.2** | | **სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება** | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | | **ფერი** |
| **2.2.1.1** | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვანი აღქმის შესახებ ტრენინგების ჩატარება | • მოწვეული და მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | იურიდიული დეპარტამენტი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეების, საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებლების უფლება-მოვალეობებისა და საარჩევნო დავების შესახებ. ამასთანავე, შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ვრცელი ინფორმაცია საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით არსებულ სიახლეებზე, მათ შორის ბიულეტენის შევსების წესის, ბათილი ბიულეტენების, საჩივრის წარდგენის წესისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.<br>• მოწვეული საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა - 18;<br>• შეხვედრას ესწრებოდა საარჩევნო სუბიექტების 14 წარმომადგენელი, მათ შორის 8 (57%) ქალი, 6 (43%) კაცი. | |
| **2.2.1.2** | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის რეგისტრირებულ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვანი აღქმის შესახებ ტრენინგების ჩატარება | • მოწვეული და მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | იურიდიული დეპარტამენტი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა შეხვედრა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეების, საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებლების უფლება-მოვალეობებისა და საარჩევნო დავების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე მიიღეს ვრცელი ინფორმაცია საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით არსებულ სიახლეებზე, მათ შორის ბიულეტენის შევსების წესის, ბათილი ბიულეტენების, საჩივრის წარდგენის წესისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.<br>• მოწვეული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია - 21;<br>• შეხვედრას ესწრებოდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების 10 დამკვირვებელი, მათ შორის 6 (60%) ქალი, 4 (40%) კაცი. | |
| **სტრატეგიული პრიორიტეტი** | | **ინსტიტუციური გაძლიერება** | | | | | | |
| **მიზანი 3** | | **მართვის ეფექტიანობის ზრდა** | | | | | | |
| **ამოცანა 3.1** | | **მართვის ხარისხის გაუმჯობესება** | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | | **ფერი** |
| **3.1.1.1** | მართვის ხარისხის საერთაშორისო აუდიტის გავლა | მართვის ხარისხის სერტიფიკატი (ISO) განახლებულია | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი | 2024<br>I -III კვარტალი | განხორციელდა | 100% | საანგარიშო პერიოდში, მართვის ხარისხის სერტიფიკატის განახლების მიზნით მომზადდა ლოგისტიკის მართვის პროცესის აღმწერი PD დოკუმენტის პროექტი და ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის პროექტი.<br>მართვის ხარისხის (ISO) სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შპს ,,მენეჯმენტის სისტემები''-ს წარმომადგენლის - აუდიტორის მიერ, 2024 წლის 2 მაისს განხორციელდა შიდა აუდიტი, ხოლო 2024 წლის 14 ივნისს საერთაშორისო აუდიტორის მიერ დისტანციურად განხორციელდა საკონტროლო აუდიტი. შიდა და გარე აუდიტი წარმატებით განხორციელდა და ცესკომ შეინარჩუნა მის მიერ მოპოვებული საერთაშორისო სერტიფიკატი. | |
| **3.1.1.2** | ცესკოს აპარატის თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის ჩატარება | ცესკოს აპარატის თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში ცესკოს თავმჯდომარისთვის წარდგენილია | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100% | საანგარიშო პერიოდში, ცესკოს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების მიზნით, შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია და კვლევის დიზაინი. განისაზღვრა კვლევის კითხვარი. ასევე, განისაზღვრა სამიზნე აუდიტორია და მათი შერჩევის მეთოდი. აღნიშნული კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გაიწერა კონკრეტული საკვლევი მიმართულებები/თემები. იდენტიფიცირდა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საზომი/სკალა. თანამშრომლებს დაეგზავნათ კვლევის ელექტრონული კითხვარი, დამუშავდა კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 128 თანამშრომელმა, მათ შორის იყო 56 (44%) კაცი და 72 (56%) ქალი. კვლევის ანგარიში წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს. | |
| **3.1.1.3** | ცესკოს აპარატის თანამშრომელთა შეფასების სისტემის მოდიფიცირება | თანამშრომელთა შეფასების წესი ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი | 2024<br>I-IV კვარტალი | შეჩერებულია | 80 % | 2024 წლის I კვარტალში საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით დაიწყო შეფასების ფორმების განახლების პროცესი.<br>სამომავლოდ, შეფასების ფორმების განახლება/მოდიფიცირება დაგეგმილია შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან თანამშრომლობით. | |
| **3.1.1.4** | საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ორგანიზაციული კულტურის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება | • საოლქო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 150 წევრისთვის სამუშაო შეხვედრები ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი | 2024<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების მმართველობითი უნარების გაძლიერების, კომისიის წევრების საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესის უნარების გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა 4 სამუშაო შეხვედრა. ორგანიზაციული კულტურის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩასატარებლად შემუშავდა შესაბამისი სასწავლო და საპრეზენტაციო მასალები.<br>შეხვედრებს სულ დაესწრო საოლქო საარჩევნო კომისიის 164 წევრი, მათ შორის იყო 75 (46%) ქალი და 89 (54%) კაცი. | |
| **3.1.1.5** | სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტის განახლება | სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების შესახებ განახლებული სახელმძღვანელო დოკუმენტი ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი | 2024<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, მომზადდა სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების შესახებ განახლებული სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტი, რომელიც წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს. აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტი ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია. | |
| **3.1.1.6** | საარჩევნო ადმინისტრაციის შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება | რისკების შეფასების ფორმები შედგენილია და ცესკოს თავმჯდომარისთვის წარდგენილია | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებული და სხვა პირებისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა 38 საოლქო საარჩევნო კომისიის შენობა-ნაგებობების ინსპექტირება. შედგა ინსპექტირების ოქმები. ინსპექტირების პროცესში გამოკვეთილი საფრთხეების იდენტიფიცირების, ანალიზის, შეფასებისა და პრევენციის ღონისძიებები აისახა რისკების შეფასების დოკუმენტებში, რომელიც წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს. | |
| **3.1.1.7** | საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩასატარებელი კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების წესის შექმნა | საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩასატარებელი კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების წესი ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია | სამუშაო ჯგუფი | 2024<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა და ცესკოს თავმჯდომარეს წარედგინა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩასატარებელი კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების წესის პროექტი. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩასატარებელი კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების წესი ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია. | |

| ამოცანა 3.2 | მართვის ელექტრონული ინსტრუმენტების განვითარება | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | | ფერი |
| 3.2.1.1 | ცესკოს სხდომებზე ელექტრონული ხმის მიცემის პროგრამის დანერგვა | • საქმისწარმოების წესში ცვლილებები ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია<br>• ცესკოს სხდომაზე წევრების მიერ გადაწყვეტილების მიღება ელექტრონული ხის მიცემის პროგრამის გამოყენებით განხორციელებულია | ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი) | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, მომზადდა ცესკოს სხდომებზე კომისიის წევრთა ელექტრონული ავტორიზაციისა და ხმის მიცემის პროგრამის კონცეფცია, გაიმართა სამუშაო შეხვედრები საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან, სადაც განხილულ იქნა კონცეფციით გაწერილი ელექტრონული პროგრამის ტექნიკური და სამართლებრივი საკითხები, რის შედეგადაც მომზადდა პროგრამის ტექნიკური დავალება.<br>განხორციელდა ცესკოს სხდომებზე კომისიის წევრთა ელექტრონული ავტორიზაციისა და ხმის მიცემის პროგრამის კონცეფციის საფუძველზე გაწერილი ტექნიკური დავალებების გადახედვა, ტესტირების/პილოტირების დროს გამოვლენილი ხარვეზების აღწერა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი დოკუმენტის/გასათვალისწინებელი მოთხოვნების გაწერა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის. კორექტირებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, შეიქმნა ელექტრონული პროგრამის ადმინისტრატორის, სხდომის თავმჯდომარისა და კომისიის წევრის ინტერფეისები. გაიწერა ცესკოს გადაწყვეტილებებისთვის საჭირო კვორუმები, მომზადდა პროგრამაში დასაგენერირებელი სხდომის/კენჭისყრის შედეგების ამსახველი ფაილები.<br><br>ცესკოს სხდომებზე ელექტრონული ხმის მიცემის პროგრამის სამართლებრივი ლეგიტიმაციისთვის ცვლილება განხორციელდა რეგლამენტში „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ცესკოს 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ცესკოს 2024 წლის 18 მარტის №2/2024 დადგენილებით, ნაცვლად საქმისწარმოების წესისა. რეგლამენტში დეტალურად განისაზღვრა ელექტრონული სისტემის გამოყენებით ცესკოს სხდომის მომზადებისა და ჩატარების წესი. ვინაიდან ცესკოს აპარატის საქმისწარმოების წესი სრულ შესაბამისობაშია ცესკოს რეგლამენტთან, საქმისწარმოების წესში ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.<br>პროექტი განხორცილდა წარმატებით და ცესკოს სხდომებზე ელექტრონული ხმის მიცემის პროგრამის დანერგვის შედეგად ცესკოს წევრების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ელექტრონული ხის მიცემის პროგრამის გამოყენებით. | |
| 3.2.1.2 | საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) სსკ-ს მდივნის განკარგულების მომზადების პროცესის შექმნა | • პროგრამით სარგებლობის ინსტრუქცია მომზადებულია<br>• არანაკლებ 70 საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნისთვის ტრენინგები ჩატარებულია<br>• საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) მომზადებული სსკ-ს მდივნების განკარგულებების რაოდენობა | ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი) | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნის განკარგულების მომზადებისა და რეგისტრაციის პროცესის უზრუნველსაყოფად, მომზადდა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების ელექტრონული ბლანკი და განკარგულების შაბლონები, რომლებიც ინტეგრირდა და განთავსდა საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument). ელექტრონულ პროგრამაშივე შეიქმნა საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების ტიპი და მდივნებს გაუაქტიურდათ შესაბამისი დაშვებები შესაბამის სამართლებრივ აქტებზე. ამასთან, საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნებმა, განკარგულებებზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესასრულებლად, განაახლეს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატები. შემუშავდა და მომზადდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების მომზადების, რეგისტრაციისა და კვალიფიციური ციფრული ხელმოწერით დადასტურების სახელმძღვანელო ინსტრუქცია.<br><br>საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებისთვის დაიგეგმა ტრენინგები eDocument-ის პროგრამაში განკარგულების მომზადებისა და რეგისტრაციის შესახებ. ტრენინგები ჩატარდა ეტაპობრივად:<br>• I ეტაპი - 2024 წლის 26-27 მარტს ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი 33 საოლქო საარჩევნო კომისიისთვის. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 30 საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა (მათ შორის იყო 26 (87%) ქალი და 4 (13%) კაცი), 22 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ (მათ შორის იყო 11 (50%) ქალი და 11 (50%) კაცი) და 3 საოლქო საარჩევნო კომისიის 3-მა წევრმა (3 (100%) ქალი).<br>• II ეტაპი -16 აპრილიდან 30 ივნისის პერიოდის განმავლობაში, eDocument-ის პროგრამაში განკარგულების მომზადებისა და რეგისტრაციის შესახებ, თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი ჩაუტარდა დარჩენილი 40 საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს, მათ შორის იყო 33 (83%) ქალი და 7 (18%) კაცი.<br>შესაბამისად, 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნისათვის ტრენინგები სრულად ჩატარებულია. ამასთანავე, საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების მომზადების, რეგისტრაციისა და კვალიფიციური ციფრული ხელმოწერით დადასტურების სახელმძღვანელო ინსტრუქცია მომზადებული და გადაცემულია 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნისათვის.<br>სსკ-ს მდივნების მიერ, განკარგულების მომზადება და რეგისტრაცია მიმდინარეობს eDocument-ის პროგრამაში სრული დატვირთვით. | |
| 3.2.1.3 | ცესკოში შემოსულ კორესპონდენციაზე განმცხადებლისთვის საპასუხო შეტყობინების სერვისის შექმნა | • საქმისწარმოების წესში ცვლილებები ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია<br>• სერვისის გამოყენების შესახებ სტატისტიკური მონაცემები | ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი) | 2024<br>IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ცესკოში შემოსულ კორესპონდენციაზე განმცხადებლისთვის საპასუხო შეტყობინების სერვისის შექმნის მიზნით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:<br>• შემოსულ კორესპონდენციაზე საპასუხო SMS შეტყობინების გაგზავნის სისტემის შექმნისთვის შესაბამისი პროგრამისათვის გასათვალისწინებელი ტექნიკური მოთხოვნებისა და ინსტრუქციის/კონცეფციის გაწერა;<br>• საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან გამართა 3 შეხვედრა;<br>• ელექტრონული კანცელარიის - publicinfo.cec.gov.ge ინტერფეისში დაემატა შესაბამისი მოდულები, როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად შემოსულ განცხადებებზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის მიზნით;<br>• საპასუხო შეტყობინების სერვისის პროგრამის ტესტირება/პილოტირების საფუძველზე განხორციელდა განმცხადებებისათვის ელექტრონული პროგრამის გამოყენებით შესაბამისი სერვისის მიწოდება.<br><br>პროექტი განხორციელდა წარმატებით და სერვისის სრულყოფილი წარმოებიდან სმს შეტყობინებები გაგზავნილია 54 მომხმარებლისთვის. | |

| მიზანი 4 | საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსით გაძლიერება | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანა 4.1 | ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება | | | | | | | |
| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | | ფერი |
| 4.1.1.1 | საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის საჭირო ტრენინგების იდენტიფიცირება და ტრენინგების გეგმის შემუშავება | ტრენინგების გეგმა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულია | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი | 2024<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, განხორციელდა თანამშრომლების განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების იდენტიფიცირება და მომზადა შესაბამისი გეგმა.<br><br>საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა განვითარების/ტრენინგების 2024 წლის გეგმა დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით. | |
| 4.1.1.2 | ცესკოს აპარატის ახალდანიშნული თანამშრომლებისთვის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითრების აკრედიტებული საბაზისო პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი" განხორციელება | • მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>I-IV კვარტალი | არ დაწყებულა | 0% | ცესკოს აპარატის ახალდანიშნული თანამშრომლებისთვის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტებული საბაზისო პროგრამა „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი" 2024 წელს არ განხორციელდა. აქტივობის განხორციელება დამოკიდებული იყო პარტნიორი სტრუქტურის მოთხოვნაზე. | |
| 4.1.1.3 | საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის საინფორმაციო კურსის „საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები" განხორციელება | • 73 სსკ-ს არანაკლებ 600 წევრი გადამზადებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 12-13 სექტემბერს, საარჩევნო ადმინისტრატორების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესში საოლქო კომისიების ყველა წევრის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა, ცესკოსთან თანამშრომლობით, განახორციელა მასშტაბური პროექტი 73 საოლქო საარჩევნო კომისიისთვის.<br>საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა პასუხობდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში ასახულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებით აქცენტი კომისიების წევრების საარჩევნო სიახლეებთან ადაპტირებას დაეთმო. შეხვედრა ჰიბრიდული მეთოდოლოგიით წარიმართა.<br>დისტანციური შეხვედრის ფარგლებში სწავლების ცენტრის ექსპერტ-ტრენერებმა მონაწილეებთან განიხილეს შემდეგი საკითხები:<br>• არჩევნების ჩატარების საერთაშორისო სტანდარტები;<br>• კანონმდებლობის ერთგვაროვნად გამოყენება და ზედამხედველობის მექანიზმის მნიშვნელობა ქვემდგომი საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაზე;<br>• კენჭისყრის შენობების მოწყობა, აპარატებით/ინვენტარით აღჭურვის უზრუნველყოფა;<br>• კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებთან კომუნიკაციის/კოორდინაციის ასპექტები;<br>• კენჭისყრის პროცესის წარმართვა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით;<br>• ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის გარანტირებულობა;<br>• არჩევანის ფარულობის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა;<br>• ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მხარდაჭერა;<br>• კენჭისყრის პროცესზე შეუფერხებელი დაკვირვების პირობების უზრუნველყოფა;<br>• საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის წინასწარი შედეგებისა და შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა;<br>• საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესი (მათ შორის, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების გადამოწმებისა და ხელახლა დათვლის საფუძვლები და წესი);<br>• საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირების წესი.<br>დისტანციური მოდულის დასრულებისთანავე, სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 73-მა ტრენერმა (მათ შორის იყო 38 (52%) ქალი და 35 (48%) კაცი), საოლქო კომისიებში გამართა აპარატების მუშაობის დემონსტრირება, კომისიების წევრთა უშუალო ჩართულობით. საინფორმაციო-სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 1117-მა წევრმა, მათ შორის იყო 742 (66%) ქალი და 375 (34%) კაცი.<br>დისტანციურ შეხვედრას დაესწრო და დააკვირდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელი. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **4.1.1.4** | საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პროფესიული გადამზადების პროგრამის "საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციები და კენჭისყრის დღის პროცედურები" განხორციელება | • არანაკლებ 200 ტრენერი გადამზადებულია<br>• 2755 საუბნო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 22 000 წევრი გადამზადებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>III-IV კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 14 სექტემბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ახალი სატრენინგო კონცეფციის შესაბამისად, განხორციელდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ინტენსიური გადამზადება. საარჩევნო ადმინისტრატორების პროფესიული ცოდნისა და უნარების გაძლიერების მიზნით, სწავლების ცენტრმა პროფილური სასწავლო პროგრამები შეიმუშავა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით ტრენერთა კორპუსი გადაამზადა, რომლებმაც, შემდგომ, ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარეს. სულ გადამზადდა 219 ტრენერი. საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის პროცედურული სპეციფიკების გათვალისწინებით:<br>* 2263 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ტრენინგები გაიარეს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრის წარმართვის პროცედურებთან დაკავშირებით (ხუთი ეტაპის ფარგლებში გაიმართა 7 205 სატრენინგო სესია);<br>* 768 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა დეტალური ინსტრუქტაჟი მიიღეს ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის განხორციელების რეგულაციებზე (ოთხი ეტაპის ფარგლებში გაიმართა 2 325 სატრენინგო სესია);<br>* პენიტენციურ დაწესებულებებსა და „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი 13 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა კი გადამზადება შესაბამის პროცედურულ საკითხებზე გაიარეს (ერთი ეტაპის ფარგლებში გაიმართა 13 სესია).<br>საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები და წევრები ტრენინგებზე დეტალურად გაეცნენ ამომრჩევლებისთვის კვალიფიციური სერვისის მისაწოდებლად შესაბამისი ფუნქციების შესრულების ტექნიკას, მათ შორის, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მხარდაჭერის ჭრილში. ტრენინგები პრაქტიკული სწავლების მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით განხორციელდა. მოიცავდა როლურ თამაშებს, ელექტრონულ აპარატებთან მუშაობის მოდელირებას და კენჭისყრის პროცესის ეპიზოდურ ინსცენირებებს. აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>* სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა ტრენერებმა ჯამურად უზრუნველყო 9 530 სატრენინგო სესიის ჩატარება;<br>* პროგრამა მონაწილეთა მიერ პოზიტიურად შეფასდა.<br><br>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>* გადამზადდა 219 საარჩევნო ადმინისტრატორის ტრენერი;<br>* გადამზადდა 3044 საუბნო საარჩევნო კომისიის 45 000-ზე მეტი წევრი;<br>* ტრენინგების ეტაპების მიხედვით მონაწილეთა დასწრების სტატისტიკა (მათ შორის გენდერულ ჭრილში) წარმოდგენილია ბმულზე - https://shorturl.at/DjO4b | |
| **4.1.1.5** | საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის სასწავლო პროექტის „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები" განხორციელება | • 64 მუნიციპალიტეტში პროექტი ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• სერტიფიკატის მფლობელ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>II-კვარტალი | განხორციელდა | 100 % | სწავლების ცენტრმა, 2024 წლის 8 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით პერიოდში, საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები" ჩაატარა. აღნიშნული ინიციატივა სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში ასახულ რეკომენდაციებს ეხმიანება და საარჩევნო რეფორმის შესაბამისად მიზნად ისახავს საარჩევნო ტექნოლოგიურ სიახლეებზე საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური საკადრო რესურსის გადამზადებას.<br>სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებმა სწავლება პროფილურად შერჩეული კურსის მიხედვით გაიარეს:<br>* კურსი საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის;<br>* კურსი საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური ხელმძღვანელი პირებისთვის.<br>პროფილური მიმართულებების შესაბამისად, სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვანი აქცენტები საარჩევნო პროცესში ინტეგრირებულ ტექნოლოგიურ სიახლეებზე გაკეთდა, ასევე, მონაწილეებმა მიიღეს სპეციალიზებული ცოდნა შემდეგ ძირითად საკითხებზე:<br>* საქართველოს პარლამენტის 2024 წლის ოქტომბრის არჩევნების მოდერნიზაციის ტენდენციები<br>* ხმის მიცემის პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება<br>* ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზება, ფარულობა და დაცულობა კენჭისყრის პროცესში<br>* ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა და საარჩევნო აპარატების გამოყენებით კენჭისყრის პროცესში შშმ ამომრჩევლების დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა.<br><br>სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) პარტნიორობით, პროექტის იმპლემენტაციის მიზნით, გადაამზადა 170 ტრენერი, მათ შორის 106 (62%) ქალი და 64 (38%) კაცი, რომლებიც შემდგომში უძღვებოდნენ სასწავლო კურსს.<br>* პროექტი ჩატარდა 64-ივე მუნიციპალიტეტში.<br>* პროექტში მონაწილეობა მიიღო 16514-მა მოქალაქემ, მათ შორისაა 13502 (82%) ქალი და 3012 (18%) კაცი.<br>ბენეფიციართაგან სრული კურსის გავლის სერტიფიკატი გადაეცემა 16392 პირს, მათ შორისაა 13424 (82%) ქალი და 2968 (18%) კაცი.<br>აქედან პროფილური მიმართულებების მიხედვით:<br>* საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრების სასწავლო კურსის გავლის სერტიფიკატი გადაეცა 10593 პირს, მათ შორისაა 8648 (82%) ქალი და 1945 (18%) კაცი.<br>* საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური ხელმძღვანელი პირების სასწავლო კურსის გავლის სერტიფიკატი გადაეცა 5799 პირს, მათ შორისაა 4776 (82%) ქალი და 1023 (18%) კაცი. | |

**ამოცანა 4.2** — **საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მქონე ადამიანური რესურსის ზრდა**

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | | ფერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **4.2.1.1** | საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება | • საგამოცდო ტესტები ცესკოს განკარგულებით დამტკიცებულია<br>• არანაკლებ 10 საგამოცდო ცენტრში სერტიფიცირების გამოცდა ორჯერ ჩატარებულია<br>• გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100% | საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნისა და ზოგადი უნარების დადგენის, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით,2024 წლის 22-27 მარტისა და 12-14 აგვისტოს პერიოდში, სწავლების ცენტრმა, ელექტრონული ტესტირების მეთოდით, ჩაატარა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდები.<br>სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ტესტების კატალოგი მოიცავდა თემატურად დალაგებულ საკითხებს, ტესტზე სწორი პასუხის მითითებით. საგამოცდო ტესტებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, ცესკოს განკარგულებით შევიდა შესაბამისი ცვლილებები.<br>გამოცდის ხანგრძლივობა 1 საათით განისაზღვრა. თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ავტომატურად შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი, სერტიფიკატის მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა.<br>სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა 12 საგამოცდო ცენტრში: თბილისი (2 ლოკაცია), თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ტყიბული, ქუთაისი, ზესტაფონი, ოზურგეთი, სენაკი, ბათუმი.<br>საგამოცდო ცენტრებში გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით დარეგისტრირდა სამი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია: ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ინიციატივების ასოციაცია", ა(ა)იპ „ახალგაზრდები ევროპული მომავლისთვის".<br>საანგარიშო პერიოდში სულ:<br>გამოცდაზე დარეგისტრირდა 1766 პირი, მათ შორის იყო 1233(70%) ქალი და 533 (30%) კაცი.<br>გამოცდაზე გამოცხადდა 1114 პირი, მათ შორის იყო 769 (69%) ქალი და 345 (31%) კაცი.<br>სერტიფიკატი მიიღო 818-მა პირმა, მათ შორის იყო 562(69%) ქალი და 256 (31%) კაცი. | |
| **4.2.1.2** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება | • საგამოცდო ტესტები ცესკოს განკარგულებით დამტკიცებულია<br>• არანაკლებ 30 საგამოცდო ცენტრში სერტიფიცირების გამოცდა ორჯერ ჩატარებულია<br>• გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნისა და ზოგადი უნარების დადგენის, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წლის 11 - 22 აპრილისა და 17-22 ივლისის პერიოდში, სწავლების ცენტრმა ჩაატარა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირების გამოცდები. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ტესტების კატალოგი მოიცავდა თემატურად დალაგებულ საკითხებს, ტესტზე სწორი პასუხის მითითებით. აღნიშნული ტესტები იქნა გამოყენებული გამოცდების ჩატარებისას.სერტიფიცირების გამოცდები ელექტრონული ტესტირების მეთოდით ჩატარდა. თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი, სერტიფიკატის მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა.<br>საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების საგამოცდო ტესტები დამტკიცდა ცესკოს განკარგულებით. გამოცდები ჩატარდა 33 საგამოცდო ცენტრში (თბილისი (4), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მცხეთა, დუშეთი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი, სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი, მესტია, ოზურგეთი, ბათუმი, ქობულეთი, დაბა შუახევი, ხულო).<br>საანგარიშო პერიოდში სულ:<br>გამოცდაზე დარეგისტრირდა - 8451 პირი, მათ შორისაა 6734 (80%) ქალი და 1717 (20%) კაცი.<br>გამოცდაზე გამოცხადდა - 6155 პირი, მათ შორისაა 5013 (81%) ქალი და 1142(19%)კაცი.<br>გამოცდა ჩააბარა - 5717-მა პირმა, მათ შორისაა 4673 (82%) ქალი და 1044 (18%) კაცი. | |
| **4.2.1.3** | საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება | • საგამოცდო ტესტები ცესკოს განკარგულებით დამტკიცებულია<br>• არანაკლებ 30 საგამოცდო ცენტრში სერტიფიცირების გამოცდა ორჯერ ჩატარებულია<br>• გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნისა და ზოგადი უნარების დადგენის, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შერჩევის ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით, სწავლების ცენტრის მიერ, მიმდინარე წლის 10 - 27 მაისის პერიოდში, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა.<br>სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ტესტების კატალოგი მოიცავდა თემატურად დალაგებულ საკითხებს, ტესტზე სწორი პასუხის მითითებით. აღნიშნული ტესტები იქნა გამოყენებული გამოცდების ჩატარებისას. სერტიფიცირების გამოცდები ელექტრონული ტესტირების მეთოდით ჩატარდა. თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი, სერტიფიკატის მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა.<br>საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების საგამოცდო ტესტები ცესკოს განკარგულებით დამტკიცდა;<br>გამოცდები ჩატარდა 33 საგამოცდო ცენტრში (თბილისი (4 საგამოცდო ცენტრი), გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, ბოლნისი, თეთრიწყარო, მცხეთა, დუშეთი, გორი, ბორჯომი, ახალციხე, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, ქუთაისი, ამბროლაური, ცაგერი, სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი, მესტია, ოზურგეთი, ბათუმი, ქობულეთი, დაბა შუახევი, ხულო);<br>საანგარიშო პერიოდში სულ:<br>• გამოცდაზე დარეგისტრირდა 7429 პირი, მათ შორისაა 5827 (78%) ქალი და 1602 (22%) კაცი.<br>• გამოცდაზე გამოცხადდა 5475 პირი, მათ შორისაა 4337 (79%) ქალი და 1138 (21%) კაცი.<br>• გამოცდა ჩააბარა 5410-მა პირმა, მათ შორისაა 4291 (79%) ქალი და 1119 (21%) კაცი. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **4.2.1.4** | საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში | • საგამოცდო ტესტები ცესკოს განკარგულებით დამტკიცებულია<br>• არანაკლებ 6 საგამოცდო ცენტრში სერტიფიცირების გამოცდა ჩატარებულია<br>• გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>I კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საარჩევნო რეფორმის შესაბამისად, სერტიფიკატის ფლობა სავალდებულოა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ასარჩევად (საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული რიგი შემთხვევების გარდა). საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნისა და ზოგადი უნარების დადგენის, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური კადრებით შერჩევის ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა 2024 წლის 29 იანვრიდან 5 თებერვლისა და 12 - 13 ივნისის პერიოდში, სასერტიფიკაციო გამოცდები საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის ჩაატარა.<br>სწავლების ცენტრმა შეიმუშავა ტესტების კატალოგი, რომელიც მოიცავს თემატურად დალაგებულ საკითხებს, ტესტზე სწორი პასუხის მითითებით. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საგამოცდო ტესტები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. სერტიფიცირების გამოცდები ელექტრონული ტესტირების მეთოდით ჩატარდა. თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი, სერტიფიკატის მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა.<br>სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა 8 საგამოცდო ცენტრში: თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.<br>საანგარიშო პერიოდში სულ:<br>• გამოცდაზე დარეგისტრირდა 2193 პირი, მათ შორის 941 (43%) ქალი და 1252 (57%) კაცი.<br>• გამოცდაზე გამოცხადდა 1636 პირი, მათ შორის 729(45%) ქალი და 907 (55%) კაცი.<br>• სერტიფიკატი მიიღო 1612-მა პირმა, მათ შორის 721 (45%) ქალი და 891 (55%) კაცი.<br>საგამოცდო ცენტრებში გამოცდის მიმდინარეობას აკვირდებოდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ 8 დამკვირვებელი. | |
| **4.2.1.5** | საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში | • საგამოცდო ტესტები ცესკოს განკარგულებით დამტკიცებულია<br>• არანაკლებ 6 საგამოცდო ცენტრში სერტიფიცირების გამოცდა ჩატარებულია<br>• გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• გამოცდის ჩაბარების შედეგად სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>I კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საარჩევნო რეფორმის შესაბამისად, სერტიფიკატის ფლობა სავალდებულოა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ასარჩევად (საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული რიგი შემთხვევების გარდა). საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნისა და ზოგადი უნარების დადგენის, შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური კადრებით შერჩევის ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა 2024 წლის 19 თებერვლი - 1 მარტისა და 28 ივნისი - 3 ივლისის პერიოდში, სასერტიფიკაციო გამოცდები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩაატარა.<br>სწავლების ცენტრმა შეიმუშავა ტესტების კატალოგი, რომელიც მოიცავს თემატურად დალაგებულ საკითხებს, ტესტზე სწორი პასუხის მითითებით. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისა და არჩევნების ადმინისტრირების პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საგამოცდო ტესტები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. სერტიფიცირების გამოცდები ელექტრონული ტესტირების მეთოდით ჩატარდა. თითოეული გამოსაცდელისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა 24 საგამოცდო ტესტი, სერტიფიკატის მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 15 ქულა.<br>სერტიფიცირების გამოცდები ჩატარდა 8 საგამოცდო ცენტრში: თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა. საგამოცდო ცენტრებში გამოცდის მიმდინარეობას აკვირდებოდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ 8 დამკვირვებელი.<br>საანგარიშო პერიოდში სულ:<br>• გამოცდაზე დარეგისტრირდა 2926 - მა პირი, მათ შორისაა 1221 (42%) ქალი და 1705 (58%) კაცი.<br>• გამოცდაზე გამოცხადდა 2250 - მა პირი, მათ შორისაა 960(43%) ქალი და 1138 (57%) კაცი.<br>• გამოცდა ჩააბარა 2223 - მა პირმა, მათ შორისაა 947 (43%) ქალი და 1276 (57%) კაცი. | |
| **4.2.1.6** | საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსის განხორციელება | • მოსამზადებელი სასწავლო კურსის გავლის მსურველთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში<br>• მოსამზადებელი სასწავლო კურსის მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | სწავლების ცენტრი | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 15 – 21 მარტისა და 15–19 ივლისის პერიოდში სწავლების ცენტრმა განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსები, რომლის უფასოდ გავლის შესაძლებლობა ჰქონდათ სერტიფიცირების გამოცდაზე დარეგისტრირებულ ყველა მოქალაქეს. სასწავლო კურსი ეფუძნებოდა საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ტესტების შინაარსობრივ განხილვას და პრაქტიკულ დავალებებს.<br>ახალი კონცეფციის შესაბამისად, განახლდა სატრენინგო მოდული, რომლის მიხედვითაც სასწავლო კურსის ხანგრძლივობამ შეადგინა 5 დღე (დღეში 2 საათი). კურსი ჩატარდა დისტანციურ ფორმატში (zoom პლატფორმით) სწავლების ცენტრის ტრენერების მიერ.<br>მოსამზადებელი სრული სასწავლო კურსი (5 დღე) გაიარა 91-მა პირმა, მათ შორის 76 (84%) ქალი და 15 (16%) კაცი. | |
| **სტრატეგიული პრიორიტეტი** | | **ტექნოლოგიური განვითარება** | | | | | | |
| **მიზანი 5** | | **საარჩევნო ოპერაციების ჰარმონიზაცია საკანონმდებლო (ტექნოლოგიურ) სიახლეებთან** | | | | | | |
| **ამოცანა 5.1** | | **საარჩევნო ოპერაციების სტანდარტიზაცია** | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | | **ფერი** |
| **5.1.1.1** | ლოგისტიკის ბიზნეს პროცესის განახლება | ლოგისტიკის ბიზნეს პროცესის PD დოკუმენტი დამტკიცებულია | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>II<br>კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, განახლდა ლოგისტიკის ბიზნეს-პროცესის დოკუმენტი, შეიქმნა ინვენტარისა და ტექნიკის უსაფრთხო შენახვის, ტრანსპორტირებისა და განაწილების სისტემა. ამასთანავე, განახლდა საარჩევნო ინვენტარისა და მასალების ზუსტი, მოქნილი და სრულყოფილი გადაცემის/მიღებისა და აღრიცხვის ფორმები.<br>ლოგისტიკის ბიზნეს პროცესის PD დოკუმენტი დამტკიცებულია ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით. | |
| **5.1.1.2** | ელექტრონული არჩევნების დამოუკიდებელი აუდიტის ორგანიზება | აუდიტის დასკვნა წარმოდგენილია | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>III-IV<br>კვარტალი | განხორციელდა | 100 % | 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის განხორციელდა - საარჩევნო ტექნოლოგიების შესაბამისობის აუდიტი, რომელიც ჩატარდა სამ ეტაპად:<br>• პირველი ეტაპი - პროგრამული უზრუნველყოფის განახლების ანალიზი და მათი შესაბამისობის დადგენა საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან;<br>• მეორე ეტაპი - არჩევნებისთვის აპარატურის მომზადების პროცესზე დაკვირვება და კონფიგურაციისთვის საჭირო ფაილების სიზუსტის დადგენა;<br>• მესამე ეტაპი - კენჭისყრის დღეზე დაკვირვება.<br><br>აუდიტის დასკვნა განთავსებულია ცესკოს ვებგვერდზე. | |
| **მიზანი 6** | | **ტექნოლოგების გამოყენება საარჩევნო პროცესში** | | | | | | |
| **ამოცანა 6.1** | | **კენჭისყრის პროცედურების ჩატარება ელექტრონული მოწყობილობების (ხმის დათვლისა და ვერიფიკაციის აპარატი) გამოყენებით** | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული** | **შესრულების ვადა** | **სტატუსი** | **პროგრესი** | | **ფერი** |
| **6.1.1.1** | ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული და ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების შესყიდვა/მოწოდება | • 4865 ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი შესყიდულია<br>• 7526 ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი შესყიდულია | საფინანსო დეპარტამენტი | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100% | საერთაშორისო კომპანიასთან „სმარტმატიკი“ გაფორმებული კონსოლიდირებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2023 - 2024 წლების განმავლობაში მოწოდებულ იქნა 4865 ცალი ხმის მთვლელი აპარატი და 7526 ცალი ვერიფიკაციის აპარატი სახარჯი მასალებით, რითიც დასრულდა ელექტრონული მოწყობილობების შესყიდვა/მოწოდების საქმიანობა. | |
| **6.1.1.2** | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვა | ამომრჩეველთა არანაკლებ 70 პროცენტისთვის საარჩევნო უბნები ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატებით, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებით და პლანშეტებით აღჭურვილია | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>III-IV<br>კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების ელექტრონული მოწყობილობებით აღჭურვის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიები აღიჭურვა:<br>• 7 508 ვერიფიკაციის აპარატით;<br>• 4 879 ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატით;<br>• 3 031 პლანშეტური კომპიუტერით.<br><br>საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებზე, 2 263 საარჩევნო უბანზე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო - 1 847 448 ამომრჩეველმა. | |

| ამოცანა 6.2 | | ელექტრონული სერვისების განვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | | ფერი |
| 6.2.1.1 | სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობისთვის რეგისტრაციის ელექტრონული პლატფორმის მოდიფიცირება | პროგრამის გამოყენებით რეგისტრირებული კონკურსანტების რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>I-II<br>კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებულ სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობისთვის რეგისტრაციის ელექტრონულ პლატფორმაში განხორციელდა ცვლილებები. მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ konkursi.cec.gov.ge ვებ-გვერდის საშუალებით საკონკურსო განაცხადი შემოეტანათ როგორც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, ასევე ხელმძღვანელი პირის კონკრეტულ ვაკანტურ პოზიციაზე. ამასთანავე, ცვლილება შევიდა არჩევნების მართვის სისტემის კონკურსანტების ვებ-გვერდის მართვის მოდულში.<br><br>საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა კონკურსში სულ დარეგისტრირდა 19 131 მოქალაქე, ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებულ კონკურსზე - 32 კონკურსანტი, საარჩევნო ადმინისტრატორის კურსზე საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური ხელმძღვანელი პირებისთვის - 8 296, ხოლო საარჩევნო ადმინისტრატორის კურსზე საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის - 10 803 მოქალაქე.<br><br>არჩევნების მართვის სისტემის (EMS) კონკურსის ვებ-გვერდის (konkursi.cec.gov.ge) საშუალებით საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის გამოცხადებულ კომისიის წევრების კონკურსში სულ დარეგისტრირდა 24 425 კონკურსანტი. | |
| 6.2.1.2 | საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონული პროგრამის განახლება | • ცესკოს დადგენილებით პროგრამის მართვის ინსტრუქცია დამტკიცებულია<br>• საოლქო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 146 წევრისთვის პროგრამის მოხმარების შესახებ ინსტრუქტაჟი ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები ჩატარებულია<br>• მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>I-II<br>კვარტალი | განხორციელდა დაგვიანებით | 100 % | საანგარიშო პერიოდში, არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) მუშაობის წესის ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა 9 საოლქო საარჩევნო კომისიის ახლადარჩეულ მდივანს, მათ შორის იყო 8 (89%) ქალი და 1 (11%) კაცი.<br>არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) არსებული მოდულებისთვის: "სუბიექტები", "სუბიექტის წარმომადგენლები", "ადგილობრივი ორგანიზაციები" და "ადგილობრივი ორგანიზაციების დამკვირვებლები" მომზადდა და დამტკიცდა პროგრამის მართვის ინსტრუქცია, როგორც სისტემის შიდა მოხმარებისთვის, ასევე, გარე მოხმარებისთვის.<br><br>არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) არსებული მოდულებისთვის: "კომისიის წევრები", "საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები", "საერთაშორისო დამკვირვებლები", "მედია ორგანიზაციები", "მედია წარმომადგენლები" და "პარტიული სია" მომზადდა და დამტკიცდა პროგრამის მართვის ინტსრუქცია, როგორც სისტემის შიდა მოხმარებისთვის, ასევე, გარე მოხმარებისთვის.<br><br>არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) მუშაობის ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა საოლქო საარჩევნო კომისიის 150 ხელმძღვანელი პირს/წევრს, მათ შორის 95 ქალი, 55 კაცი. | |
| 6.2.1.3 | საარჩევნო სუბიექტებისთვის პარტიული სიის ელექტრონული სახით წარდგენის შესაძლებლობის შექმნა | • პროგრამის გამოყენების ინსტრუქცია ცესკოს დადგენილებით დამტკიცებულია<br>• პროგრამის მომხმარებელთა რაოდენობა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>I-II<br>კვარტალი | განხორციელდა დაგვიანებით | 100 % | საანგარიშო პერიოდში არჩევნების მართვის სისტემაში (EMS) შეიქმნა პარლამენტის და საკრებულოს არჩევნებისთვის პარტიული სიის მოდულები. პარლამენტის პარტიული სიისთვის მომზადდა და დამტკიცდა პროგრამის მართვის ინტსრუქცია, როგორც სისტემის შიდა მოხმარებისთვის, ასევე, გარე მოხმარებისთვის.<br>• ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან, EMS-ში პარტიული სიის ელექტრონული სახით წარდგენის გაცნობის თაობაზე. შეხვედრას დაესწრო 6 საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი.<br>2024 წლის არჩევნებისათვის პარტიული სია ელექტრონულად წარადგინა 4-მა საარჩევნო სუბიექტმა. | |
| 6.2.1.4 | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის ტრადიციული წესით ჩატარებული კენჭისყრის საარჩევნო ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანა | • საარჩევნო ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანის პასუხისმგებელი ჯგუფი შექმნილია<br>• საარჩევნო ბიულეტენები ციფრულ ფორმატში გასაჯაროებულია | საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი | 2024<br>III-IV<br>კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებისთვის ტრადიციული წესით ჩატარებული კენჭისყრისთვის საარჩევნო ბიულეტენები ციფრულ ფორმატში გადაყვანის მიზნით, განხორციელდა გაციფრულებისთვის საჭირო ტექნიკის გამართვა, ამასთანავე, განხორციელდა Google Drive -ის ღრუბლოვანი სივრცის შეძენა.<br>2024 წლის 26 ოქტომბერს, კენჭისყრის დასრულების შემდეგ, განხორციელდა საარჩევნო ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანა (სკანირება).ციფრულ ფორმატში გადაყვანილი ბიულეტენები აიტვირთა Google Drive -ის ღრუბლოვან სივრცეში. შემოწმდა ატვირთული ინფორმაციის ხარისხი და გასაჯაროვდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით. | |

| ამოცანა 6.3 | | ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | შესრულების ვადა | სტატუსი | პროგრესი | | ფერი |
| 6.3.1.1 | სამუშაო შეხვედრების გამართვა სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საარჩევნო უბნებისთვის შენობების გამოყოფის შესახებ | • საარჩევნო უბნებისთვის გამოყობილი შენობების რაოდენობა<br>• ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნების რაოდენობა<br>• ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „საარჩევნო რუკა“ ინფორმაცია საარჩევნო უბნების, მათ შორის ადაპტირებული უნების შესახებ დასურათებულ ფორმატში განთავსებულია | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი | 2024<br>I-II კვარტალი | განხორციელდა | 100 % | საანგარიშო პერიოდში, გაიმართა სამუშაო შეხვედრები შესაბამის უწყებებთან საარჩევნო უბნების ინფრასტრუქტურის გამოყოფასთან დაკავშირებით. ცესკოსა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მოხდა შესაბამისი ფართების გამოყენება საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის.<br><br>2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის შიქმნა 3 031 საარჩევნო უბანი, მათ შორის 2 263 საარჩევნო უბანზე არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა.<br><br>ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო 1 262 საარჩევნო უბანი, მათ შორის 917 პანდუსით და 348 მარტივად ადაპტირებული (სამი უბანი იყო, როგორც პანდუსით, ასევე მარტივად ადაპტირებული).<br><br>ცესკოს ვებგვერდზე, ბანერში „საარჩევნო რუკა“ განთავსდა სრული ინფორმაცია საარჩევნო უბნების, მათ შორის ადაპტირებული საარჩევნო უნების შესახებ, დასურათებულ ფორმატში. | |
| 6.3.1.2 | ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის სასაწყობე ინფრასტრუქტურის შექმნა | • სასაწყობო ფართების მოთხოვნები შემუშავებულია<br>• სასაწყობო ადგილები შერჩეული და მოწყობილია | საფინანსო დეპარტამენტი | 2024<br>I-III კვარტალი | განხორციელდა | 100 % | ცესკოს ახალი საოპერაციო-სასაწყობო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზანს წარმოადგენდა არჩევნების ელექტრონული საშუალებებით ჩატარებასთან დაკავშირებული ლოგისტიკის ბიზნეს პროცესების ცენტრალიზებულად განხორციელების შესაძლებლობის შექმნა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაიგეგმა ახალი საოპერაციო-სასაწყობო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. შემუშავებული მოთხოვნების შესაბამისად მოეწყო საოპერაციო და სასაწყობო ფართები, ინფრასტრუქტურა აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით, განხორციელდა შიდა და ეზოს სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები.<br><br>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალმა საოპერაციო-სასაწყობო ინფრასტრუქტურამ უზრუნველყო არჩევნების ელექტრონული საშუალებებით ჩატარება და მასთან დაკავშირებული ლოგისტიკის ბიზნეს-პროცესების ცენტრალიზებულად განხორციელება.<br><br>ყველა საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფილ იქნა სასაწყობო ფართებით, რაც ლოგისტიკური პროცესების ჯაჭვში წარმოადგენდა შუა რგოლს ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიებს შორის. | |

| № | სტატუსი | პროგრესის შესაბამისად | ფერი | |
|---|---|---|---|---|
| 1 | არ დაწყებულა | **0** | | |
| 2 | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | **1%-50%** | | |
| 3 | მიმდინარე - მეტწილად | **51%-99%** | | |
| 4 | განხორციელდა | **100%** | | |
| 5 | განხორციელდა დაგვიანებით | **100%** | | |
| 6 | გაუქმებულია | **0%-99%** | | |
| 7 | შეჩერებულია | **0%-99%** | | |